მასწავლებელი

№4(47).2017

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ნატო ინგოროყვა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
გიორგი მაჩაბელი,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
ნინო ჭიაბრიშვილი,
მაია ჯალიაშვილი,
მაია ფირჩხაძე, ანა ჯანელიძე,
მანანა ბოჭორიშვილი,
ინგა ლომაძე, მარიამ გოდუაძე,
ნესტან რატიანი, ქეთევან ოსიაშვილი,
ანი კოპალიანი, მაია მენაბდე,
თამთა დოლიძე, ნინო ლომიძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.

ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 8-374

WWW.TPDC.GE

ჩვენი ცხოვრება ისე არ ჩაივლის, დაფიქრება და პასუხის გაცემა არ მოგვიწიოს კითხვაზე – „თავიდან რომ დაიწყოთ, რას შეცვლიდით თქვენს ცხოვრებაში?“

არაერთი პასუხი წამიკითხავს ამ შეკითხვაზე. ძირითადად, ჩვენ, თავდაჯერებულები, ვპასუხობთ - არაფერს! ან უფრო მოკრძალებულად – თითქმის არაფერს. თითქოს გვეუხერხულება ვაღიაროთ, რომ ყველაფერი ისე არ იყო. თუმცა, არიან გამონაკლისებიც.

მე თუ მკითხავთ, ცხოვრების თავიდან დაწყებისას, შიშებთან ბრძოლა მომიწევდა. შიშები, ცხადია, სხვადასხვაგვარია და მრავალი. დღეს ერთ მათგანზე შევჩერდები. ამ შიშს ჯერ კიდევ სკოლიდან ვიცნობ. მიმაჩნია, რომ ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილის შიშია და ჩვენს გარემოსაც ძალიან ეტყობა.

სამოქალაქო განათლების ლექსიკონში სიტყვა – „კონფორმიზმი“, ასე განიმარტება – შემგუებლობა, არსებული წესის, გაბატონებული მოსაზრებების პასიურად მიღება.

ანუ კონფორმიზმი არსებითად შიშია, ეს არის საზოგადოების შიში ცვლილებების, სიახლის და უარეს მდგომარეობაში ჩავარდნისს მიმართ და ასევე, ინდივიდუალური შიშია, რომელიც საზოგადოების მიმართ არსებობს. ჩვენ მონაპოვრის დაკარგვის გვეშინია და სოციალურ გარემოსთან გაუცხოების.

თუკი დავფიქრდებით, საიდან იღებს ეს შიშები სათავეს, ვაღიარებთ, რომ ძირითადად სკოლიდან.

ის რაც შლის პიროვნების ინდივიდუალობას, პრინციპებსა და ღირებულებებს, იწვევს მორჩილებას ავტორიტეტების, უფროსების, მეზობლების, მშობლების, მეგობრების, მასწავლებლების, ნაცნობებისა და უცნობების მიმართ – კონფორმიზმია და სკოლა, კონფორმისტებისთვის-სათბურია.

ეს არ შეიძლება იყოს მხოლოდ მასწავლებლების ბრალი. თუმცა, მასწავლებლებს ნამდვილად შეუძლიათ მოსწავლეების დახმარება, რათა ისინი ამ კონფორმული მდგომარეობიდან გამოვიდნენ და კმაყოფილება საკუთარი ინდივიდუალობის შენარჩუნებაში ეძებონ. ეს კი ჩვენი, მასწავლებლების მხრიდან, განსაკუთრებულ პროფესიონალიზმსა და დაკვირვებულობას მოითხოვს. დამჯერი, მორჩილი, ადვილად სამართავი, პროგნოზირებადი ყოფაქცევის, საშუალოზე დაბალი თვითშეფასების მქონე, ბეჯითი, მაგრამ არამბიციური მოსწავლე მასწავლებლისთის სამაგალითო არ უნდა გახდეს.

საჭიროა ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მოსწავლისა და მასწავლებლის დიალოგი წაახალისებს მათ, ისაუბრონ და დასვან შეკითხვები, არ ჩაიხშონ ცნობისმოყვარეობა და არ შემოსაზღვრონ სწორი პასუხების სივრცე.

მნიშვნელოვანია, მასწავლებელი მოსწავლეს იმის გაცნობიერებაში დაეხმაროს, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს მცდარ გადაწყვეტილებას, მაგრამ არჩევანის უფლება მოსწავლეს უნდა დარჩეს.

გამოცდილება

ანა ჯანელიძე

4 **მშობელთა ჩართულობა: ჩვენთან თუ ჩვენ წინააღმდეგ?**

ხშირად მშობელთა ჩართვა მასწავლებლისთვის ძნელი მისაღწევია. ამ გამოწვევის მთავარ მიზეზად, წესისამებრ, მშობელთა დაკავებულობა, უდროობა ან ბავშვთა განათლების მიმართ მათი ინტერესის ნაკლებობა მიიჩნევა. თუმცა ხშირად უგულებელ-ყოფილია მთავარი დაბრკოლება – მეორე მხარის მიმართ არსებული მოლოდინები და დამოკიდებულებები.

თამთა დოლიძე

8 **სწავლა სიბერემდე: ფორმალური და არაფორმალური განათლების თავისებურებანი**

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის როლი ზრდასრულთა განათლების საქმეში უდიდესია, ვერავინ უარყოფს არაფორმალური განათლების მნიშვნელობას მუდმივი პროფესიული ზრდისა და განვითარების კუთხით.

მაია ჯალიაშვილი

19 **სასკოლო კონფლიქტები და მათი მოგვარების გზები**

სკოლა უნდა ეცადოს, ნებისმიერი კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს, ისე, რომ არც მატერიალურად და არც ზნეობრივად არ დაზარალდეს კონფლიქტში ნებით თუ უნებურად ჩართული რომელიმე მხარე.

ინგა ლომაძე

32 **როგორ შევქმნათ სამუშაო ატმოსფერო საკლასო ოთახში**

გაკვეთილზე რა ნებადართულია და რა – არა, ამაზე მოსწავლეები თქვენი სიტყვების კი არა, ქცევის საფუძველზე იმსჯელებენ. თუ გაკვეთილზე საუბარს კრძალავთ, მაგრამ არ აღკვეთთ მას, წესი არაქმედითი ხდება.

ნესტან რატიანი

42 **გემოვნებაზე ყველაზე მეტს დაობენ?!**

ჩემთვის წიგნი თავშესაფარი არ არის, ჩემთვის წიგნთან ყოველი დაბრუნება ახალი აღმოჩენებითაა აღსავსე.

ირმა კახურაშვილი

45 **როცა მასწავლებლის გეშინია**

მშობელს შეუძლია, მასწავლებელს გაუზიაროს მეთოდი, რომელსაც თავად შედეგიანად იყენებს.

პროფესია მასწავლებელი

ანი კოპალიანი

25 **ფიზიკის მასწავლებლის პორტრეტი**

სამყაროს საიდუმლოებათა ამოხსნის ზოგადსაკაცობრიო ოცნებას, რომელსაც ლიტერატურა ახმიანებს, სწორედ ფიზიკა ასხამს ხორცს.

მაია მენაბდე

36 **მასწავლებლობის სევდა**

მტანჯველი სევდაა იმაზე ფიქრი, რამდენი რამ შეგეძლო გესწავლებინა, მაგრამ ვერ მოასწარი, ან გამოგეპარა, ან გეგონა ასწავლე და თურმე სულ სხვებისთვის გისწავლებია. რაც მთავარია, ველარც ასწავლი, რადგან შენს მასწავლებლობას მათთვის ვადა გაუვიდა.

პრობლემა

მანანა ბოჭორიშვილი

16 **დასწავლა და ცოდნის გამოყენება**

ხშირად ხდება, რომ ჩვევის გამომუშავების შემდეგ გვიძნელდება ამ ჩვევის გამომუშავების პროცესის მეტ-ნაკლებად დეტალურად გახსენება და დეკლარაციული ფაქტების აღდგენა, რომლებიც თავის დროზე საფუძვლად დაედო ამ ჩვევის გამომუშავებას.

შეფასება

12 | გიორგი ნოზაძე
მოსწავლეთა საკლასო შეფასება
მიზანშეწონილია სასკოლო შეფასების მონაცემთა მომზადებული ანალიზის შედარება გარე შეფასების ანალიზსა და შედეგებთან, რომელიც მოწვეულმა დამოუკიდებელმა სპეციალისტებმა შეასრულეს, ან სახელმწიფო თუ საერთაშორისო შეფასების შედეგებთან, რათა გაირკვეს სკოლის მოსწავლეთა მიღწევების ადგილი სახელმწიფო თუ საერთაშორისო სკალაზე.

რესურსი

22 | მაია ფირჩხაძე
მინიატურული მოთხრობა როგორც „საგნობრივი მეტყველების“ დაუფლების ეფექტური საშუალება
აუცილებელია სხვადასხვა პრაქტიკული ხერხის გამოყენება საგნობრივი კომპეტენციების დასაუფლებლად. საგნობრივი მეტყველების განვითარებისადმი ერთ-ერთ ასეთ მიდგომას წარმოადგენს საგაკვეთილო პროცესში მინიატურული მოთხრობების ჩართვა.

27-30

48 | ნინო ლომიძე
შემაჯამებელი სამუშაოს ფორმა და ანალიზი
შემაჯამებლის ანალიზის წერისას მასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ხელთ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის დოკუმენტი, სადაც კლასების მიხედვითაა გაწერილი სტანდარტი – წლის ბოლოს რა შედეგებს უნდა მიაღწიოს მოსწავლემ.

განათლების ფსიქოლოგია

39 | ქეთევან ოსიაშვილი
რატომ ქვეითდება მეხუთეკლასელთა აკადემიური მოსწრება
სირთულეების თავიდან აცილების ძალიან კარგი საშუალებაა ბავშვის უპირობო მიღება, მიუხედავად იმ მარცხისა, რომელსაც უკვე შეეჯახა ან შეიძლება მომავალში შეეჯახოს.

გამოცდილება

51 | მარიამ გოდუაძე
ინკლუზიის ინსტრუმენტები – მუსიკამოდალური სწავლება
ფსიქოთერაპევტები დიდი ხანია შეთანხმდნენ, რომ ადამიანები ფიქრს, გრძნობას, მოქმედებას, შეგრძნებას, სმენას, წარმოსახვას, ურთიერთობას სხვადასხვა სენსორული არხის დახმარებით ახერხებენ.

სამოქალაქო განათლება

54 | ნინო ჭიაბრიშვილი
ცხოვრების აზრი და ყოველდღიური გმირები
სტერეოტიპების საფრთხის ეფექტურად მართვა ადაპტური ატრიბუციით ეხმარება მსმენელს, შეამციროს ან სრულიად მოსპოს სტერეოტიპების საფრთხის ეფექტი და არაჯანსაღი ატრიბუცია სწავლისა და საქმიანობის შესახებ.



ანა ჯანელიძე

მშობელთა ჩართულობა: ჩვენთან თუ ჩვენ წინააღმდეგ?

„შეგიძლიათ ამოისუნთქოთ, რადგან არ ვაპირებ თქვენთვის იმის თქმას, როგორ მოიქცეთ“[1]

დონალდ ვინიკოტი

ბავშვები ცხოვრობენ რამდენიმე პარალელურ სივრცეში – ოჯახში, თემში, სკოლამდელ დაწესებულებაში/სკოლაში. მშობელთა ჩართულობა უზრუნველყოფს ამ სივრცეების ერთიან სიბრტყეში მოქცევას ისე, რომ ბავშვებს არ გაუჭირდეთ ერთი გარემოდან მეორეში გადასვლა, სხვადასხვა „სივრცეს“ აერთიანებდეს საერთო ღირებულებები და ბავშვების მიმართ არსებული მოლოდინები თანამიმდევრული იყოს.

მშობლებთან ურთიერთობა, საბავშვო ბაღისა თუ სკოლის ცხოვრებაში მათი ჩართულობის უზრუნველყოფა, მათთან დიალოგი და კონსენსუსი განათლების სფეროს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა - არა მხოლოდ მასწავლებლებისთვის, არამედ განათლების პოლიტიკის განმსაზღვრელებისთვის, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და განათლების საკითხებით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვისაც. საკითხი კიდევ უფრო მწვავედ დგას უმცირესობებისა და მარგინალიზებული ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვების მშობლების შემთხვევაში, როდესაც ენობრივი, კულტურული, სოციალურ-ეკონომიკური გარემოებები დამატებით ბარიერს წარმოშობს მშობელთა ჩართულობისთვის. ამასთან ერთად, მარგინალიზებული ჯგუფების მიმართ საზოგადოებაში არსებული დომინანტური სტერეოტიპული და დისკრიმინაციული დამოკიდებულებები ხელს გვიშლის, შემოქმედებითად ვიფიქროთ სტრატეგიებზე ყველა მშობლის ჩართულობის უზრუნველსაყოფად. მაგალითად, დასაქმებულ მშობელს, რომელიც ექიმი, მასწავლებელი ან თანამდებობის პირია და ხშირად ვერ იცლის მასწავლებელთან შესახვედრად, არ პასუხობს ჩვენს თხოვნას (მაგ., რაიმე ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების თაობაზე), მეტი შემწყნარებლობით ვეკიდებით, ვიდრე ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ან სოციალურად დაუცველი ოჯახების წევრებს, რომლებზეც შეიძლება ისიც კი გავიფიქროთ, რომ „თავიანთი შვილების განათლება სულაც არ აინტერესებთ!“

მაგრამ....

ძალიან იშვიათი გამონაკლისის გარდა, **ყველა მშობელს საუკეთესო სურს საკუთარი შვილისთვის**. მათი ოცნებები და იმედები სწორედ შვილებს უკავშირდება. მრავალფეროვან საზოგადოებაში ეს იმედები და მოლოდინებიც განსხვავებულია[2]. რა სჭირდება ბავშვს იმისთვის, რომ საზოგადოებაში წარმატებას მიაღწიოს? ეჭვის თამამად გამოხატვა უნდა შეეძლოს თუ უფროსების პატივისცემის ნიშნად მდუმარედ უსმინოს უკვე დადგენილ ჭეშმარიტებებს? შაბლონის მიხედვით დახატოს პეპელა თუ ისე, როგორც მოუნდება? დაზეპირებული ლექსები გაიხსენოს თუ წაკითხული ამბებიდან მისთვის საინტერესო დეტალები? თანაკლასელებთან ერთად იმუშაოს პროექტზე თუ შეეჯიბროს მათ დავალების შესრულებაში - რომელი უფრო მაღალ შეფასებას მიიღებს? ამ კითხვებს უნივერსალური პასუხები არ აქვს, რადგან სხვადასხვა კონტექსტში სწორედ განსხვავებული მიდგომები მიიჩნევა ღირებულად. საქართველოში პედაგოგები ხშირად აწყდებიან მშობელთა დამოკიდებულებას, რომელიც აშკარა პრიორიტეტს ანიჭებს ბავშვების კოგნიტიურ და აკადემიურ უნარ-ჩვევებს, ხოლო სოციალურ-ემოციურ უნარებსა და პიროვნულ თვისებებს მეორეხარისხოვნად (საკმაოდ უსამართლოდ) მიიჩნევს. ასეთ დროს, სანამ მშობელთა „დამოძღვრას“ დავიწყებდეთ, მნიშვნელოვანია, დავფიქრდეთ – რატომ? შესაძლოა, მშობელთა უმრავლესობა ასე სწორედ იმიტომ მიიჩნევს, რომ

ჩვენს საზოგადოებაში (და არა მხოლოდ) გაბატონებულია ხედვა, თითქოს საზოგადოებაში წარმატება მხოლოდ აკადემიურ წარმატებაზე გადიოდეს, ხოლო ნაკლებად „ხელშესახებ“ ცოდნასა და უნარებზე დახარჯული დრო – ფუჭი იყოს, ხედვა კი სოციალურ-კულტურული კონტექსტითა და არსებული სისტემებით (მაგ., ტესტირება და საგამოცდო სისტემა, რომელიც ძირითადად დაზეპირებულ ცოდნაზეა ფოკუსირებული) არის გამყარებული.

მშობელთა ჩართულობის გზაზე პირველი ნაბიჯი **მშობელთა განსხვავებული პერსპექტივების აღიარება, პატივისცემა და მათზე რეფლექსიაა.** მნიშვნელოვანია, რეფლექსიის პროცესი დიალოგის ნაწილი იყოს – ვკითხოთ მშობლებს, რატომ მიაჩნიათ მნიშვნელოვნად სწორედ ეს და არა სხვა რამ? ავუხსნათ, ჩვენ რატომ ვფიქრობთ სხვაგვარად. როდესაც ჩვენსა და მშობლის ხედვებს შორის დიდი განსხვავებაა, შესაძლებელია თუ არა, მოიძებნოს გადაკვეთის წერტილი, რომელზეც ორივე მხარე შეთანხმდება? რა არის მთავარი, რასაც ჩვენ, პროფესიონალები, ვერ გადავუხვევთ? სად გადის წითელი ხაზი ბავშვის ინტერესების დასაცავად?

რეფლექსიის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, გავაცნობიეროთ, რომ **ყველა მშობელს შეუძლია** ხელი შეუწყოს შვილის განვითარებას, სწავლასა და წარმატებას. ბავშვის ხელშეწყობა ოჯახურ გარემოში, ბუნებრივია, გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მეცადინეობის დროს დახმარება. შესაძლოა, რთული იყოს, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანია თითოეული მშობლის შესაძლებლობების შემჩნევა და წახალისება ბავშვის ერთობლივი აღზრდისა და განათლების პროცესში. იყო მასწავლებელი – გარკვეულწილად ნიშნავს იყო სოციალური აქტივისტი, რომელსაც სჯერა თითოეული ადამიანის შესაძლებლობებისა და პოტენციალის, ინდივიდების გაძლიერების გზით უფრო ძლიერი და სამართლიანი საზოგადოების შექმნის. ის ყველაზე განსხვავებული პოზიციების მქონე ადამიანებთან ცდილობს დიალოგსა და ერთობლივი მშვიდობიანი სამოქმედო ველის შექმნას. ამიტომ მშობლებთან თანამშრომლობის პროცესში მნიშვნელოვანია **ყველა მშობლის თანასწორ პარტნიორად მიღება.** მშობლების მონაწილეობა საბავშვო ბაღსა თუ სკოლაში მიმდინარე პროცესებში ამარტივებს ურთიერთობებს და აყალიბებს თანამშრომლობით დამოკიდებულებას, აძლიერებს კავშირებს სახლსა და სკოლას/ბაღს შორის, მშობელსა და მასწავლებელს შორის, მშობელსა და სკოლას/ბაღს შორის, სკოლას/ბაღსა და ადგილობრივ თემს შორის. დაბოლოს, მშობლებთან თანამშრომლობის ხელშეწყობისთვის პრინციპულია გვახსოვდეს, რომ ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი როგორც **პროფესიონალების პასუხისმგებლობაა.** ნებისმიერ მშობელთან კონტაქტი შეიძლება „რთული“ აღმოჩნდეს, განურჩევლად მისი სქესისა, ეთნიკური წარმომავლობისა, ოჯახური მდგომარეობისა, განათლებისა და შემოსავლისა. მასწავლებლის მოვალეობა თითოეულ მშობელთან ინდივიდუალური კავშირის დამყარებაა.

რატომ არის მშობლების ჩართულობა მნიშვნელოვანი?

ფორმალურ განათლებაში მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობაზე არგუმენტები შეგვიძლია პირობითად ორ ჯგუფად გავყოთ: ინსტრუმენტულად და უფლებრივად. ინსტრუმენტული ხედვა მშობლის მონაწილეობას მნიშვნელოვნად მიიჩნევს, ვინაიდან ეს ემსახურება ბავშვის განვითარებას და სწავლაში უკეთესი შედეგების მიღწევას. ამ არგუმენტებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ე.წ.

„მშობელთა პედაგოგიზაციის“ ცნებაც, რაც გულისხმობს შესაბამისი ცოდნის არმქონე მშობლების განათლებას ბავშვის აღზრდისა და სწავლის „მეცნიერულ ჭეშმარიტებებთან“ მიმართებით. უფლებრივი პერსპექტივა მშობელს თანაბარ მონაწილე მხარედ მიიჩნევს და მშობელთა ჩართულობას მოიაზრებს როგორც დემოკრატიული მართვის პრინციპებზე დაფუძნებული ხარისხიანი განათლების განუყოფელ ნაწილს. გთავაზობთ ძირითად არგუმენტებს მშობელთა ჩართულობის მნიშვნელობის შესახებ:

- მშობლები ბავშვის პირველი მასწავლებლები არიან; ამასთანავე, ისინი ყველაზე უკეთ იცნობენ თავიანთ შვილებს, განსაკუთრებით – ადრეულ ასაკში, გვეხმარებიან, უკეთ გავიცნოთ ბავშვის უშუალო სოციალური და კულტურული გარემო, მისი ტემპერამენტი და პიროვნული მახასიათებლები.
- ბავშვები ცხოვრობენ რამდენიმე პარალელურ სივრცეში – ოჯახში, თემში, სკოლამდელ დაწესებულებაში/სკოლაში. მშობელთა ჩართულობა უზრუნველყოფს ამ სივრცეების ერთიან სიბრტყეში მოქცევას ისე, რომ ბავშვებს არ გაუჭირდეთ ერთი გარემოდან მეორეში გადასვლა, სხვადასხვა „სივრცეს“ აერთიანებდეს საერთო ღირებულებები და ბავშვების მიმართ არსებული მოლოდინები თანამიმდევრული იყოს.
- მშობლებსა და პროფესიონალებს შორის თანამშრომლობით ურთიერთობას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ბავშვის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.
- ოჯახის ჩართულობას პოზიტიური ზეგავლენა აქვს ყველა მონაწილე მხარეზე – ბავშვებზე, მშობლებზე, მასწავლებლებზე, ბაღის/სკოლის ადმინისტრაციასა და თემზე; ოჯახის ჩართულობა არ მოიაზრებს მშობლების მონაწილეობას მხოლოდ განსაკუთრებულ ღონისძიებებსა და მშობელთა კრებებში – ჩართულობა ნიშნავს კომუნიკაციას მშობლებისთვის ხელმისაწვდომი ფორმით, მათთან მუდმივ დიალოგს და თითოეული ბავშვის ოჯახისა და კულტურის გათვალისწინებას საგანმანათლებლო გარემოსა და პროცესში.
- მშობლებთან თანამშრომლობა ორმხრივი პროცესია და მოიაზრებს მშობლების მხარდაჭერას შინ (აღზრდა, ზრუნვა, განათლება) და განათლების პროცესისა და გარემოს გაუმჯობესებას საბავშვო ბაღში/სკოლაში. ორმხრივი პროცესი გულისხმობს, რომ ყველა მხარე – ბავშვები, ოჯახები, პროფესიონალები და ადგილობრივი თემი - განათლებისა და სოციალიზაციის თანამონაწილე და მიმღებია.
- მშობლების/ოჯახის ჩართულობა მნიშვნელოვანია საზოგადოებაში სოციალური ინკლუზიისა და ინტეგრაციის ხელშეწყობისთვის. საბავშვო ბაღები და სკოლები იმ იშვიათ საზოგადოებრივ სივრცეს წარმოადგენს, სადაც განსხვავებული კულტურის, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის, ეთნოსისა და შესაძლებლობების ბავშვები და უფროსები ერთ სივრცეში მოქმედებენ, ამიტომ ისინი ბუნებრივად ატარებენ სოციალური ინკლუზიისა და დემოკრატიული ჩართულობის ხელშეწყობის პოტენციალს არა მხოლოდ მიკროდონეზე (ბაღი, სკოლა), არამედ ფართო საზოგადოებისთვისაც.

რატომ არის მშობელთა ჩართვა რთული?

ხშირად მშობელთა ჩართვა მასწავლებლისთვის ძნელი მისაღწევია. ამ გამოწვევის მთავარ მიზეზად, წესისამებრ, მშობელთა დაკავებულობა, უდროობა ან ბავშვთა განათლების მიმართ მათი ინტერესის ნაკლებობა მიიჩნევა. თუმცა ხშირად უგულებელყოფილია მთავარი დაბრკოლება – მეორე მხარის მიმართ არსებული მოლოდინები და დამოკიდებულებები. ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია მშობლებსა და მასწავლებლებში მეორე მხარის მიმართ არსებული გავრცელებული შეხედულებები[3].

> ხშირად მშობელთა ჩართვა მასწავლებლისთვის ძნელი მისაღწევია. ამ გამოწვევის მთავარ მიზეზად, წესისამებრ, მშობელთა დაკავებულობა, უდროობა ან ბავშვთა განათლების მიმართ მათი ინტერესის ნაკლებობა მიიჩნევა. თუმცა ხშირად უგულებელყოფილია მთავარი დაბრკოლება – მეორე მხარის მიმართ არსებული მოლოდინები და დამოკიდებულებები.

მშობლები	მასწავლებლები (და ბაღის/სკოლის სხვა თანამშრომლები)
მორგებული აქვს მშობლის ტრადიციული როლი – „მიჰყევი პროფესიონალების მითითებებს“.	მორგებული აქვს მასწავლებლის ტრადიციული როლი – „პროფესიონალები უნდა უძღვებოდნენ ყველაფერს“.
შენარჩუნებული აქვს ტრადიციული წარმოდგენები ბავშვის, მასწავლებლის და, საზოგადოდ, განათლების შესახებ.	**შენარჩუნებული აქვს ტრადიციული წარმოდგენები ბავშვის, მშობლისა და, საზოგადოდ, განათლების შესახებ.**
ადანაშაულებს მასწავლებელს ბავშვის პრობლემებში.	ადანაშაულებს მშობლებს ბავშვის პრობლემებში.
მიაჩნია, რომ მასწავლებლები გულწრფელად არ ზრუნავენ მის შვილზე.	**მიაჩნია, რომ მშობლებს არ აღელვებთ შვილის განათლება.**

მშობლები	მასწავლებლები (და ბაღის/სკოლის სხვა თანამშრომლები)
ინიციატივას, მიწვევას და მონაწილეობისთვის შესაძლებლობების შექმნას ელის მასწავლებლებისგან.	მოლოდინი აქვს, რომ მშობელი მას შემდეგ ჩაერთვება სკოლის ცხოვრებაში, როდესაც მოპატიჟებას მიიღებს ბაღიდან/სკოლიდან და მონაწილეობას მიიღებს იმ ფორმით, როგორსაც ბაღი/სკოლა მოელის მისგან.
მიაჩნია, რომ მასწავლებელი პროფესიონალია, ამიტომ ემპათიას არ ამჟღავნებს მასთან.	**სურს, პროფესიონალურად გამოიყურებოდეს, ამიტომ არ ამჟღავნებს ემპათიას ბავშვებსა და მშობლებთან.**
არ აქვს ნათელი წარმოდგენა მის მიმართ არსებული მოლოდინების შესახებ.	ნათლად არ აყალიბებს მოლოდინებს; მოელის, რომ მშობლებმა უნდა იცოდნენ, როგორ მოიქცნენ და არ დასვან კითხვები ქცევის წესების შესახებ.
კომუნიკაციით დაღლილია და ფოკუსირებულია პრობლემებზე.	**კომუნიკაციით დაღლილია და ფოკუსირებულია პრობლემებზე.**
ეშინია მასწავლებლისთვის უკუკავშირის მიწოდების.	ეშინია ზოგიერთი მშობლისთვის უკუკავშირის მიწოდების.
მიაჩნია, რომ ზედაპირული მხარდაჭერის გარდა ბევრი არაფერი შეუძლია, აკლია საკუთარი შესაძლებლობებისა და კომპეტენციების რწმენა.	**მიაჩნია, რომ ზედაპირული მხარდაჭერის გარდა ბევრი არაფერი სჭირდება, არ ენდობა მშობლის კომპეტენციებს.**

მშობელთა ჩართვის სტრატეგიები და საუკეთესო პრაქტიკის პრინციპები

მშობელთა ჩართულობისთვის საგანმანათლებლო დაწესებულებები სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ[4]: კომუნიკაციას, მოხალისეობას, ოჯახის ჩართვას სასწავლო აქტივობებში, მშობლების მხარდაჭერას, გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამონაწილეობას, თემთან თანამშრომლობას, დისტანციურ ჩართულობას (მაგ., სოციალური ქსელები და სხვა პლატფორმები). თითოეული სტრატეგიის სპეციფიკის განხილვა ცალკე სტატიის თემაა, თუმცა შეგვიძლია, დასკვნის სახით ჩამოვაყალიბოთ ის პრინციპები, რომლებიც უნდა გასდევდეს მშობლების ჩართულობის ხელშეწყობას ნებისმიერ სიტუაციაში:

- ისეთი გარემოს შექმნა, სადაც კარი ყველასათვის ღიაა;
- ძლიერ მხარეებსა და შესაძლებლობებზე ფოკუსირება ურთიერთობის პროცესში;
- ფოკუსირება როგორც პროცესზე, ასევე შედეგზე;
- ერთმანეთისგან სწავლის შესაძლებლობის აღიარება და პატივისცემა;
- ინდივიდუალური შეხედულებების, გამოცდილებისა და კულტურის პატივისცემა;
- თანამშრომლობისა და კავშირების გაძლიერების ხელშეწყობა;
- აქტიური მონაწილეობა, ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება;
- თანამონაწილეობა არჩევანის გაკეთების, გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- სოციალური ინკლუზიისა და ინტეგრაციის მხარდაჭერა;
- ემპათია;
- საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- მშობლების როგორც ნახევრად პროფესიონალების მხარდაჭერა.

შენიშვნები

1 Winnincot, D. W. (1992). *The child, the family and the outside world.* Cambridge. Perseus.

2 Henderson, A.T., Mapp. K. L., Johnson, V.R., & D. Davies. (2007). *Beyond the Bake Sale. The essential guide to family-school partnerships.* New York, London. The New Press.

3 Trikic, Z. (2017). *Parental involvement – two sinking boats sending SOS (unpublished presentation).*

4 Desforges, C. & A. Abouchaar. (2003). The impact of parental involvement, parental support and family education on pupil achievement and adjustment: a review of literature.

5 Department of Children, Schools and Families. (2008). *The impact of Parental Involvement on Children's Education. https://www.ucy.ac.cy/nursery/documents/ThemaV domadas/DCSF-Parental_Involvement_1.pdf*

6 Trikic, Z. (2012) *Building Opportunities in Early Childhood from the Start. A teacher's guide to good practices in inclusive early childhood services.* International Step by Step Association, Roma Education Fund.

7 Watkins, A. & S. Ebersold. (2016) *Efficiency, effectiveness and equity within inclusive education systems.* In Implementing Inclusive Education: Issues in Bridging the Policy-Practice Gap, pp.229-253.

თამთა ჯოღიძე

სწავლა სიბერემდე: ფორმალური და არაფორმალური განათლების თავისებურებანი

> მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის როლი ზრდასრულთა განათლების საქმეში უდიდესია, ვერავინ უარყოფს არაფორმალური განათლების მნიშვნელობას მუდმივი პროფესიული ზრდისა და განვითარების კუთხით.

სწავლა კაცს სიბერემდე არ მოსჭარბდებაო, გვეუბნება ქართული ანდაზა, თუმცა ზრდასრულთა განათლების პრობლემებზე ღიად საუბარი საქართველოში მხოლოდ ოცდამეერთე საუკუნეში დაიწყო.

სკოლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდების ნაწილი ჯერ კიდევ იმიტომ აბარებს უმაღლეს სასწავლებელში, რომ საზოგადოებაში ასეა მიღებული, ანუ ან სტუდენტი ხარ, ან უსაქმური, რომელსაც თვითგანვითარებისთვის საჭირო სხვა ბერკეტები არ გააჩნია. წარმოიდგინეთ, გაქვთ ვაკანტური სამუშაო ადგილი და გასაუბრებაზე მოდის კანდიდატი, რომელსაც ბაკალავრის დიპლომიც კი არ აქვს. როგორ ფიქრობთ, ბევრი ხელმძღვანელი გაბედავს შესაბამისი კომპეტენციის დამადასტურებელი საბუთის გარეშე თანამშრომლის აყვანას?!

უმაღლესი განათლება და პროფესიის შესაბამისი (სულ მცირე, ერთწლიანი) სამუშაო გამოცდილება ნებისმიერი ვაკანსიის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განუყოფელი ნაწილია. ხშირად ზემოაღნიშნული მოთხოვნები გადაულახავ ბარიერს ქმნის. ისმის კითხვა: საიდან მიიღებ სამუშაო გამოცდილებას, თუ მის გარეშე არავინ მოგცა თავის გამოცდის უფლება?! ჩვენი ქვეყანა ისედაც უჩივის ვაკანსიების სიმწირეს და არჩევანსაც გამოცდილ, ფორმალური განათლების თვალსაზრისით კვალიფიციურ კადრებზე შეაჩერებს.

გამოდის, რომ ადამიანის ბედი ფორმალური განათლების სისტემის ჩარხზე ბრუნავს, რაც სკოლაში შესვლის დღიდან უმაღლესი სასწავლებლის კარის გამოხურვამდე ასე თუ ისე გაკმაყოფილებს, მაგრამ როგორც კი საგანმანათლებლო დაწესებულების ზღურბლს გადააბიჯებ, ახალი მოტივატორის მოძიება და მიზნების დასახვა დაგჭირდება. სამწუხაროდ, ადამიანთა დიდი ნაწილი ეგუება იმ ფაქტს, რომ სხვებისგან არაფრით გამოირჩევა, წყვეტს თვითგანვითარებისთვის ბრძოლას და ინერციით იწყებს ცხოვრებას.

საქართველოს უმაღლესი განათლების კანონში წერია, რომ უმაღლესი განათლების მთავარი მიზანია „ქართული და მსოფლიო კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა; დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტაცია; პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება; პიროვნული პოტენციალის რეალიზება და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება; თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება; შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა; უმაღლესი განათლების სისტემის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადება და გადამზადება, სამეცნიერო

კვლევის პირობების შექმნა, უზრუნველყოფა და განვითარება და სხვ.“

ზემომოყვანილი მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო ფორმალური განათლების ფარგლებში გვთავაზობს ხარისხიანი აკადემიური პროგრამების ხელმისაწვდომობას, სტუდენტთა სოციალური პირობების გაუმჯობესებას, პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას, აკადემიურ თავისუფლებას და, რაც მთავარია, „უმაღლესი განათლების მიღების შესაძლებლობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში“.

საინტერესოა, როგორ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფომ განათლების ხანგრძლივად მიღების შესაძლებლობა, იმის გარდა, რომ მოხსნილია ასაკობრივი შეზღუდვა მაგისტრატურასა თუ დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველთათვის. სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვებას აპლიკანტთა მხოლოდ ნაწილი ახერხებს, მსურველთა უმეტესობას კი ამ შესაძლებლობის გამოყენება საკმაოდ ძვირი უჯდება. გარდა ამისა, სასწავლო პროცესს სხვა ფაქტორებიც აფერხებს: არასწორი რეჟიმი, ზედაპირული სწავლა (სწავლა დიპლომისთვის), დაბალი მოტივაცია, გადაღლილობა, სწავლის შიში (სოფოფობია), დეპრესია და სხვ.

მსგავსი პრობლემების თავიდან ასაცილებლად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ზრდასრულთა განათლების მნიშვნელობის გააზრება და არსებული საგანმანათლებლო შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენება.

ზრდასრულთა განათლების თავისებურებებში უკეთ გასარკვევად ჯობს, თვალი გადავავლოთ

საგანმანათლებლო ნაშრომს „ზრდასრულთა განათლების ზოგადი მიმოხილვა საქართველოს, ნიგერიის, ინგლისისა და ავსტრალიის მაგალითზე“ (ნათელა ბედენაშვილი), რომელშიც განხილულია ზრდასრულთა განათლების ძირითადი პრინციპები და სხვადასხვა ქვეყნის დამოკიდებულება ზემოაღნიშნული საკითხისადმი.

ზრდასრულთა განათლება გულისხმობს საბაზო განათლების მქონე ზრდასრულ ასაკს (15 წელს) მიღწეულ პირთა განათლებას. მისი მთავარი პრინციპებია: სწავლების ინოვაციური მეთოდების დამკვიდრება; საბაზო განათლებითა და აუცილებელი საგანმანათლებლო უნარ-ჩვევებით თითოეული მოქალაქის აღჭურვა; ადამიანურ რესურსებში მეტი ინვესტიციის დაბანდება; სწავლის სხვადასხვა შესაძლებლობის არსებობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება, საგანმანათლებლო სივრცის ხელმისაწვდომობა და სხვ.

ზრდასრულთა განათლებას (ანდრაგოგიკა) არაერთ ქვეყანაში იკვლევენ. ზოგადი პედაგოგიკისგან მისი განცალკევება მოზარდისა და ზრდასრულის სწავლა-სწავლების პროცესების შედარებამ და მათ შორის არსებული განსხვავებათა დაფიქსირებამ განაპირობა. ყველაზე თვალსაჩინო განსხვავებად ის შეიძლება ჩაითვალოს, რომ ზრდასრულებს გაცილებით მეტი ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ. გარდა ამისა, ისინი იწყებენ დასახული მიზნისკენ სწრაფვას მიღებული ცოდნის გამოყენებით.

განათლებული საზოგადოება სოციალური პრობლემების გადაჭრის წინაპირობასაც წარმოადგენს. მაგალითად ავიღოთ დემოგრაფიული კონტექსტი, რომელიც გულისხმობს მიგრაციის საშიშროებას და მოსახლეობის დაბერებას, რაც აუცილებელს ხდის შრომისუნარიანი მოსახლეობის გადამზადებას, მათი კარიერული წინსვლის ხელშეწყობას და სოციალური პირობების გაუმჯობესებას.

დღეს ჩვენს ქვეყანაში განათლებას გაცილებით მეტი ყურადღება ექცევა, ვიდრე ჩემს ბავშვობაში. სახელმწიფო აფინანსებს ბევრ საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის – კომპეტენციის დამადასტურებელ და კვალიფიკაციის ასამაღლებელ ტრენინგებსაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროგრამები, რომლებიც ქვეყნის მაღალმ-

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებული საგანმანათლებლო კონფერენციების ამსახველ დოკუმენტებში ცხადად ჩანს ამ ქვეყნების პოზიცია ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობის მიმართ. მათ შორისაა საქართველოც. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს ზემოაღნიშნული დოკუმენტების (კონვენციები, მემორანდუმები) ხელმომწერი ქვეყნებიდან მისი კვალიფიკაციისა თუ სწავლის პერიოდის აღიარების მოთხოვნა შეუძლია.

თიანი, მოსახლეობისგან თითქმის დაცლილი, ენობრივი ბარიერის მქონე ან ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული სოფლების განვითარებაზეა ორიენტირებული. თუმცა ზემოაღნიშნული პროექტები უმთავრესად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ხორციელდება.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩატარებული საგანმანათლებლო კონფერენციების ამსახველ დოკუმენტებში ცხადად ჩანს ამ ქვეყნების პოზიცია ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობის მიმართ. მათ შორისაა საქართველოც. აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეს ზემოაღნიშნული დოკუმენტების (კონვენციები, მემორანდუმები) ხელმომწერი ქვეყნებიდან მისი კვალიფიკაციისა თუ სწავლის პერიოდის აღიარების მოთხოვნა შეუძლია.

ასევე აღსანიშნავია დისტანციური სწავლების ფორმატი. პირველი დისტანციური კურსი თურმე 1700 წელს გახსნილა. კომუნიკაციას ფოსტის მეშვეობით ამყარებდნენ და სპეციალურ სახელმძღვანელოებს სხვადასხვა მისამართზე გზავნიდნენ. დისტანციური კურსი არ მოიცავდა საშინაო დავალებებს და სხვა აკადემიურ ვალდებულებებს, ამიტომ მისით მხოლოდ მაღალი ენთუზიაზმის მქონე სტუდენტები ინტერესდებოდნენ.

ინტერნეტმა დისტანციური სწავლა განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა, გაცილებით მოქნილი და ღირებული გახადა. 1995 წლიდან ზოგიერთ ონლაინ კურსს უკვე ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხის მინიჭებაც შეეძლო. დღეისთვის ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის უნივერსიტე-

ტების მიერ ორგანიზებულ სასწავლო კურსებზე დარეგისტრირება. თანაც დისტანციური სწავლება უმეტესად გაცილებით იაფი ჯდება. დისტანციური პროგრამით მიღებული დიპლომი აკრედიტებულია და იმ დიპლომის მსგავსია, რასაც სტუდენტი ადგილზე სწავლის დროს იღებს.

დისტანციური სწავლების სხვადასხვა მეთოდი არსებობს. ყველაზე გავრცელებულია ონლაინ მეთოდი. ლექტორი სტუდენტებთან ელექტრონული ფოსტით და ვიდეოლექციებით ურთიერთობს. ვიდეოლექციები უმეტესად უნივერსიტეტის საიტზე იტვირთება და მათი ნახვა მხოლოდ კურსზე დარეგისტრირებულ პირს შეუძლია. ლექტორები მათ დაქვემდებარებაში მყოფი სტუდენტების კითხვებსაც ელექტრონული ფოსტით იღებენ და პასუხობენ.

ლაივკონფერენციის მეთოდი გულისხმობს სილაბუსით წინასწარ განსაზღვრულ დროში საlექციო კურსის ღია ეთერში მოსმენას. ლექციის მსვლელობისას სტუდენტს უფლება აქვს, დასვას კითხვები და პასუხსაც კითხვის დასმისთანავე იღებს. ჰიბრიდული კურსი კი ზემოთ განხილულ ორივე მეთოდს აერთიანებს, ანუ ლექციების ნაწილი ჩანაწერების სახითაა ხელმისაწვდომი, ნაწილი კი ლაივკონფერენციებზე იკითხება. საქართველო ონლაინ კურსების სიმრავლით ვერ დაიკვეხნის. აღნიშნული სასწავლო მეთოდი უმთავრესად უცხო ენის შესწავლისთვის გამოიყენება.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის როლი ზრდასრულთა განათლების საქმეში უდიდესია, ვერავინ უარყოფს არაფორმალური განათლების მნიშვნელობას მუდმივი პროფესიული ზრდისა და განვითარების კუთხით.

ევროპის საბჭო დიდი ხანია აქტიურად განიხილავს არაფორმალური სწავლების აღიარების აუცილებლობას და ასახელებს პროფესიული კომპეტენციების აღიარების ორ ფორმას: სერტიფიკაციას როგორც ფორმალური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელსაც განათლების სამინისტრო გასცემს და ვალიდაციას, რომელიც ითვალისწინებს განათლების ყველა ფორმას და მოიცავს დამატებითი კომპეტენციებისა და ცოდნის ამსახველ ინფორმაციას. ვალიდაცია კომპეტენციის დადასტურების ახალი და საზოგადოების დიდი ნაწილისთვის უცნობი ფორმაა. მისი მიზანი თვითსწავლისა და მისი შედეგების აღიარებაა.

2004 წლიდან საქართველოში განათლების საკითხებზე მუშაობის პროცესში ჩაერთო „ზრდასრულთა განათლების ასოციაცია“, რომლის მთავარი მიზანიც არაფორმალური განათლების ხელშეწყობა და „აქტიური მოქალაქის“ კონცეფციის პოპულარიზაციაა.

არაფორმალური განათლების მიღება შეგიძლიათ საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში ან მის მიღმა (ტრენინგები, სემინარები, საჯარო ლექციები, ვორქშოპები და სხვ.). არაფორმალური განათლების ფარგლებში შესაძლოა ახალ სპეციალობასაც დაეუფლოთ, თუმცა ჯერჯერობით ვერ შეძლებთ კომპეტენციის დამადასტურებელი ოფიციალური სერტიფიკატის მიღებას. ამ მიზეზით ბევრი არიდებს თავს თვითგანვითარებისა და პროფესიული წინსვლისთვის სასარგებლო შეხვედრებზე დასწრებას.

საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილმა თუ იცის, რომ 2011 წლიდან ძალაში შევიდა განათლების მინისტრის ბრძანება არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე: „არაფორმალური განათლების გზით მიღებული კვალიფიკაციის სახელმწიფო აღიარება ხორციელდება ატესტაციის გავლის შედეგად, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო აღიარებს არაფორმალურ განათლებას სახელობო განათლების დონეზე“. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ აღნიშნული დოკუმენტი ნაკლებად გამოიყენება პრაქტიკაში, რადგან ქართულ რეალობაში ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი ხედვა არაფორმალური განათლების შესახებ.

იმედს ვიტოვებ, მალე ჩვენს ქვეყანაშიც დაიხვეწება არაფორმალური განათლების სისტემა. მომდევნო წერილში კი თვითრეგულაციით სწავლის, ანუ წარმატების მთავარი ფორმულის შესახებ ვისაუბრებ.



გიორგი ნოზაძე

მოსწავლეთა საკლასო შეფასება

მოსწავლეთა საკლასო შეფასება როგორც პროცესი პირობითად ოთხ ეტაპად შეიძლება დაიყოს:

1. შესამოწმებელი კომპეტენციების შერჩევა და შეფასების მიზნის განსაზღვრა - რას და რისთვის ვაფასებთ;
2. შერჩეულ კომპეტენციებში მოსწავლეთა დახელოვნების შემოწმება და მტკიცებულებების შეგროვება;
3. შემოწმების შედეგების ანალიზი, დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავება;
4. უკუკავშირის მიწოდება, მოსწრების აღრიცხვა და წარდგენა დაინტერესებული მხარეებისთვის (მოსწავლე, მშობელი, კოლეგა-მასწავლებელი, დირექტორი).

დაწვრილებით განვიხილოთ თითოეული ეტაპი.

1. შესამოწმებელი კომპეტენციების შერჩევა და შეფასების მიზნის განსაზღვრა – რას და რისთვის ვაფასებთ

საწყის ეტაპზე ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის საბოლოო ან საშუალედო შედეგების შერჩევა, რომლებზეც მიმდინარეობდა მუშაობა მოსწავლეებთან და რომლებთან მიმართებითაც ვაპირებთ მოსწავლეთა დახელოვნების დონის განსაზღვრას.

თუ ეს შემოწმება მიზნად ისახავს ხარვეზების ან ძლიერი მხარეების მოძიებას, ანუ დიაგნოსტიკას, მაშინ იგი საორიენტაციო დანიშნულებისაა (როგორი მზაობის, სასწავლო პროფილისა თუ ინტერესების მოსწავლეები სხედან კლასში? წინარე ცოდნის განმტკიცებისკენ უნდა ავიღოთ გეზი თუ ეს უკვე აღარ არის საჭირო?).

თუ შემოწმება მიზნად ისახავს მიმდინარე სასწავლო პროცესის მონიტორინგს (განმავითარებელი შეფასება: შესაბამისი ტემპით და ხარისხით ითვისებენ თუ არა მოსწავლეები სასწავლო მასალას), მაშინ იგი მარეგულირებელი დანიშნულებისაა (უნდა შევიტანოთ კორექტივები სასწავლო პროცესის მიმდინარეობაში თუ ეს არ არის საჭირო? თუ კი, როგორი კორექტივები უნდა შევიტანოთ?).

თუ შემოწმება მიზნად ისახავს იმის გარკვევას, რამდენად მიუახლოვდა სასწავლო პროცესის ბოლოს მოსწავლეთა ოსტატობა დაგეგმილ მოლოდინებს (განმსაზღვრელი შეფასება – აკმაყოფილებენ თუ არა მოსწავლეები ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებს და როგორი ოსტატობით?), მაშინ იგი სასერტიფიკაციო დანიშნულებისაა (მოსწავლეებს ციფრულ-სიმბოლური, ვერბალურ-გრაფიკული ან წერილობითი ცნობის სახით ვუდასტურებთ მიღწევებს).

აქვე განისაზღვრება და დაკონკრეტდება სასწავლო ობიექტები (მაგალითად, ფაქტები, ცნებები, პროცედურები, შესრულების ხერხები) და მათზე მიმართული მოქმედებები (შედეგებსა და ინდიკატორებში შესაბამისი ზმნებით გამოხატული), რომელთა ფლობაც უნდა შემოწმდეს შეფასების პროცესში.

დაბოლოს, აქვე ხდება შერჩეულ ობიექტებზე მოქმედებების შესრულების იდეალისა თუ მიუღებელი ნიმუშების გაზრება და მოსწავლეთა ტიპური/

მოსალოდნელი შეცდომების ჩამონათვალის შედგენა. მისაღები თუ მიუღებელი ნიმუშები მასწავლებელმა შეიძლება მოიძიოს წინა თაობის მოსწავლეთა ნამუშევრებს შორის ან თვითონვე შეადგინოს. მოსწავლეთა კომპეტენციების შემოწმება-შეფასების დაწყებამდე მას მზად უნდა ჰქონდეს ტიპურ შეცდომათა ჩამონათვალი და ამ შეცდომებზე სკაფოლდინგით რეაგირების სტრატეგიები. პერიოდულად ის კოლეგებთან უნდა შეავსოს, გადაამოწმოს და გადასინჯოს.

2. შერჩეულ კომპეტენციებში მოსწავლეთა დახელოვნების შემოწმებადა მტკიცებულებების შეგროვება

მოცემულ ეტაპზე განისაზღვრება შეფასების მეთოდი (მაგალითად, წერითი თუ ზეპირი გამოკითხვა, პროექტის პრეზენტაცია თუ შესაფასებელი მოქმედების შესრულებაზე დაკვირვება), აგრეთვე – გამოკითხვის, პრეზენტაციებისა თუ დაკვირვების ორგანიზების ხერხები, ვადები, განრიგი და შემოწმების ადმინისტრირების სხვა საკითხები თუ წესები.

გარდა ამისა, მასწავლებელმა უნდა მოამზადოს გამოკითხვისთვის საჭირო საშუალებები (ტესტი, კითხვარი, პროექტების თემატიკა, პრეზენტაციების სტრუქტურა, გასაზომი ობიექტები და საზომი ხელსაწყოები, კომპლექსური დავალების ტექსტი და სხვა) და შეფასების ინსტრუმენტები (აღრიცხვის ცხრილები, შეფასების კრიტერიუმები და მათი წონები, რუბრიკები დახელოვნების დონეების მითითებით, შეფასების სქემები, ათბალიან სისტემაში ქულების კონვერტაციის ცხრილები ან ფორმულები და სხვა).

მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ მოსწავლეებთან შეთანხმებულ ვადებსა და პირობებში, შეფასების კრიტერიუმების წინასწარ წარდგენის შემდეგ, უნდა მოხდეს კომპეტენციებში მოსწავლეთა დახელოვნების შემოწმება:

- თუ შემოწმება მოიცავს მოქმედების შესრულებაზე დაკვირვებას, მაშინ მასწავლებელმა იქვე უნდა დააფიქსიროს გაწაფულობისა თუ სიზუსტის მაჩვენებლები;
- თუ მასწავლებელმა მოსწავლეების კომპეტენციებზე უნდა იმსჯელოს მოსწავლეთა მიერ მომზადებული პროდუქტების მიხედვით, მაშინ მას დასჭირდება მოსწავლეთა ნამუშევრებში ოსტატობის დონის მაჩვენებლების ამოცნობა



> მრავალჯერადი საკლასო შემოწმება- შეფასების მონაცემების შეჯამება უნდა მოხდეს შესაფერისი სტატისტიკური მახასიათებლების (მაგალითად, მონაცემთა საშუალო, მოდა, მედიანა, დიაპაზონი, საშუალო კვადრატული გადახრა) გამოყენებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს ტენდენციები და კორელაცია შედეგებზე ზეგავლენის მქონე ფაქტორებთან.

> მიზანშეწონილია სასკოლო შეფასების მონაცემთა მომზადებული ანალიზის შედარება გარე შეფასების ანალიზსა და შედეგებთან, რომელიც მოწვეულმა დამოუკიდებელმა სპეციალისტებმა შეასრულეს, ან სახელმწიფო თუ საერთაშორისო შეფასების შედეგებთან, რათა გაირკვეს სკოლის მოსწავლეთა მიღწევების აღგილი სახელმწიფო თუ საერთაშორისო სკალაზე.

და დაფიქსირება. ანგარიშგასაწევ მტკიცებულებებს შორის უნდა იყოს ხარვეზები და კიდევ უფრო მეტად – მიღწევები. მასწავლებელმა შეიძლება გამოიყენოს როგორც მწვანე (მიღწევების მოსანიშნად), ისე წითელი კალამიც (ხარვეზების მოსანიშნად). მიზანშეწონილია, იქვე გაკეთდეს კომენტარები და განმარტებები მოკლე უკუკავშირის სახით, ოღონდ არა წითელი კალმით, რათა არ გაძლიერდეს მოსწავლის შფოთვა და მან უკუკავშირი სამუშაო, საქმიან რეჟიმში გაიაზროს, საგანგებო მდგომარეობის განცდისა და განგაშის გარეშე.

3. შემოწმების შედეგების ანალიზი, დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავება

ამ ეტაპზე ხდება შეგროვილი მტკიცებულებების დახარისხება, მათი შედარება დახელოვნების დადგენილი დონეების შესაბამის მაჩვენებლებთან, ოსტატობის იდეალთან შეპირისპირება, თითოეული მოსწავლის მიერ მიღწეული ოსტატობის დონის გარკვევა ან ქულის მინიჭება, ინდივიდუალური და ერთიანი საკლასო პროგრესის/რეგრესის დაფიქსირება.

ეს ყველაფერი ემსახურება მოცემული ეტაპის საბოლოო აქტს – ერთი მხრივ, დასკვნების გამოტანას სასწავლო პროცესის წარმართვისა და კორექციის მიმართულებების, შინაარსისა თუ ხერხების შესახებ (მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული სტრატეგიებიდან და მეთოდებიდან რომელმა გაამართლა და რომელმა – არა? რა უნდა შეიცვალოს და როგორ?), მეორე მხრივ კი რეკომენდაციების შემუშავებას მოსწავლის სასწავლო ტრაექტორიის მომდევნო მონაკვეთის შესახებ (რა ნაბიჯების გადადგმაა მიზანშეწონილი ამის შემდეგ მოსწავლისთვის მისი საჭიროებებისა და მიღწევების შესაბამისად სწავლის გასაგრძელებლად?).

4. უკუკავშირის მიწოდება, მოსწრების აღრიცხვა და წარდგენა დაინტერესებული მხარეებისთვის

შეფასების უკანასკნელ ეტაპზე მასწავლებელი შეარჩევს უკუკავშირის ფორმას (ვერბალური, სიმბოლური, გრაფიკული), ჩამოაყალიბებს მას და მიაწვდის მოსწავლეებს. გარდა ამისა, მან აუცილებლად უნდა დაწეროს ანგარიში შეფასების ჩატარებისა და მისი შედეგების შესახებ და წარადგინოს კათედრაზე, შეინახოს პორტფოლიოში.

დაინტერესებული მხარეებისთვის (მოსწავლეები, მშობლები, კოლეგები, დირექცია) განკუთვნილი ინფორმაცია-ანგარიში უნდა მოიცავდეს შემოწმების ამსახველ დოკუმენტაციას, შედეგების სტატისტიკურ ნაწილს ცხრილური თუ დიაგრამული სახით, აგრეთვე – ვერბალური ფორმით გადმოცემული დასკვნებისა და რეკომენდაციების ნაწილს.

მრავალჯერადი საკლასო შემოწმება-შეფასების მონაცემების შეჯამება უნდა მოხდეს შესაფერისი სტატისტიკური მახასიათებლების (მაგალითად, მონაცემთა საშუალო, მოდა, მედიანა, დიაპაზონი, საშუალო კვადრატული გადახრა) გამოყენებით. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, გამოიკვეთოს ტენდენციები და კორელაცია შედეგებზე ზეგავლენის მქონე ფაქტორებთან.

მიზანშეწონილია სასკოლო შეფასების მონაცემთა მომზადებული ანალიზის შედარება გარე შეფასების ანალიზსა და შედეგებთან, რომელიც მოწვეულმა დამოუკიდებელმა სპეციალისტებმა შეასრულეს, ან სახელმწიფო თუ საერთაშორისო შეფასების შედეგებთან, რათა გაირკვეს სკოლის მოსწავლეთა მიღწევების ადგილი სახელმწიფო თუ საერთაშორისო სკალაზე.

შეფასების ამგვარი პროცედურების დამკვიდრება გამორიცხავს შეფასებისას მასწავლებელთა უხეშ შეცდომებს, რომლებიც განსაკუთრებით მძიმე ზეგავლენას ახდენს მოსწავლეების მოტივაციასა და სასწავლო პროცესის ნაყოფიერებაზე. მაგალითად, როდესაც:

- მასწავლებლები ერთმანეთს ადარებენ მოსწავლეების პასუხებს, ნამუშევრებსა და მოქმედებებს ან სულაც თავად მოსწავლეთა პიროვნულ მახასიათებლებს და არა მათ მიმართებას ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებსა და ნორმებთან;
- მასწავლებლები არ იყენებენ შეფასების კრიტერიუმებსა თუ რუბრიკებს – ისინი, უბრალოდ, ითვლიან მოსწავლეთა შეცდომებს;
- მასწავლებლები ასაშუალოებენ ქულებსა და ნიშნებს ყოველგვარი საფუძვლისა და მოსწავლეებისთვის შესაბამისი დასაბუთებაგანმარტების გარეშე;
- მასწავლებლები წინასწარ, შემოწმება-შეფასებამდე, არ წარუდგენენ მოსწავლეებს კრიტერიუმებსა თუ რუბრიკებს;
- მასწავლებლები შემოწმებისას ორიენტირებულნი არიან სასწავლო საკითხების დაფარვაზე და არა ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებზე;
- მასწავლებლები არასაკმარისად ფლობენ შემაჯამებელი თუ მიმდინარე ან სადიაგნოსტიკო დავალებებისა და ტესტების შედგენის ხელოვნებას და ბრმად ენდობიან სახელმძღვანელოებში მოცემულ მწირ, ეროვნულ სასწავლო გეგმასთან შეუსაბამო „საკონტროლო წერის“ ნიმუშებს.

სწორად წარმართული შეფასება ზედმიწევნით შეასრულებს თავის ძირითად ფუნქციებს:

- გააძლიეროს სასწავლო მიზნების მიღწევისადმი მისწრაფება;
- იტვირთოს კონსტრუქციული გზამკვლევის მისია;
- მოიცვას მოსწავლეთა მიღწევების სრული სპექტრი.

მანანა ბოჭორიშვილი

დასწავლა და ცოდნის გამოყენება

> როდესაც ადამიანი შეეჯახება პრობლემას, რომლის გადასაჭრელადაც მას არ გააჩნია მზა ქცევა, ის მანამდე მიმართავს მრავალ განსხვავებულ ქცევას, სანამ ერთ-ერთ მათგანს საჭირო შედეგი არ მოჰყვება.

განათლების სპეციალისტები და განათლების ფსიქოლოგიის მკვლევრები აღნიშნავენ, რომ დასწავლა არის გამოცდილებაზე დამყარებული პროცესი, რომლის დროსაც შედარებით მუდმივად იცვლება ქცევა და ქცევის პოტენციალი. აღსანიშნავია, რომ დასწავლა სამი მნიშვნელოვანი ნაწილისგან შედგება:

1. ცვლილება ქცევაში ან ქცევის პოტენციალში;
2. შედარებით მუდმივი ცვლილება;
3. გამოცდილებაზე დაფუძნებული პროცესი.

ცვლილება ქცევაში ან ქცევის პოტენციალში – დასწავლის პროცესი მაშინ შეიძლება ჩაითვალოს განხორციელებულად, როცა შედეგი აშკარაა, მაგალითად, შეგვიძლია ცურვა, ავტომობილის მართვა და ა. შ. თუმცა შეუძლებელია უშუალოდ დასწავლის პროცესზე დაკვირვება, რადგან, ჩვეულებრივ, ამ პროცესით გამოწვეული ცვლილებები „ტვინში არ ჩანს“, მაგრამ მათი არსებობა აშკარა ხდება ქცევის განმტკიცებით. მიუხედავად ამისა, ხშირად ქცევაში არ ვლინდება, რაც ნასწავლია. ადამიანს აქვს ზოგადი განწყობები, მაგალითად:

- დამოკიდებულება თანამედროვე ხელოვნებისადმი;
- აღმოსავლური ფილოსოფიის ცოდნა და ა.შ.

ხშირად ნასწავლი არ ვლინდება გაზომვადი ქმედებით, მაგრამ ამ შემთხვევაში არსებობს პოტენციალი ქცევითი ცვლილებისთვის, რადგან არსებობს/ნასწავლია დამოკიდებულება და ღირებულებები, რომლებიც გავლენას ახდენს, მაგალითად, იმ ლიტერატურის შერჩევაზე, რასაც ადამიანი კითხულობს და ასევე –თავისუფალი დროის გატარების ფორმაზე. ესაა სახეცვლილი დასწავლის მაგალითი, ანუ სხვაობა, რომელიც არსებობს ნასწავლსა და ქცევით გამოხატულს შორის.

შედარებით მუდმივი ცვლილება – დასწავლილ ქცევას ან ქცევით პოტენციალს რომ ნასწავლი ვუწოდოთ, ის სტაბილური და მუდმივი უნდა იყოს სხვადასხვა სიტუაციაში. **მაგალითად:** თუ ერთხელ ვისწავლეთ ცურვა, ყოველთვის შევძლებთ ამ ცოდნის გამოყენებას, ზღვაზე ვიქნებით თუ საცურაო აუზზე.

აღსანიშნავია, რომ სტაბილური ცვლილება არ არის ყოველთვის მუდმივი ცვლილება. მაგალითად, შეიძლება გავხდეთ კალათბურთის ბურთის კალათში კარგი მტყორცნელი მოცემული დროისათვის, მაგრამ თუ თავს დავანებებთ ამ სპორტს, განსაზღვრული ხნის შემდეგ შევამჩნევთ, რომ ისე კარგად ვეღარ ვფლობთ ამ უნარს, თუმცა ხელახლა სწავლის შემთხვევაში იგრძნობა ის სიადვილე, რომლითაც დასწავლა ხდება – **თითქოს ცოდნის რაღაც ნაწილი შენახულია წარსული გამოცდილების შედეგად. ამ კონტექსტში ცვლილება შეიძლება მუდმივი იყოს.**

გამოცდილებაზე დაფუძნებული პროცესი – დასწავლა მხოლოდ გამოცდილებით შეიძლება. გამოცდილება გულისხმობს ინფორმაციის მიღებას (გაგებას და ტრანსფორმაციას)

და რეაგირებას, რაც გავლენას ახდენს გარემოზე.

როგორ ხდება გადასვლა კონკრეტული აქტივობების შესახებ დეკლარაციული ფაქტების ჩამოთვლიდან იმავე აქტივობის არაცნობიერ, ავტომატურ შესრულებაზე?

რატომ არის, რომ ჩვევის გამომუშავების შემდეგ ხშირად გვიძნელდება ამ ჩვევის გამომუშავების პროცესის მეტ-ნაკლებად დეტალურად გახსენება და დეკლარაციული ფაქტების აღდგენა, რომლებიც თავის დროზე საფუძვლად დაედო ამ ჩვევის გამომუშავებას?

ამ ფენომენის საილუსტრაციოდ განვიხილოთ მარტივი მაგალითი: კომპიუტერის კლავიატურაზე ტექსტის აკრეფის შესწავლის დასაწყისში ყოველი ასოს აკრეფის წინ დაფიქრება გვიხდება, მაგრამ ამ მოქმედების ხშირად გამეორების შემდეგ ცნობიერებაში ის აღარ ნაწევრდება ასოებისა და სიმბოლოების დონეზე და უკვე უსწრაფესად, „მექანიკურად“ ვკრეფთ. ამ პროცესს **ცოდნის კომპილაცია** ჰქვია, ანუ პრაქტიკის შედეგად სხვადასხვა მოქმედების თანმიმდევრობით შედგენილი საკმაოდ რთული მოქმედების შესრულება ცნობიერების ჩაურევლადაა შესაძლებელი. ამავე დროს, ვერ გაიხსენებთ ამ მოქმედების ცალკეულ შემადგენლებს. მაგალითად, შეიძლება შეგხვდეთ ადამიანი, რომელიც მანამდე ვერ იხსენებს ტელეფონის ნომერს, სანამ აკრეფის იმიტაციას არ მოახდენს.

ცნობილია, რომ მეხსიერებას ინფორმაციის კოდირების, შენახვისა და აღდგენის ფუნქციები აქვს. ბევრი ფსიქოლოგი მეხსიერებას იერარქიის სახით წარმოადგენს, რომელიც სხვადასხვა ტიპის მეხსიერებას მოიცავს (იხ. სურათი N1).

სიტუაციის ელემენტებსა და სიტუაციის შემადგენლებს და B – რეაქციებს, რეაგირებისათვის მზაობას, სტიმულებს, შეფერხებას, რეაქციის მიმართულებას შორის.

მეხსიერების ტიპების იერარქია

სურათი N1



მეხსიერების მრავალსისტემური მოდელი



სურათი N2

არსებობს მეხსიერების როგორც მრავალსაცავიანი სისტემის ხედვა. ეს მიდგომა 1968 წელს ამერიკელმა ფსიქოლოგებმა შიფრინმა და ატკინსონმა შეიმუშავეს. მათი თეორიის მიხედვით, მეხსიერება სამი კომპონენტისგან შედგება: სენსორული მეხსიერებისგან, ხანმოკლე მეხსიერებისა და ხანგრძლივი მეხსიერებისგან. მეხსიერების მრავალსისტემური მოდელი სქემატურად წარმოდგენილია მეორე სურათზე.

დასწავლის პროცესში არსებულ პრობლემებს შეისწავლიდა ედვარდ ლი თორნდაიკი. მან შეიმუშავა ექსპერიმენტული მიდგომა, რომელსაც კონექციონიზმი დაარქვა. თორნდაიკი წერდა, რომ თუ ადამიანის ცნობიერების გაანალიზება დასჭირდებოდა, ის მოძებნიდა კავშირს: A – სიტუაციას,

დასწავლის რომელ ფორმას მიმოიხილავს ედვარდ თორნდაიკი?

ესაა დასწავლა ცდისა და შეცდომის მეთოდით. მო-

> ხშირად ხდება, რომ ჩვენის გამომუშავების შემდეგ გვიძნელდება ამ ჩვენის გამომუშავების პროცესის მეტ-ნაკლებად დეტალურად გახსენება და დეკლარაციული ფაქტების აღდგენა, რომლებიც თავის დროზე საფუძვლად დაედო ამ ჩვენის გამომუშავებას.

ცემული სტილის დასწავლა შემდეგნაირად მიმდინარეობს: ახალ და უცხო სიტუაციაში ადამიანი მანამდე მიმართავს სხვადასხვა ქცევას, სანამ მისი ქცევა სასურველ შედეგს არ გამოიღებს. ამის შემდეგ ხდება წარმატებული ქცევის გამეორება, რასაც დასწავლა განაპირობებს.

თორნდაიკმა შექმნა დასწავლის კანონები:

1. ეფექტის კანონი;
2. მზაობის კანონი;
3. მრავალი რეაქციის კანონი;
4. დომინანტური ელემენტების კანონი;
5. განწყობის ანუ დამოკიდებულების კანონი;
6. ანალოგიური რეაქციის კანონი.

ეფექტის კანონი გვიხსნის, რომ ყოველთვის მოხდება იმ ქცევის გამეორება, დასწავლა, რომელსაც თან ახლავს „კმაყოფილების განცდა“ და, პირიქით, არ მოხდება იმ ქცევის გამეორება, რომელსაც „კმაყოფილების განცდა“ არ ახლავს თან.

მზაობის კანონი: ნებისმიერი ქმედების დასწავლა-არ-დასწავლა მზაობაზეა დამოკიდებული. მზაობა ადამიანის განვითარების დონესა და მოტივაციას გულისხმობს. **მაგალითად**, სტუდენტი კომპიუტერის გამოყენებით დავალების შესრულების დროს დაშვებული შეცდომების გათვალისწინებით მაშინ აღწევს სასურველ შედეგს, როცა მან განსაზღვრულ დონეზე უკვე იცის კომპიუტერთან მუშაობა.

მრავალი რეაქციის კანონი: როდესაც ადამიანი შეეჯახება პრობლემას, რომლის გადასაჭრელადაც მას არ გააჩნია მზა ქცევა, ის მანამდე მიმართავს მრავალ განსხვავებულ ქცევას, სანამ ერთ-ერთ მათგანს საჭირო შედეგი არ მოჰყვება.

განწყობის ანუ დამოკიდებულების კანონის თანახმად, ჩვენ მივმართავთ განსაზღვრულ ქცევას ჩვენი ცხოვრებისეული გამოცდილებისა და დამოკიდებულებების გათვალისწინებით. მოცემული კანონი აღიარებს კულტურისა და გამოცდილების ზეგავლენას. ჩვენი დამოკიდებულებები კულტურის ზეგავლენას განიცდის.

დომინანტური ელემენტების კანონის თანახმად, პრობლემურ სიტუაციაში ორგანიზმი რეაგირებს განსაკუთრებით მნიშვნელოვან (დომინანტურ) ელემენტებზე. მოსწავლე სწორი გადაწყვეტილების ძიებისას, უპირველეს ყოვლისა, თვალში საცემ დეტალებს აფიქსირებს.

ანალოგიური რეაქციის კანონი გულისხმობს, რომ როცა ვხვდებით ახალ სიტუაციაში, უწინარეს ყოვლისა, მივმართავთ იმ ქცევას, რომელსაც მსგავს სიტუაციაში მივმართავდით. რეაქცია და ქცევა ერთი სიტუაციიდან მეორეში გადაგვაქვს, რაც აუცილებელია ადაპტაციისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. რ. გერიგი, ფ. ზიმბარდო. ფსიქოლოგია და ცხოვრება, თბილისი, თსუ, 2009
2. გერიგი, ზიმბარდო. ფსიქოლოგია და ცხოვრება, მე-16 გამოცემა, თბილისი, თსუ, 2009
3. დ. ფარჯანაძე. მეხსიერების ფსიქოლოგია. თბილისი, 2008
4. Gleitman, H., Gross, J., Reisberg, D. (2011). Psychology, 8th ed. W. W. Norton & Company, Inc. New York
5. რ. გერიგი, ფ. ზიმბარდო. ფსიქოლოგია და ცხოვრება; თბილისი, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, 2009. გვ. 270-271;
6. Colman, A. M. (2006) Oxford Dictionary of Psychology; Oxford University Press, p. 36
7. დ. ფარჯანაძე. *მეხსიერების ფსიქოლოგია*. თბილისი, 2008
8. Gazzaniga, M.S., & Miller, M.B. (2009). The left hemisphere does not miss the right hemisphere. In S. Laureys & G. Tononi (Eds). The Neurology of Consciousness (pp. 261-70). London: Elsevier
9. Gleitman, H., Gross, J., Reisberg, D. (2011). *Psychology*, 8th ed. W. W. Norton & Company, Inc. New

მაია ჯაღიაშვილი

სასკოლო კონფლიქტები და მათი მოგვარების გზები

სკოლა, როგორც საზოგადოების ნაწილი, სარკესავით ირეკლავს ყოველივე იმას, რაც, საზოგადოდ, ქვეყანაში ხდება. სხვადასხვა ტიპის კონფლიქტი კი ადამიანური ცხოვრების თანამდევია, შესაბამისად, წარმოუდგენელია სკოლა, რომლისთვისაც უცხოა უთანხმოება – მასწავლებლებს, მოსწავლეებს, ადმინისტრაციას, პედაგოგებს შორის. სკოლა უნდა ეცადოს, ნებისმიერი კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს, ისე, რომ არც მატერიალურად და არც ზნეობრივად არ დაზარალდეს კონფლიქტში ნებით თუ უნებურად ჩართული რომელიმე მხარე.

პედაგოგიური საქმიანობის განხორციელებისას მასწავლებელი არ არის მარტო, მას ურთიერთობა აქვს კოლეგებთან, მოსწავლეებთან, მშობლებთან, ადმინისტრაციასთან. ასე რომ, ძნელია, პედაგოგი გაექცეს სხვადასხვა სახის უთანხმოებას, რომელიც ამ ურთიერთობისას წარმოიშობა.

პედაგოგიურ პრაქტიკაში არსებობს კონფლიქტური სიტუაციის მოგვარების როგორც კონსტრუქციული, ისე დესტრუქციული საშუალებებიც. კონფლიქტის ცნების განსაზღვრისას მას ხშირად ნეგატიურ კონტექსტში გაიაზრებენ, ის ხშირად არის უარყოფითის სინონიმი. ამ შემთხვევაში კონფლიქტად მოიაზრება მიზნების, ქცევისა თუ ინტერესების დაპირისპირებულობა და მიუღებლობა. თუმცა არსებობს კონფლიქტის სხვაგვარი გაგებაც, როდესაც მას უდგებიან როგორც ძალზე ცხოვრებისეულ მოვლენას, რომელსაც ადამიანები ყოველთვის ნეგატიურ შედეგამდე როდი მიჰყავს. პირიქით, ხანდახან ის საზოგადოების განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

დესტრუქციულ კონფლიქტად უთანხმოება მაშინ განიხილება, თუ რომელიმე მხარე უკმაყოფილო რჩება შედეგით, რასაც მოჰყვება ურთიერთობათა მსხვრევა, წყენა, გაუგებრობა, ხოლო კონსტრუქციულად ის კონფლიქტი მიიჩნევა, რომლის შედეგი სასარგებლოა მონაწილე მხარეთათვის. კონსტრუქციული კონფლიქტის შემდეგ მხარეთა შორის იზრდება ურთიერთგაგება, ისინი რაღაც ახალს, ღირებულს აღმოაჩენენ თუ იძენენ და, რაც მთავარია, კმაყოფილნი არიან შედეგებით.

სასკოლო კონფლიქტი მრავალწახნაგოვანი მოვლენაა, ამიტომ იგი ერთმნიშვნელოვნად არ განიხილება. მოსწავლეებთან ურთიერთობისას მასწავლებელს ხშირად უხდება ფსიქოლოგის როლში ყოფნაც.

კონფლიქტი მოსწავლესა და მოსწავლეს შორის, ბავშვებს შორის და, საზოგადოდ, სკოლაში ჩვეულებრივი მოვლენაა. ქვემოთ განხილულ სიტუაციაში მასწავლებელი არ არის კონფლიქტის მხარე, თუმცა უწევს მასში მონაწილეობა, რათა განმუხტოს სიტუაცია, შეარიგოს მოწინააღმდეგენი, აღმოფხვრას კონფლიქტის მიზეზები და წყაროები.

> სკოლა უნდა ეცადოს, ნებისმიერი კონფლიქტი მშვიდობიანად მოგვარდეს, ისე, რომ არც მატერიალურად და არც ზნეობრივად არ დაზარალდეს კონფლიქტში ნებით თუ უნებურად ჩართული რომელიმე მხარე.

მოსწავლეთა შორის კონფლიქტის მიზეზთაგან შეიძლება დავასახელოთ:

- ავტორიტეტისთვის ბრძოლა;
- შეჯიბრება;
- ტყუილი;
- ჭორი;
- შეურაცხყოფა;
- წყენა;

- შური;
- სიძულვილი;
- მასწავლებლის საყვარელი მოწაფის მტრობა;
- განსხვავებულის დევნა;
- პირადი უმიზეზო ათვალწუნება;
- ბიჭების დაპირისპირებულობა გოგონასთან ან პირიქით;
- სხვა.

როგორია მოსწავლეთა შორის კონფლიქტის მოგვარების გზები? კონსტრუქციულად როგორ შეიძლება მოგვარდეს ამ ტიპის უთანხმოებანი? ხშირად მოსწავლეები განსაზღვრული ტიპის უთანხმოებას უფროსების გარეშე, დამოუკიდებლად აგვარებენ. თუ მასწავლებლის ჩარევა მაინც აუცილებელი გახდა, დიდი სიფრთხილისა და ტაქტის გამოჩენაა საჭირო. პედაგოგმა მაქსიმალური სიმშვიდე უნდა შეინარჩუნოს, არ უნდა დაკარგოს წონასწორობა, არ უნდა უღალატოს სამართლიანობის განცდამ. მან უნდა გამონახოს იმგვარი გზა, რომ მხოლოდ მიეხმაროს უთანხმოების მონაწილეებს კონფლიქტის მოგვარებაში, აქტიურად კი არ ჩაერიოს, თავი აარიდოს რომელიმე მხარეზე ზეწოლას, მის გალანძღვას, საჯარო მობოდიშების მოთხოვნას. უკეთესი იქნება, თუ მოსწავლეები უთანხმოებას თვითონვე მოაგვარებენ.

კონსტრუქციული კონფლიქტი ბავშვის სოციალურ ჩვევებს უფრო გაამდიდრებს, რაც მას თანატოლებთან ურთიერთობაში დაეხმარება, პრობლემის გადაჭრას ასწავლის, ეს კი მას ზრდასრულ ცხოვრებაშიც გამოადგება.

კონფლიქტის მოგვარების შემდეგ აუცილებელია პედაგოგისა და მოსწავლის დიალოგი. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი მოსწავლეს სახელით მიმართავს. მნიშვნელოვანია, მოსწავლემ იგრძნოს ნდობისა და კეთილგანწყობის ატმოსფერო. მასწავლებელმა შესაძლოა უთხრას მოსწავლეს, რომ კონფლიქტი არ არის მღელვარების საბაბი, რომ ცხოვრებაში ბევრი უთანხმოება შეხვდება, თუმცა ეს ყოველთვის ცუდი არ არის, მთავარია, პრობლემა სწორად, ურთიერთდადანაშაულებისა და შეურაცხყოფის გარეშე მოგვარდეს, გამოიტანონ დასკვნები, შეცდომების გამოსწორებაზე იმუშაონ. მაშინ ასეთი კონფლიქტი სასარგებლო იქნება.

ბავშვი ხშირად ჩხუბობს და აგრესიულია, როცა არ ჰყავს მეგობრები და არ აქვს გატაცებები. ამ შემთხვევაში მასწავლებელი აუცილებლად უნდა გაესაუბროს მოსწავლის მშობლებს, ურჩიოს, მიიყვანონ შვილი რაიმე წრეზე ან სპორტულ სექციაში, იმის მიხედვით, რის მიმართ იჩენს ინტერესს. ახალი საქმიანობა მას ინტრიგებისთვის დროს აღარ დაუტოვებს, პირიქით, ახალ ნაცნობებს გაუჩენს და სასარგებლო იქნება მისი სოციალური ადაპტაციისთვის.

კონფლიქტი შეიძლება მოხდეს მასწავლებელსა და მოსწავლის მშობელს შორისაც. ასეთი უთანხმოება შეიძლება პროვოცირებული იყოს როგორც მასწავლებლის, ასევე მშობლის მიერ. უკმაყოფილებაც შეიძლება ორმხრივი იყოს. უმეტესად ამგვარი კონფლიქტის მიზეზია:

- მხარეთა განსხვავებული წარმოდგენები აღზრდის შესახებ;
- მშობლის უკმაყოფილება მასწავლებლის სწავლების მეთოდებით;
- პირადი მტრობა;
- ბავშვის დაბალი შეფასებით უკმაყოფილება.

> კონფლიქტებს უმეტესად ის მოსწავლეები ქმნიან, რომლებიც არ სწავლობენ, საშინაო დავალებას არ ასრულებენ, უდისციპლინოდ იქცევიან. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ასეთი მოსწავლეების მიმართ მეტ ნდობას გამოიჩენს, რაიმე საპასუხისმგებლო საქმეს მიანდობს.





როგორ შეიძლება ამ სახის კონფლიქტის მოგვარება? უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია კონფლიქტის არსში მშვიდად გარკვევა. ყველაფერს რეალისტურად უნდა შეეხედოთ და მოვლენები მიუკერძოებლად შევაფასოთ. არადა, ხშირად სხვაგვარად ხდება. კონფლიქტის მონაწილენი თვალს ხუჭავენ თავიანთ შეცდომებზე, ოპონენტის ქცევას კი დაუცხრომლად აკრიტიკებენ. როდესაც სიტუაცია სწორად არის შეფასებული, მასწავლებელს უიოლდება, იპოვოს „მძიმე“ მშობელთან კონფლიქტის ნამდვილი მიზეზი, სწორად შეაფასოს ორივე მხარის მოქმედებები, იპოვოს უთანხმოების კონსტრუქციული მოგვარების გზა. ამის შემდეგ კი უნდა გაიმართოს დიალოგი მასწავლებელსა და მშობელს შორის, რათა საბოლოოდ გაირკვეს ყოველივე, მასწავლებელმა მშობლის თვალითაც დაინახოს პრობლემები და სხვა დროს თავიდან აიცილოს მსგავსი შემთხვევა.

სკოლაში განსაკუთრებით ხშირია კონფლიქტი მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის. უთანხმოების მიზეზი შეიძლება იყოს:

- მასწავლებლის მოთხოვნათა გაუგებრობა;
- დაურულებელი მოთხოვნები მოსწავლის მიმართ;
- მასწავლებლის მოთხოვნათა არათანამიმდევრულობა;
- მოსწავლე მიიჩნევს, რომ მასწავლებელი არ აფასებს;
- მასწავლებელი მოსწავლის ნაკლოვანებებს ვერ ეგუება;
- მასწავლებლის ან მოსწავლის პირადი თვისებები (უხეშობა, დაუცველობა, სიფიცხე);
- სხვა.

კონფლიქტი რომ არ გამწვავდეს, მასწავლებელმა რამდენიმე ფსიქოლოგიურ ხერხს უნდა მიმართოს. მან ხმას არავითარ შემთხვევაში არ უნდა აუწიოს, არც გაღიზიანდეს, აღელდეს, პირიქით, მშვიდად, გაწონასწორებულად, თავდაჯერებულად უნდა უპასუხოს მოსწავლის აღგზნებულ რეაქციას. ამ შემთხვევაში მოსწავლესაც გადაედება მასწავლებლის სიმშვიდე და ყველაფერი უფრო სწრაფად მოგვარდება.

კონფლიქტებს უმეტესად ის მოსწავლეები ქმნიან, რომლებიც არ სწავლობენ, საშინაო დავალებას არ ასრულებენ, უდისციპლინოდ იქცევიან. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ასეთი მოსწავლეების მიმართ მეტ ნდობას გამოიჩენს, რაიმე საპასუხისმგებლო საქმეს მიანდობს. ასეთ მოურჯულებელ მოსწავლესთან სასაუბროდ მასწავლებელი წინასწარ უნდა მოემზადოს – კარგად მოიფიქროს, რა უთხრას. მთავარია საკუთარი უარყოფითი ემოციების მართვა, ბავშვის მოსმენა და გაგება, პრობლემის მისი გადასახედიდან შეფასება. უნდა გამოირიცხოს ბავშვის დამცირება თუ შეურაცხყოფა. მაგალითად, წარმოვიდგინოთ ასეთი სიტუაცია: მეექვსეკლასელი ანანო ცუდად სწავლობს, მასწავლებელთან ხშირად უხეშობს, იოლად ღიზიანდება შენიშვნაზე. ახლაც გაკვეთილზე უყურადღებოდაა, ქაღალდის ბურთულებს ისვრის და მასწავლებელს ხელს უშლის. რა თქმა უნდა, პედაგოგმა უნდა გამოხატოს რეაქცია, მაგრამ ისე, რომ ანანოს შეურაცხყოფა არ მიაყენოს, მაგალითად, მშვიდად უთხრას: „დღეს ანანოს კარგად არ უსაუზმია, ამიტომაც ქაღალდს მიზანში ვერ ისვრის“. ამის შემდეგ იმავე ტემპში გააგრძელოს გაკვეთილი, შესვენებაზე კი გოგონას მშვიდად გაესაუბროს, კეთილგანწყობა გამოამჟღავნოს და დახმარების სურვილი გამოთქვას. ამავე დროს, კარგი იქნებოდა, მასწავლებელი ანანოს მშობლებსაც გასაუბრებოდა, რათა მისი ამგვარი ქცევის მიზეზები გაერკვია, მეტი დრო დაეთმო, საპასუხისმგებლო დავალებები მიენდო, დავალებების შესრულებაში მიხმარებოდა, შეექო. ყოველივე ამას, სავარაუდოდ, კონსტრუქციული შედეგი მოჰყვებოდა.

ასე რომ, ყოველგვარი ტიპის კონფლიქტის მოსაგვარებლად აუცილებელია:

- მასწავლებლის სიმშვიდე და გაწონასწორებულობა;
- კონფლიქტის მიზეზებში ღრმად გარკვევა;
- მოწინააღმდეგე მხარის ბრალდებების მოსმენა და გაანალიზება;
- დამცირებისა და შეურაცხყოფის თავიდან არიდება;
- კონფლიქტში მონაწილე მხარეებისთვის საერთო მიზნის გამონახვა.

მაია ფირჩხაძე

მინიატურული მოთხრობა როგორც საგნობრივი მეტყველების დაუფლების ეფექტური საშუალება

> აუცილებელია სხვადასხვა პრაქტიკული ხერხის გამოყენება საგნობრივი კომპეტენციების დასაუფლებლად. საგნობრივი მეტყველების განვითარებისადმი ერთ-ერთ ასეთ მიდგომას წარმოადგენს საგაკვეთილო პროცესში მინიატურული მოთხრობების ჩართვა.

მეტყველების განვითარება, საზოგადოდ, უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანის პიროვნული და სულიერი ზრდის პროცესში. ასევე მნიშვნელოვანია ის საგნობრივი კომპეტენციების დასაუფლებლადაც. საგნობრივ მეტყველებას - საგნისათვის აუცილებელი ლექსიკური ერთეულების ცოდნასა და გამოყენებას - დიდი გავლენა აქვს ამა თუ იმ საგანში მოსწავლის წარმატებასა და მიღწევებზე. ასეა ისტორიის სწავლების შემთხვევაშიც. ამიტომ აუცილებელია სხვადასხვა პრაქტიკული ხერხის გამოყენება საგნობრივი კომპეტენციების დასაუფლებლად. საგნობრივი მეტყველების განვითარებისადმი ერთ-ერთ ასეთ მიდგომას წარმოადგენს საგაკვეთილო პროცესში მინიატურული მოთხრობების ჩართვა.

მინიატურული მოთხრობა ვიწრო თემის ირგვლივ შექმნილი პატარა მოთხრობა ან ნარკვევია, რომელსაც დასრულებული ფორმა და შინაარსი აქვს. მას საფუძვლად მოსწავლის პირადი დაკვირვება და ცოდნა უნდა ედოს, რომელზე დაყრდნობითაც ის რამეს ან ვინმეს აღწერს.

მინიატურული მოთხრობის დაწერას მოსწავლეს გაკვეთილზე ვთხოვთ და ამისთვის დაახლოებით 7-10/15 წუთს ვაძლევთ. შეიძლება, ეს აქტივობა თვეში ორჯერაც გამოვიყენოთ და არა მარტო მიმდინარე აქტივობად, არამედ შემაჯამებელ სამუშაოდაც.

აქტივობის შესასრულებლად მოსწავლეს ვთავაზობთ თემას, ან ის თავად ირჩევს მას და თავისუფალი ინტერპრეტაციის გზით გადმოსცემს საკუთარ გრძნობებსა და აზრებს. მინიატურულ მოთხრობაში შეიძლება მოხდეს ყველაფერი, რაც რეალურ ცხოვრებასთანაა დაკავშირებული.

ცხადია, ერთბაშად ასეთი მოთხრობის დაწერა ძნელია, წარმოუდგენელიც კი, ამიტომ მოსწავლეს წინასწარ ვამზადებთ წერისთვის, ვავარჯიშებთ. სავარჯიშოები მიმართულია სასურველი აზრის გადმოცემისთვის შესაფერისი სიტყვების შერჩევისკენ, ანალოგიებით აზროვნებისკენ, ცნების შინაარსის წვდომისკენ და ა.შ. განსაზღვრული ეტაპის შემდეგ, სავარჯიშოების შესრულებისას, მოსწავლეებს ვაფასებთ კიდეც – როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებით.

სახელდობრ რა ინსტრუქციებს ვაძლევთ მოსწავლეს?

I – ვთხოვთ, „დახატოს სიტყვებით“ რაიმე მოვლენა, თუნდაც წარსულისა, სადაც ის აუცილებლად იქნება აღწერილი ამბების თანამედროვე, თანაც აღწერილ ამბავთან ექნება ემოციური დამოკიდებულება, ანუ არ იქნება გულგრილი.

მოსწავლის შემდგომი ქმედებებით გავარკვევთ, რა არის ამ სამუშაოს მოსა-

ლოდნელი შედეგი, სახელ-
დობრ რომელი გრძნობები-
სა და დამოკიდებულებების
გამოწვევას ცდილობს ის
მსმენელში, რაზე სვამს
აქცენტს, რას წარმოიდგენს
მინიატურული მოთხრობის
დედააზრად. მოსწავლის ეს
ჩანაფიქრი უნდა აისახოს
სათაურშიც, რომლის
ჩამოყალიბებაში, აუცილებ-
ლობის შემთხვევაში, უნდა
დავეხმაროთ, ან შევთავა-
ზოთ ჩვენ თვითონ.

II – ვეხმარებით წარმოსახვის, ასოციაციის გააქტიურე-ბაში, რადგან ბავშვებს ყოველთვის აინტერე-სებთ, რა მოხდა შემდგომ, მაგალითად: რა ბედი ეწიათ ალექსანდრე მაკედონე-ლის ჯარისკაცებს მისი გარდაცვალების შემდეგ? როგორ ააშენა არმაზის ციხე ფარნავაზ მეფემ? რა მოხდებოდა, სხვა დიდე-ბულებთან ერთად ცოტნე დადიანიც რომ დაესაჯათ მონღოლებს? როგორი იყო თამარ მეფის სასახლე? – და ა.შ. წარმოსახვა – ეს არის უნარი, დაინახო უჩვეულო ჩვეულებრივში, შექმნა სიუჟეტი, ცხოვრებისეული სიტუაცია (ანუ დაინახო პრობლემა, მისი გადაწყ-ვეტის გზა...), შესაბამისად, შეგვიძლია წარმოსახვის გააქტიურებისთვის მოსწავლე ვავარჯიშოთ ასოციაციებში, შევთავაზოთ რამდენიმე ასოციაციური სიტყვა და დავუმატოთ რამდენიმე სხვა სიტყვაც, მაგალითად:

- „თამარ მეფე და უცხო-ელი მოქარავნეები“;
- ან სიმარტივისთვის შევ-თავაზოთ ასოციაციური ჯაჭვი: „თამარ მეფე, ვაჭრები, ქარავანი, თბილისი, ისანი, სასახ-ლე, აბრეშუმი, მარგა-ლიტი, ქარვასლა, ომი, ყაჩაღობა, პოლიტიკა, კანონი, წესრიგი, უსაფ-რთხოება, მრავალრიც-ხოვანი, მონეტა“ და ა.შ.;
- ბოლოს კი დავუს-ვათ კითხვა: „როგორ ფიქრობ, რა მოხდებო-და თამარ მეფისა და უცხოელი ვაჭრების ამ ისტორიაში?“

III – უშუალოდ მოთხრობის დაწერის წინ შევახსენებთ, რომ მან უნდა „მოიფიქროს მთავარი გმირი“, რომ-ლის ირგვლივაც გაშლის მოქმედებას. ის შეიძლება იყოს ნებისმიერი პიროვ-ნება – დიდიც და პატარაც, მდიდარიც და ღარიბიც, მეომარიც და სარდალიც, მეფეც და მსახურიც, ოსტა-ტიც და მუშაც, მთავარია, მისი ქცევა შეესაბამებოდეს დასახულ მიზანს;



IV – შეადგინოს მოქმედების, ანუ მინიატურული მოთხრობის გეგმა – მოიფიქროს, რაზეა ეს მოთხრობა, რისი თქმა უნდა მსმენელისთვის. გეგმაში უნდა შედიოდეს:

- ისტორიის დასაწყისი (სად? როდის? ვინ?);
- მოქმედება (რა მოხდა? ანუ პრობლემის, ძირითადი მიზნის დასახელება);
- მიმდინარეობა (პრობლემის გადაწყვეტა, სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა);
- შედეგი (ამბის დასასრული).

მაგალითად, გეგმა მოსწავლის მიერ კოლონიზაციის ეპოქაზე შესრულებული მინიატურული მოთხრობისა „მეზღვაური და უცხოტომელები“:

გემი მიადგა უცხო ქვეყნის ნაპირს ⇨ გემზე მყოფი მეზღვაურები გააოცა დამხვდურთა ჩაცმულობამ და საომარმა იარაღმა ⇨ ერთ-ერთი მეზღვაური ტყვედ ჩავარდა ⇨ თუმცა მოახერხა ტყვეობიდან თავის დაღწევა ⇨ მან შეძლო ადგილობრივებს შორის მეგობრების შეძენა ⇨ მეზღვაურმა მოიპოვა ადგილობრივთა ნდობა ⇨ ის დასახლდა უცხო მიწაზე ⇨ შეითვისა ადგილობრივი სამეურნეო წესები ⇨ მალე აქ ევროპელთა პირველი კოლონია დაარსდა.

V – მოსწავლემ ნაცნობი მინიატურული მოთხრობა შეცვალოს საკუთარი ვერსიით, შემოიყვანოს მასში თავისი პერსონაჟი და „მოარგოს“ მას ნაცნობი გმირის ხასიათი, თვისებები, შესაძლებლობები. მაგალითად, წარმოიდგინოს ერეკლე მეფე რომელიმე ბრძოლაში და მის მაგივრად პერსონაჟად შეარჩიოს რომელიმე ქართველი მეომარი;

VI – ითამაშოს სიტყვებით – ორი სხვადასხვა სიტყვის მიხედვით მოიფიქროს რამდენიმე სიუჟეტი, მაგალითად, აიღოს სიტყვები – „ციხე-სიმაგრე და მდინარე“ – და ააგოს სიუჟეტი;

VII – გადმოიწეროს გაკვეთილის სათაურები, აურიოს ერთმანეთში და ამოირჩიოს რომელიმე სამი, მერე კი საერთო იპოვოს მათ შორის და შეადგინოს მოთხრობა.

მაგალითად, V-VI კლასის სახელმძღვანელოების მიხედვით აარჩიოს რამდენიმე სათაური: „კლდეში ნაკვეთი დასახლებები“, „გზები და მიმოსვლის საშუალებები“, „საქართველოს ციხესიმაგრეები“ და შეადგინოს პატარა მოთხრობა, მაგალითად, „კლდოვანი ციხის ისტორია“.

VIII – გააცნოს მოთხრობა თანაკლასელებს და დააკვირდეს მათ რეაქციებს.

სავარაუდო თემები მინიატურული მოთხრობებისთვის: „ციხის მშენებლები“, „ჩემი საყვარელი გმირი“, „შესანიშნავი გამარჯვება“, „ხედი ეიფელის კოშკიდან“ და ა.შ. **შერჩეული თემების მიხედვით მოსწავლეს ვთავაზობთ სავარჯიშოებს წინადადებების შედგენაში (მოცემული სქემის მიხედვით):**

- როგორ? ვინ? რას აკეთებს?
- რა? რა გააკეთა? ვინ?
- როგორი? ვისი? რისი?
- რაზე? რისთვის? რატომ?

და ა.შ.

ასეთი წერითი სამუშაოს შესრულებით მოსწავლეს უვითარდება „ისტორიული

> მინიატურული მოთხრობა ვიწრო თემის ირგვლივ შექმნილი პატარა მოთხრობა ან ნარკვევია, რომელსაც დასრულებული ფორმა და შინაარსი აქვს. მას საფუძვლად მოსწავლის პირადი დაკვირვება და ცოდნა უნდა ედოს, რომელზე დაყრდნობითაც ის რამეს ან ვინმეს აღწერს.

ანი კოპაღიანი

ფიზიკის მასწავლებლის პორტრეტი

ვლადიმერ კომაროვის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში, სადაც ალბათ არასოდეს მიმიღებდნენ როგორც მოსწავლეს და არცთუ ხალისით მიღებდნენ როგორც ინტელექტკლუბის მოთამაშეს, ამჯერად ინტერვიუერის სტატუსით მივედი – უნდა გავსაუბრებოდი მასწავლებელს, რომელიც მერი კავთელიშვილმა ერთ-ერთ ინტერვიუში თავის ერთგვარ მენტორად დაასახელა. თუ ჯერ კიდევ არ იცით, ვინ არის მერი, გეტყვით, რომ იგი „ოქროს გოგონა", ყველა მასწავლებლის (და მშობლის) ახდენილი ოცნებაა: გოგონა, რომელმაც ოთხი ამერიკული უნივერსიტეტის საკმაოდ სოლიდური დაფინანსება მოიპოვა და საბოლოოდ ე.წ. სუროს ლიგის (ამერიკის რვა ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტის ასოციაცია) წევრი პენსილვანიის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მერი კავთელიშვილის შესახებ ბევრი რეპორტაჟი გააკეთეს და ეს, დარწმუნებული ვარ, მხოლოდ დასაწყისია. მე კი მომინდა, მესაუბრა მასთან, ვინც ამ (და არამხოლოდ ამ) თვალისმომჭრელი წარმატების თანაავტორია – ფიზიკის მასწავლებელთან, ბატონ ზაურ ჭელიძესთან.

> მეცნიერებას შეუძლია ამოხსნას, რისგან შედგება ადამიანი, მაგრამ როდესაც ყველა ამ ნივთიერებას წინ დაუწყობ: წყალს, ფოსფორს, ქანგბადს... – და მეცნიერი შექმნის ადამიანს, ეგებ მაშინ ალარ დასჭირდეს მას ღმერთი. მაგრამ ადამიანებს ჯერ კიდევ სჭირდებათ ღმერთი, ხოლო ბავშვებს – კარგი მასწავლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლიდან ყველაზე მწირად ალბათ სწორედ ფიზიკის ცოდნა გამომყვა, ეს დისციპლინა მაინც განსაკუთრებულად მიყვარს, ისევე როგორც ჭეშმარიტ ფიზიკოსებს მუდამ უყვართ ლიტერატურა (აქ არ შეიძლება არ გაგვახსენდეს გურამ დოჩანაშვილის ხუმრობა ფიზიკოს-ლირიკოსებზე). ალბათ იმიტომ, რომ სამყაროს საიდუმლოებათა ამოხსნის ზოგადსაკაცობრიო ოცნებას, რომელსაც ლიტერატურა ახმიანებს, სწორედ ფიზიკა ასხამს ხორცს. როდესაც ბატონ ზაურთან მივდიოდი, ვვარაუდობდი, რომ მას ლიტერატურა ეყვარებოდა. არც შევმცდარვარ.

მასწავლებლობა – საუკეთესოების პროფესია

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ კოსმოსის ციებ-ცხელებით შეპყრობილი მეცხრეკლასელი ბიჭი სოფლიდან ქალაქში, უფროს დასთან ჩამოვიდა და სულ მალე გახდა კლასში ერთ-ერთი საუკეთესო. სკოლაც ოქროს მედალზე დაამთავრა.
მერე ბიჭი უნივერსიტეტში, ფიზიკის ფაკულტეტზე ჩაირიცხა და სტალინის სახელობის სტიპენდია დაუნიშნეს, რომელიც მთელ ფაკულტეტზე მხოლოდ ერთ სტუდენტს ერგებოდა. მერე ასპირანტურაში ჩააბარა და მოსკოვში სემინარზე წასულ-

მა თავისთვისვე მოულოდნელად იქვე დისერტაციაც დაიცვა. უნივერსიტეტშიც დიდხანს მუშაობდა მკვლევრად.

მის ცხოვრებაში სკოლა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, დამატებითი შემოსავლის ძიებისას გამოჩნდა, მერე კი დარჩა და დარჩა, იქცა ყველაზე მნიშვნელოვნად და ის უკვე ორმოცდაათ წელზე მეტია, მასწავლებელია...

მასწავლებელი

ჩემი დაკვირვებით, კარგი მეცნიერები ხშირად არცთუ საუკეთესო მასწავლებლები არიან. ეს სულაც არ არის გასაკვირი, ვინაიდან მკვლევარს ხშირად უჭირს არათუ მოსწავლის, არამედ სტუდენტის დონემდე „დაშვებაც“ კი, მოვლენების მისთვის გასაგები ენით ახსნა. ბატონი ზაური ამ მხრივაც განსაკუთრებული აღმოჩნდა. მასთან საუბრის დასაწყისშივე ვიგრძენი, რომ, თუმცაღა მე ვიყავი ინტერვიუერი და ის – სტატიის გმირი, მისი ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი და დაიწყო ჩემი შესწავლა, რათა ჩემი განათლების, ემოციური ინტელექტის, ინტერესების სფეროს გათვალისწინებით მოეწოდებინა ამომწურავი და გასაგები, საინტერესო მაგალითებით გაჯერებული ინფორმაცია. ეჭვი აღარ დამრჩა, ნამდვილ მასწავლებელს ვუსმენდი, მასწავლებელს, რომელიც ადამიანების ცხოვრებას ცვლის, რომელსაც შეუძლია, მუსიკაზე გადაგებული ვუნდერკინდიც კი რამდენიმე თვეში ფიზიკის კარგ მცოდნედ აქციოს.

და მაინც, რომელი თვისებები უნდა ჰქონდეს კარგ მასწავლებელს?

მე ამის ახსნას არ შევეცდები, მხოლოდ რამდენიმე ისტორიას გიამბობთ.

გაბრწყინებული თვალები

იყო ერთი მოსწავლე, გვარად ლაგვილავა. ფიზიკა ისე კარგად იცოდა, რომ ხელსაც არასოდეს იწევდა, სახეზე მოწყენილი გამომეტყველება ეფინა და მხოლოდ მაშინ, როცა მასწავლებელი რამე განსაკუთრებულსა და საინტერესოს იტყოდა, რამე ისეთს, რაც სახელმძღვანელოებში არ ეწერა, თვალები უბრწყინდებოდა. და მხოლოდ იმისთვის, რომ ლაგვილავას თვალებში სხივი დაენახა, მასწავლებელი გამუდმებით ეძებდა საინტერესო ახალ ამბებს.

ექვსიანი

კომაროვში მისვლისას ბატონი ზაური მასწავლებლობასაც და დირექტორის მოადგილეობასაც ერთი პირობით დათანხმდა – არასოდეს დაევალებოდა ბიუროკრატიული წვრილმანები და მხოლოდ დიდაქტიკის შემოქმედებითი მხარით დატკბებოდა. ამ უპირატესობით იგი დღემდე სარგებლობს.

არ უყვარს ბევრი წერა, არასოდეს ხსნის ამოცანებს წინასწარ – მხოლოდ გაკვეთილზე, მოსწავლეებთან ერთად. ამიტომაც ხშირად ეუბნება მოსწავლეებს, რომ ბევრს სწავლობს მათგან. ერთხელაც კლასს მისცა ამოცანა, რომელიც უკვე ხუთი გზით ამოეხსნა ბავშვებთან ერთად და პირობა დაუდო, რომ რამდენი გზითაც ამოხსნიდნენ, ზუსტად იმდენი იქნებოდა მათი შეფასება. ჰოდა, ერთმა კარგმა ბიჭმა, ვაჟა ჯაყელმა, სწორი

www.mastsavlebeli.ge

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge

ირმა კახურაშვილი

სოფლად სწავლების უპირატესობა

ბავშვმა ხარისხიანი განათლება რომ მიიღოს, მშობლები მზად არიან, დატოვონ სოფელი და საცხოვრებლად ქალაქში გადავიდნენ. მათ სურთ, შვილი ქალაქელ თანატოლებს არ ჩამორჩეს, „ნორმალურ“ სკოლაში და სხვადასხვა წრეზე იაროს. რამდენად მართებულია ასეთი მიდგომა? აქვს თუ არა სოფლის სკოლას დადებითი მხარე? ვიდრე მშობლები ქალაქში გადავლენ საცხოვრებლად, მათ ყველა ნიუანსი ადეკვატურად უნდა შეაფასონ.

სოფლის სკოლაში სწავლების ყველაზე დიდი უპირატესობა პატარა კლასია, სადაც სულ რამდენიმე მოსწავლე სწავლობს. თუკი ქალაქის მასწავლებელს საგაკვეთილო პროცესის წარმართვა ერთდროულად ორმოცამდე ბავშვთან უწევს, სოფლის მასწავლებლისთვის ეს ამოცანა საგრძნობლად გამარტივებულია. ამის შედეგად კი თითოეული მოსწავლე მასწავლებლის ლუპის ქვეშაა მოქცეული, მაშასადამე, მეტი შანსი აქვს, კარგად ისწავლოს და ხარისხიანი განათლება მიიღოს.

ის არგუმენტი, რომ პროვინციაში მასწავლებლები შედარებით სუსტად ერკვევიან თანამედროვე ტექნოლოგიებში ან, უბრალოდ, მათთვის ისინი ხელმისაწვდომი არ არის, არცთუ დამაჯერებელია. პროფესიაზე შეყვარებული, დისციპლინირებული, კრეატიული მასწავლებელი ნებისმიერ პირობებში კარგი მასწავლებელია, მნიშვნელობა არ აქვს, მეგაპოლისში იცხოვრებს თუ პატარა სოფელში.

ბევრი კვლევა იმასაც ადასტურებს, რომ სოფლის მასწავლებელი ქალაქელ პედაგოგთან შედარებით აქტიურია, სურს ყველა სიახლის საქმის კურსში ყოფნა, ხარბად ეტანება დამატებით ლიტერატურას და ნებისმიერი სახის ინფორმაციას, რომელიც მის საგანს ან მოსწავლეების სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნებას უკავშირდება. სოფლის მასწავლებლისთვის სკოლა იშვიათად არის რუტინული სამსახური, უფრო პირიქით – მასწავლებელი ამაყობს თავისი პროფესიით, სოფელშიც მას ავტორიტეტად მოიაზრებენ.

სოფლის სკოლის და მასწავლებლის კიდევ ერთი ნათელი მხარე ის არის, რომ მასწავლებელს გაკვეთილზე ექსპერიმენტებისა და იმპროვიზაციისთვის გაცილებით დიდი შესაძლებლობა, ასევე დიდი არეალი აქვს (მაგალითად, ბიოლოგიის და ქიმიის გაკვეთილის ჩატარება ბუნებაში).

ბნელ მხარედ შეიძლება სახლიდან სოფლის სკოლამდე არსებული დიდი მანძილი დასახელდეს, თუმცა ეს პრობლემაც ნელ-ნელა კარგავს სიმძაფრეს, რადგან ბევრ რეგიონში მოსწავლეებს სკოლის ტრანსპორტი ემსახურება.

არაერთი კვლევა ადასტურებს, რომ სოფლის მოსწავლეები ქალაქელებთან შედარებით ნაკლებად ხვდებიან ავტოავარიებში. სოფლად მცხოვრები ბავშვები იძულებულები არიან, სკოლაში ჯგუფურად იარონ, რაც კარგია მათი უსაფრთხოებისთვის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული SOS-სიტუაციებისთვის თავის ასარიდებლად.

ხშირად ქალაქის პრესტიჟული სკოლა ოჯახის საცხოვრისიდან საკმაოდ შორს მდებარეობს და მშობლები ჩივიან, რომ დიდ დროს კარგავენ შვილების სკოლაში წაყვანა-მოყვანაში.

პროვინციაში მასწავლებელი მეტ ინფორმაციას ფლობს თავისი მოსწავლეებისა და მათი მშობლების შესახებ. მოსწავლე ვერ მოატყუებს მასწავლებელს, რომ „ბებია გარდაეცვალა“. თუ მოსწავლის რომელიმე ოჯახის წევრი ავადაა, მას კი საოჯახო საქმეების კეთებაც უწევს სწავლის პარალელურად, არც ეს გამოეპარება მასწავლებელს. სოფლის მასწავლებელმა კარგად იცის, რომელი მოსწავლის მშობლები არიან ან არ არიან დასაქმებულები, რით არიან მთელი დღე დაკავებულები. სოფლის მასწავლებელმა ზუსტად იცის, არის თუ არა ბავშვი ოჯახში ძალადობის ან შრომითი ექსპლუატაციის მსხვერპლი. სოფლის გარემოში, სადაც ყველა ერთმანეთის ნათესავი და მეზობელია, ასეთი შემთხვევების გაკონტროლება მარტივია. დიდ ქალაქებში და სკოლებში, სადაც ასობით ბავშვი სწავლობს, ხშირად ოჯახური ძალადობით დასტრესილი მოსწავლე მასაშია ჩაკარგული და მისი აღმოჩენა საკმაოდ გვიან ხდება. ასეთ დროს უფროსების დროულ ჩარევას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

მცირე სკოლაში, სადაც ყველა ერთმანეთს იცნობს, ბულინგის პრობლემა მინიმუმამდე დადის. ესეც სოფლის სკოლის უპირატესობაა. ერთ კლასში ხშირად ხვდებიან ბავშვობის მეგობრები, მეზობლები, ნათესავები, მათი მშობლებიც ერთმანეთთან მეგობრობენ. უფროსი თაობის მოსწავლეები კარგად იცნობენ უმცროსი თაობის მოსწავლეებს. ამიტომ უსიამოვნო გარჩევები ბავშვებს შორის იშვიათია.

დასასრული 30-ე გვერდზე

უმბერტოს საფლავს ვეძებდი

დავით გორგოლაძე

ქუთაისიდან მილანისკენ ოთხსაათიანი ფრენის განმავლობაში ორი რამ არ მაძლევდა მოსვენებას: ჩემ უკან მჯდომი მამაკაცის გამაყრუებელი ხვრინვა და ჩემ გვერდით მჯდომი ქალი, რომელიც მალპენსას აეროპორტში დაშვებამდე ტელეფონში „2048“-ს თამაშობდა და ერთხელაც ვერ ასცდა 256-ს.

ისე მოხდა, რომ ჩემს თანამგზავრებს – ნინიას, ტუკის და ნინოს – თვითმფრინავის ბორტის წინა ნაწილში გამოუნახეს ადგილები, მე კი, ბედისა თუ რეგისტრატორის უკუღმართობით, უკან მომიწია ჯდომა. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებულ გარემოებათა გამო ოთხ საათს სავარძელში გაუნძრევლად ყოფნა თავისი სისასტიკით ესპანური ინკვიზიციის დაკითხვაზე უარესი იყო, ფრენის განმავლობაში არც ფეხზე წამოვმდგარვარ და არც მიწის თხილი ან სასმელი მომითხოვია გულის გადასაყოლებლად. სიმართლე რომ ითქვას, იტალიელ სულიკოზე ვფიქრობდი, რომლის საფლავიც მილანში უნდა მეპოვა.

მილანი – პადოვა – ვენეცია – მილანი

...თუ პადუა. ზუსტად ვერ გეტყვით, ქართულად როგორ გამოითქმის. იტალიელები პადოვას ეძახიან და ამას ისე აკეთებენ, თითქოს მათი ვალი გმართებდეთ. აი, დაახლოებით ისე, მოუსვენარ ბავშვს დამშვიდებისკენ რომ მოუწოდებ. პადოვა ცნობილია გალილეო გალილეის ობსერვატორიით, ბოტანიკური ბაღით, კბილებივით ჩაწიკწიკებული კოხტა სახლებით, ერთ-ერთ მათგანში

მცხოვრები ნინო კიკნაძის ბიძის არაჩვეულებრივი ოჯახით და ევროპაში ყველაზე დიდი მოედნით, რომლის გარშემოც მოკვდავ იტალიელებს უკვდავი იტალიელების ძეგლები დაუდგამთ. ასევე, პადოვა ცნობილია ჯიბის ქურდებით. სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ ჩვენ პირველად სწორედ ისინი გავიცანით...

რკინიგზის სადგურიდან გამოსულებმა, როცა ტრამვაიში ვაპირებდით ასვლას, აღმოვაჩინეთ, რომ ტუკის ჩანთა გახსნილია, საფულე კი არ ჩანს. სადგურის პოლიციაში გავცვივდით. განყოფილებაში მყოფი პოლიციელებიდან საყველპურო ინგლისური მხოლოდ ერთმა, ახალგაზრდა კარაბინერმა იცოდა. ჩვენი გასაუბრება ქართულ მოტივებზე რომ გადმოვიყვანოთ, დაახლოებით ასეთი იქნება:

– საფულე ამომაცალეს.
– საფულე?
– კი.
– შიგნით ნაღდი ფული იდო?
– 800 ევრო და საკრედიტო ბარათები.
– ეუფ.
– რა ვქნათ?
– ვერაფერს ვიზამთ.
– კამერები?
– მანდ არ არის კამერები.

ტუკი ისე უყურებს შუახნის კარაბინერს, ვხვდები, რომ მისი მოკვდინების რამდენიმე ვარიანტს ალაგებს გონებაში და ვშიშობ, ყველა მათგანს განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი მკვლელობის მუხლი მიესადაგება. ამიტომაც ვცდილობ, საუბარს გამოვარიდო.

– ფოტოების ბაზა არ გაქვთ? იქნებ ქურდი ამოვიცნოთ.

ახალგაზრდა პოლიციელს ეცინება და მის სიცილზე ვხვდები, რომ პადოვას რკინიგზის სადგურში ჯიბის ქურდების რაოდენობა საურონის ორკების არმიას საგრძნობლად აღემატება და შესახედავადაც, ხსენებული ორკების მსგავსად, ერთმანეთს ჰგვანან.

– არა, – ამბობს ღიმილით.

ეს მინიშნებაა იმაზე, რომ ჩვენი წასვლის დროა. კართან მისულებს ზურგს უკან გვეწევა ხმა:

– თუ საფულე ვიპოვეთ, დაგიკავშირდებით.
– როგორ დაგვიკავშირდებით? ტელეფონი რომ არ იცით?
– მართალია! – პოლიციელი საკუთარ შეცდომას ხვდება, ქაღალდის ნაგლეჯს მაგიდაზე აცურებს და თითით გვანიშნებს, აქ დაწერეთო.

რამდენიმე წამში, როდესაც განყოფილებიდან გავალთ, ერთმანეთს შევპირდებით, რომ ვიღაც ოხერი ჯიბგირის გამო მოგზაურობას არ ჩავიშხამებთ და ვიფიქრებთ, რომ ეს ფული არც გვქონია. თუმცა, რამდენიმე დღის შემდეგ, როცა თითქმის მშვიერები აღმოვჩნდებით მილანის შემოგარენის შავ-თეთრ უბანში და უჭმელები ვილასლასებთ, მივხვდებით, რომ 800 ევრო ძალიან წაგვადგებოდა. მანამდე კი პადუა, ვენეცია და მილანია, სადაც უმბერტოს საფლავი უნდა ვეძებო. პადუიდან ვენეციამდე მატარებლით სულ ნახევარი საათის გზაა. კიკნას ბიძამ გაგვაფრთხილა, ადგილობრივებისთვის სხვა მატარებელი დადის, თითქმის იმავე დროში ჩავა და ბილეთი ნახევარი ფასი ღირსო. ვაგონში ასულებმა კუთხეში მჯდომი საშუალო ასაკის კაცი შევნიშნეთ. ფანჯარაში იყურებოდა და კანფეტს აკნატუნებდა. საფულესთან დაკავშირებული დავიდარაბიდან დრო იყო გასული, ამიტომაც ამ ამბავს სევდანარევი იუმორით ვაცოცხლებდით ხოლმე.

– ამან ხო არ ამოგაცალა? – ვეუბნები ტუკის.
– უეჭველად.
– ეს უნდა იყოს პადოველი ჯიბგირების მეთაური, – ხმამაღლა ვლაპარაკობთ, რადგანაც ვაგონში ჩვენი და ამ კაცის გარდა არავინაა, – ნახე, ყელზე რა ბოზური შრამი აქვს. სერჯიო უნდა ერქვას. არა, უფრო თესლი სახელი ექნება – ჯეპი ან რამე.

ცოტა ხანში ვხვდებით, რომ ჯიბგირის ლეგენდის შესაქმნელად ლიტერატურული ოსტატობა არ გვყოფნის და დროულად ვამუხრუჭებთ. ამ დროს უცნობი კაცი გვიახლოვდება, კოწახურის კანფეტით სავსე მუჭს გვიწვდის და გვეუბნება:

– გამარჯობა, ქართველებო!
– გაგიმარჯოთ, – ერთდროულად ვპასუხობთ ჩვენ და ვხვდებით, რა ტყუილად შემოგველანძღა ეს უცხო მიწაზე გადმოხვეწილი ჩვენიანი. ან იქნებ ტყუილადაც არა, ვინ იცის, იქნებ სწორედ მაგან აგვწაპნა 800 ევრო და ბარათიდან განაღდებული 250-იც ზედ დააყოლა.

ცოტა არ იყოს, გვშია, ამიტომაც კოწახურზე უარს არ ვამბობთ და ცოტა ხანში კნატუნის ხმა მთელ ვაგონს მოიცავს.

„თავს და ჯიბეებს გაუფრთხილდით“, – გვითხრა დამშვიდობებისას, – „ამ ქვეყანაში ორივე დაგჭირდებათ“. შექმნილ უხერხულობაზე ფიქრმა იქამდე გასტანა, სანამ ის იმ შთაბეჭდილებამ არ გადაფარა, რომელიც რკინიგზის სადგურიდან გამოსულებს არხში არხეინად მოლივლივე შავმა გონდოლებმა შეგვიქმნა. უშველებელ ტერიტორიაზე ქიმიური ნაწილაკებივით მოფუსფუსე ყველა ტურისტი თავისი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას ცდილობდა – გონდოლიერებს ევაჭრებოდნენ, ტურისტულ ჯიხურებში იტალიურ ქუდებს ირგებდნენ, რომლებშიც, ერთი შეხედვით, ყველა სასაცილოდ გამოიყურებოდა, ინგლისურის არმცოდნე იტალიელებს ინგლისურად სთხოვდნენ გზის გაგნებაში დახმარებას და ცდილობდნენ, ამ ყველაფრის ერთმანეთში აღრეული სურნელი ერთბაშად და ღრმად ჩაეშვათ ფილტვებში.

გონდოლა ზედმეტად ბანალურად მივიჩნიეთ, ფეხით გავლა ვამჯობინეთ და არც შევმცდარვართ. თუ გინდა, წარმოიდგინო, რას იგრძნობდი ეკოს მიერ შექმნილ ბიბლიოთეკა-ლაბირინთში მოხვედრისას, ვენეციის უვიწროეს, თუგინდ სავსე და თუგინდ ცარიელ ქუჩებში უნდა იხეტიალო. ეს ბიბლიოთეკაა – ქვის ბიბლიოთეკა, რომლის დაძველებული ჭერიდან წყალი ჩამოდის და შემდეგ თავის გზას პოულობს. ქუჩიდან ქუჩამდე პატარ-პატარა სასწაულები გხვდება ხან ულამაზესი კარ-ფანჯრის, ხან ხავსმოდებულ ჯებირთან ეულად მოტივტივე ნავის, ზოგჯერ ჩიხებს შორის ჩაკარგული ულამაზესი კათედრალების, ზოგჯერ კიდევ უბრალო კაფეს სახით, რომელშიც ყლუპი ესპრესოს დალევა ახალ სუნთქვას გიხსნის. ზოგიერთ ქუჩაზე ხის კუბოკრული ვიტრაჟებიდან ნამდვილი „ვარდის სახელი“ იღვრება. ყვითელი, თბილი სინათლით განათებული ოთახის თაროებზე ძველი ხელნაწერები, გახუნებულ ქაღალდებზე შავი ფანქრით დახატული გამოსახულებები და უცნაური, ერთი შეხედვით გამოუსადეგარი ნივთები აწყვია. კათედრალებში კათოლიკური ესთეტიკა და ბიბლია თითქოს კედლებიდან იღვენთება. საოცარია ქრისტეს ჯვრიდან გარდამოხსნის მონუმენტი, რომელიც ალალბედად აღმოჩენილ ტაძარში ვნახე. ამ ქანდაკების ქვეშ დგომისას თითქოს უხერხულობა გიპყრობს და იძულებული ხდები, ქანდაკების პერსონაჟებს ხელი შეაშველო – თითქოს სადაცაა ქრისტეს ცხედარს ჩამოგაწვდიან. ცხედარს, რომელსაც თითოეული კუნთი თუ ნაჩხაპნი ეტყობა და ძეს ღვთისას ადამიანურ სახეს აძლევს.

ვენეცია ჩვენთვის განსაკუთრებული სანახაობაა, მაგრამ ვენეციისთვის ჩვენ ჩვეულებრივი ტურისტები ვართ, ის ჩვენთვის დროს ვერ გააჩერებს – მატარებელს უნდა მივუსწროთ. Google map-ი ფასდაუდებელ სამსახურს გვიწევს – მის მიერ დადგენილი მარშრუტის მიხედვით, მის მიერვე გამოანგარიშებულ დროში, წამი წამში სიზუსტით, უკვე მატარებელში ვსხედვართ და ჩემი ტვინი ნანახის გონების ფსკერზე დაარქივებას იწყებს.

მილანი დიდი სავაჭრო ცენტრია, თუმცა სავაჭრო ცენტრებს შორისაც ხომ არის განსხვავება – დუომოს კათედრალის მიმდებარედ მდგომი ცენტრი ხელოვნების ნიმუშია. თაღოვან შენობაში შესვლისთანავე, უზარმაზარი მასშტაბების დანახვისას, თვალწინ დამიდგა კადრი მულტფილმიდან „ურჩხული და მზეთუნახავი“, როცა ბელი პირველად შედის ბიბლიოთეკაში. რაც შეეხება დუომოს, ადამიანების უცნაურ მისწრაფებებს შორის ისიცაა, რომ ზოგიერთს გარკვეული ნივთების შეჭმის მოთხოვნილება აქვს: საშლელის, ბათქაშის, მიწის, საპნის, უმი ცომის. დუომოს კედლებზე გამოსახული ჩუქურთმებისა და ქანდაკებების დანახვისას სურვილი გიჩნდება, თითოეულ დეტალს შეახო ხელი და ენა და გაიგო, როგორი გემო აქვს მას. თუმცა მილანში მთავარ სანახაობებზე მეტად მე ერთი, მნიშვნელობით და მასშტაბით მათზე ბევრად უფრო მოკრძალებული ადგილი მომეწონა, სადაც ტუკიმ წაგვიყვანა. ესაა პატარა კაფე თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის, Fondazione Prada-ს გვერდით, რომელიც ვეს ანდერსონის ფილმების მხატვრობისა და სტილის მიხედვითაა მოწყობილი. იქ მისულები იფიქრებთ, რომ სასტუმრო „გრანდ ბუდაპეშტში“ მოხვდით, სადაც ცოტა ხნის წინ მუსიე გიუსტავმა ისაუზმა და ხნიერ ქალებთან საარშიყოდ გაემართა.

მილანში ყავის სმის დროს გუმანმა მიკარნახა, ამას უეჭველად ეცოდინება-მეთქი და მიმტანს ვკითხე:

– ხომ არ იცით, უმბერტო ეკოს საფლავი სად არის?

შუახნის მამაკაცს, რომელსაც უყურადღებოდ გაპარსვის გამო ნიკაპზე წვერის მოზრდილი კუნძული შერჩენოდა, სახე ჯერ გაუნათდა, შემდეგ კი მოეღუშა.

– არსად. ის დაწვეს და... – თავისი კოჭლი ინგლისურით ვეღარ ამოთქვა, კრემაცია ჩაუტარესო და ჟესტების ენით მიმანიშნა ურნაზე, რომელშიც ფერფლს ათავსებენ.
– მეგონა, სასაფლაოზე იქნებოდა.
– სასაფლაოზე ჩვეულებრივი ხალხია, მისტერ, – ღიმილით მითხრა და შეკვეთა დამიზუსტა.

უამინდობის გამო ფრენა 33 საათით გადაიდო. ავიაკომპანიამ უხალისოდ გადაგვიყვანა მილანთან ახლოს, შავ-თეთრ მიდამოებში მდგომ სასტუმროში, რომელსაც ირგვლივ გოლფის მოედნები აკრავდა. ვერ გამერკვია, ასეთი ფერები რომელ ფილმს უფრო მაგონებდა – „პლეზენტვილს“ თუ „ნებრასკას“. რადგანაც მთელი ფული მოგზაურობისას გამოვხარჯეთ (ნაწილი კი მოგვპარეს), ავიაკომპანიის მიერ ნაკისრ სადილს ისევე ველოდით, როგორც აცქმუტებული ძაღლები - პატრონის ხელში დანახული კონსერვის ქილის გახსნას. აღმოჩნდა, რომ ფრანგული გვინეის მკაცრი რეჟიმის კოლონიის კარცერში უფრო ხელგაშლილად კვებავდნენ პატიმრებს, ვიდრე ჩვენ. ამის გამო უკანასკნელი ევროცენტები ამოვფხიკეთ და სუპერმარკეტში ნაყიდი პურითა და „ნუტელათი“ გადავაგორეთ დღე. მომდევნო ღამით უკვე ზეცაში ვიყავით გამოკიდებულები. თვითმფრინავი თითქოს არ მოძრაობდა, უბრალოდ, უძრავად ეკიდა ძაფზე. ჩემ გვერდით მჯდომი, გამოხატული ნევროზის მქონე ქალი რამდენიმე წუთში ერთხელ ისინჯავდა პულსს.

– ცუდად ხომ არ ხართ? – ვკითხე.
– არა, შვილო, აღელვებული ვარ.

მიზეზს არ ჩავძიებივარ. ვიფიქრე, უადგილოდ არ გამომივიდეს-მეთქი.

– შვიდი წელია, საქართველოში არ ვყოფილვარ, – თავად განაახლა საუბარი. – ახლა ვბრუნდები, პირველად ვნახავ შვილიშვილს და გული მაქვს აჩქარებული.

ჩვენ ვისხედით და ვუყვებოდით ერთმანეთს ხან მთისას, ხან ბარისას, თვითმფრინავი კი სინამდვილეში ელვის სისწრაფით ჭრიდა ჰაერს საქართველოსკენ და თან მიჰყავდა ქალი, რომელიც ოჯახთან შეხვედრის მოლოდინის გამო გულს ვეღარ იმშვიდებდა. მაშინ ილუმინატორში გავიხედე და მივხვდი, რომ ამ რკინის კოლოფს იმ მომენტში ყველა ძრავი რომ გაფუჭებოდა, უკლებლივ ყველა მოწყობილობას რომ ერთბაშად ეთქვა უარი მუშაობაზე, მხოლოდ ამ ქალის გულისცემაც ჩაგვაფრენდა საქართველომდე.

სოფლად სწავლების უპირატესობა

დასაწყისი 27-ე გვერდზე

თუკი ქალაქში მომუშავე მასწავლებელმა შეიძლება წლების განმავლობაში არაფერი იცოდეს კლასში მოსწავლეებს შორის არსებული კონფლიქტის შესახებ (ასეთი გარჩევები ხომ სკოლის კედლებს გარეთ ხდება), სოფლის მასწავლებლის ყურამდე ეს ამბები მალევე აღწევს. მოჩხუბარ ბავშვებს მასწავლებელი თუ არა, მეზობელი მაინც ნახავს და მასწავლებელს შეატყობინებს.

მეგაპოლისში გადასვლა თავდაპირველად არცთუ კარგად აისახება მოსწავლის ცხოვრების პირობებზე (არ იგულისხმება მაღალი სოციალური სტატუსის მქონე ოჯახები). სოფლად მცხოვრები ბავშვები სახლში თუ არა, ეზოში მაინც პოულობენ გაკვეთილების მოსამზადებელ ადგილს, მაგრამ როდესაც ოჯახი საცხოვრებლად გადადის მეგაპოლისში, როგორც წესი, მშობლები ხშირად პატარა ბინას ქირაობენ, სადაც ბავშვს საკუთარი კუთხე არ გააჩნია და მეცადინეობა სამზარეულოს მაგიდასთან უწევს. ვიდრე მშობლები ქალაქში მომაგრდებიან, ბავშვი განიცდის, რომ მოწყდა მშობლიურ გარემოს და სულ სხვა რეალობასთან უწევს შეგუება.

პროვინციებში მშობლები მეტ დროს უთმობენ ბავშვებს – ეს არის ყველაზე მყარი არგუმენტი საიმისოდ, რომ სოფლად მცხოვრები ზრდასრულები ქალაქში არ გადავიდნენ. ასე თუ ისე, ოჯახის წევრები მეტ დროს ატარებენ სახლში, საკუთარ მეურნეობაში, ნათესავების გარემოცვაში. სოფლად მცხოვრებ დედ-მამას თუ სამსახური აქვს – უფრო სახლის სიახლოვეს. მთავარია, ოჯახს უნდოდეს, რომ ბავშვმა კარგი განათლება მიიღოს. ეს სოფლის პირობებშიც შესაძლებელია.

ქალაქში საცხოვრებლად გადასულ ზრდასრულთა უმრავლესობა იძულებულია, ბევრი იმუშაოს, ზოგჯერ – დილიდან გვიან ღამემდე, რასაც ბავშვთან ურთიერთობა და კომუნიკაცია მინიმუმდე დაჰყავს. ბავშვი ნაკლებად კონტროლდება მშობლების მიერ. ყველა ბავშვსაც არ აქვს იმის უნარი, რომ დამოუკიდებლად და სწორად დაგეგმოს თავისი დრო.

იშვიათია, როდესაც ოჯახი ტოვებს ქალაქს და საცხოვრებლად სოფელში გადადის. და თუ ასე მოხდა, სოფლის სკოლა საშიში სულაც არ არის. საბედნიეროდ, ინტერნეტზე წვდომა პრაქტიკულად ყველგან ერთნაირია. ბევრ სკოლაში საუკეთესო ბიბლიოთეკაა გახსნილი. მასწავლებლებიც გაცილებით მოტივირებულები არიან პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასთან დაკავშირებით.

ქალაქის სკოლა ყოველთვის როდია ხარისხიანი სწავლების გარანტი. ასეთ სკოლებში ზოგჯერ ზედმეტად ბევრი ბავშვი სწავლობს. ქალაქელი მოსწავლეები მუდმივად განიცდიან ძილის უკმარისობას, აქვთ ბულინგის პრობლემა და სხვადასხვა უსიამოვნო ინციდენტში მოხვედრის მეტი შანსი. ქალაქელ მშობლებსა და შვილებს შორის დარღვეულია კომუნიკაცია, არის უფრო დეპრესიული და ურბანულად ერთფეროვანი ზოგადი ფონი. ეს კი დადებით მხარეებად ნამდვილად ვერ ჩაითვლება.

შორენა ცყეშელაშვილი

მასწავლებლის გამარჯვების ცეკვა

ნინო შავგულიძე გურიაში, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვან-ზომლეთში, მეუღლესთან, ორ შვილსა და გერმანულ ნაგაზ ჯუნაიდთან ერთად ცხოვრობს და მეზობელი სოფლის, სამების, ცხრაკლასიან სკოლაში ინგლისურ ენას ასწავლის. თბილისიდან გურიაში რვა წლის წინ იმ მიზნით გაემგზავრა, რომ ცხოვრება შეეცვალა, რაღაც სრულიად ახალი ეცადა. გადაწყვეტილი ჰქონდა, სოფელში და ისეთ რეგიონში, რომელთანაც არაფერი აკავშირებდა, პატარა სახლი ეყიდა და მეფუტკრეობა შეესწავლა. აი, ასე მარტოდმარტო გაემგზავრა გურიაში, თუმცა სასურველი ადგილის პოვნა არცთუ ადვილი აღმოჩნდა. ცხოვრების ახალ გამოწვევას ახალი ეტაპის დაწყება მოჰყვა. გურიაში ნინო შეხვდა ადამიანს, რომელმაც წლების წინ ამავე მიზეზით დატოვა თბილისი და გურიაში გადავიდა საცხოვრებლად. ნინოსგან განსხვავებით, მას ჰქონდა მამაპაპისეული სახლ-კარი და წლების განმავლობაში სოფლად ცხოვრების გამოცდილებაც დაუგროვდა. ისინი მალევე დაქორწინდნენ და უკვე მერვე წელია, გურიაში ცხოვრობენ და საქმიანობენ.

„როგორ შევეჩვიე აქაურობას? ამ კითხვას ხშირად მისვამენ. აქ ძალიან მშვიდად და რეალიზებულად ვგრძნობ თავს. მომწონს ჩემი საქმე – ბავშვებთან ურთიერთობა. მომწონს ის გამოწვევები, რომლებიც სწავლების პროცესთანაა დაკავშირებული და ამ გამოწვევებზე პასუხების ძიების პროცესი. თუმცა აქ ცხოვრება საკმაოდ რთულია. ხშირად სკოლაში ფეხით მიხდება წასვლა (3 კილომეტრი, ღელე და აღმართებია). ხანდახან ისეც ხდება, რომ დიდთოვლობის გამო ვერც ფეხით და ვერც მანქანით ვერ ვახერხებ სკოლამდე მისვლას; შემოდგომის მეორე ნახევრიდან საკმაოდ ცივა. გათბობის ერთადერთი საშუალება შეშის ღუმელია, ამავე ღუმელზე ვაკეთებ საჭმელს. მიუხედავად იმისა, რომ სამეურნეო საქმეებს ძირითადად ჩემი მეუღლე უძღვება, მიმაჩნია, რომ საქმე გაცილებით მეტია, ვიდრე ქალაქში. ამას ემატება ისიც, რომ ჩვენს სოფელში არ არის ბაღი და ჩემს სამუშაო საათებში ჩემს შვილებზე ძირითადად მამა ან თანასოფლელები ზრუნავენ. თუმცა ამ მიზეზით უფროსი შვილის ზამთარში ბებიასთან გაგზავნა მოგვიხდა“.

სანამ გურიაში სოფლის ცხოვრებას შეეჯიდებოდა, ნინო თბილისის ერთ-ერთი კერძო სკოლის ბიბლიოთეკაში მუშაობდა და ასევე bagpacker-ობდა, ანუ ზურგჩანთით მოგზაურობდა თურქეთსა და სირიაში. ძირითადად მარტო დადიოდა. ნინო ამბობს, რომ მოგზაურობა ენატრება, რადგან ჯეშმარიტად თავისუფალი მაშინ იყო, თუმცა ახლანდელი ცხოვრებითაც კმაყოფილია და თავს რეალიზებულად გრძნობს.

ნინოს ცხოვრება დატვირთულია. სკოლა, ოჯახი, მეურნეობა, ახალ-ახალი ცხოვრებისეული გამოწვევები და ბევრი შრომა მისი ყოველდღიურობაა. სოფლის სხვა მცხოვრებთა მსგავსად, ნინოს ოჯახსაც ჰყავს ძროხები, ღორები, აქვს ყანები. მისი ქმარი ძალიან ბევრს შრომობს. ნინო გვეუბნება, რომ მისი მეუღლე მღვდელია და თვითონ სოფლის ეკლესიაში გალობს, თუმცა ამაზე აპელირება მაინცდამაინც არ უყვარს, რადგან ჩვეულებრივი ადამიანები არიან და ისევე ცხოვრობენ და შრომობენ, როგორც სხვები... ისევ და ისევ საკუთარი თავისთვის.

ნინო სოფლის მასწავლებლების დატვირთულ ცხოვრებაზეც გვიყვება. მათ უმეტესობას აქვს მეურნეობა, რომელიც მნიშვნელოვანია მათი ოჯახებისთვის. ისინი ფიზიკურად ბოლომდე იხარჯებიან (უვლიან ძროხებს, მუშაობენ ბოსტანში) და მათთვის ერთგვარი გამოწვევაა, ამ პირობებში სრულყოფილად იზრუნონ სწავლების ახალი მეთოდების ათვისებაზე, რაც, თავის მხრივ, დიდ ყურადღებას და ენერგიას მოითხოვს. ნინო ამბობს, რომ ასეთი ფიზიკური დატვირთვა ხშირად იწვევს მათში სტრესს, დემოტივაციას და გაღიზიანებას, მაგრამ ისინი მაინც ცდილობენ, ყველანაირად დაეხმარონ ბავშვებს, საჭირო უნარები და ცოდნა მისცენ.

დასასრული იხ.
WWW.MASTSAVLEBELI.GE

> სამყაროს საიდუმლოებათა ამოხსნის ზოგადსაკაცობრიო ოცნებას, რომელსაც ლიტერატურა ახმიანებს, სწორედ ფიზიკა ასხამს ხორცს.

პასუხის მიღების მეექვსე მეთოდიც იპოვა და მერე დაჟინებით ითხოვდა ჟურნალში ექვსიანის ჩაწერას, რომელიც დიპლომატიური მოლაპარაკებების შედეგად მასწავლებელმა ორ ხუთიანში გაუცვალა.

ექვსი ფრიადი

გუმანმა მიკარნახა, რომ ამ კითხვაზე პასუხს თავს არ აარიდებდა და გაბედე: „შეცდომები თუ დაგიშვიათ? ან თუ უკითხავს მოსწავლეს რამე ისეთი, რაზეც პასუხი არ გცოდნიათ?“

უკითხავს და მასწავლებელიც მეორე დღეს რამდენიმე საათი იჯდა საჯარო ბიბლიოთეკაში პასუხის გასაგებად, მნიშვნელოვან შეხვედრაზეც კი დაიგვიანა. მოსწავლისთვის, რომელიც მას შეცდომაში ამხელს, ზაურ მასწავლებელს ჯილდოდ უმაღლესი შეფასება აქვს დაწესებული. ასეთი ფრიადი ექვსჯერ დაუწერია და თითოეული შემთხვევა ცხადად ახსოვს, თუმცა ერთი მაინც გამოირჩეოდა:

მოსწავლე, გვარად ნათაძე, ისეთი ნიჭიერი იყო, ექსტრემალურ სიტუაციაში მასწავლებელსაც კი შეცვლიდა გაკვეთილზე. ერთხელ ბატონმა ზაურმა დაფაზე რადიომიმღების სქემა დახაზა, რომელშიც კონდენსატორიც იყო ჩართული.

– კონდენსატორი რომ მოვხსნათ, რადიომიმღები იმუშავებს? – იკითხა ნათაძემ.

ამ დროს ზარი დაირეკა და მასწავლებელმა ნაჩქარევად მიუგო, არაო.

– რომ ავაწყო?

– ადი ლაბორატორიაში და ააწყვე.

ნათაძემ ცოტა ხანში მართლაც ჩამოიტანა რადიომიმღები, რომელიც კონდენსატორის გარეშე, მართალია, ცუდად, მაგრამ მაინც მუშაობდა და ფრიადიც მიიღო.

ნიშანი როგორც დაფასების ნიშანი

ზაურ მასწავლებელი არ მალავს, რომ სულ რამდენჯერმე, მაგრამ მაინც, როდესაც მოსწავლის წარმატების შესახებ გაუგია, მაგალითად, ჭადრაკში, სიმღერასა თუ ლიტერატურაში, მისთვის ჟურნალში ერთი „ზედმეტი“ ფრიადი ჩაუწერია, როგორც ნიშანი მისი წარმატებით სიხარულისა, იმისა, რომ მათი ურთიერთობა მხოლოდ საკლასო ოთახითა და ფიზიკით არ შემოიფარგლება.

და ისევ ფიზიკის შესახებ

მერიმ თქვა, რომ ზაურ მასწავლებელმა შეაყვარა ფიზიკა, რადგან დაანახა არა როგორც ფორმულაში ჩაკეტილი, არამედ ქმედითი, დინამიკური მეცნიერება სამყაროს ყოველდღიურობის, გარემომცველი მოვლენების შესახებ. თავადაც ამან შეაყვარა ეს დისციპლინა – ინტერესმა, რა ხდებოდა, როგორ ხდებოდა, რატომ...

და რაც უფრო მეტს იგებს, მით მეტი საიდუმლოა ამოსახსნელი და იმატებს სურვილიც, რაც შეიძლება მეტს გადასცეს ცოდნა, რომ ეს უსასრულო პროცესი დაჩქარდეს.

– განა მობილური ტელეფონი, ჯიბეში რომ უდევს დღეს ყველას, სასწაული არაა? – მეკითხება.

– სასწაულია, – ვპასუხობ და ვხვდები, რომ მობილური ტელეფონი პოეზიაა, მთელი კაცობრიობის ოცნება, შეძლო, ყოველთვის და ყველგან მიაწვდინო ხმა ყველას, ვინც გიყვარს და გული დაიმშვიდო, რომ კარგადაა, არაფერი უჭირს.

– მომდევნო რა იქნება? – ვეკითხები და ჩემს ოცნებას ვანდობ, – დროის მანქანა?

ვსაუბრობთ დროის მანქანის გამოგონების პერსპექტივებზე. შეუძლებელი არაფერი ჩანს, სულაც პირიქით.

მისთვის სასწაულია ინტერნეტიც, გლობალიზაციაც, თვითრეალიზაციისა და თავისუფალი აზროვნების ახალი შესაძლებლობები. ჩემთვის კი ბედნიერებაა საუბარი ხანმოყრილ ადამიანთან, რომელსაც სიახლეები კი არ აშინებს, აღაფრთოვანებს.

– ღმერთი თუ გწამთ? – ბანალურია, ფიზიკოსთან საუბრისას ეს კითხვა ყველას უჩნდება.
– მწამს ბუნების ძალების. მეცნიერებას შეუძლია ამოხსნას, რისგან შედგება ადამიანი, მაგრამ როდესაც ყველა ამ ნივთიერებას წინ დაუწყობ: წყალს, ფოსფორს, ჟანგბადს... – და მეცნიერი შექმნის ადამიანს, ეგებ მაშინ აღარ დასჭირდეს მას ღმერთი. მაგრამ ადამიანებს ჯერ კიდევ სჭირდებათ ღმერთი, ხოლო ბავშვებს – კარგი მასწავლებელი.

არამხოლოდ ბავშვებს. ვემშვიდობები, მოვდივარ და ვფიქრობ ჭკვიან მზის სხივზე, რომელიც თურმე მუდამ უმოკლეს მანძილს ირჩევს მიზნამდე მისასვლელად. ეს ორი საათი მეყო იმის მისახვედრად, რამდენი დავკარგე. უიმედოდ ვავლებ თვალს დღის, თვის, მთელი წლის გაწერილ გრაფიკს.

– ეგებ მაინც გესწავლა ფიზიკა?

– ვეკითხები საკუთარ თავს, – ჰა, რას იტყვი?!

ინგა ღომაძე

როგორ შევქმნათ სამუშაო ატმოსფერო საკლასო ოთახში

ზოგი მასწავლებელი დისციპლინასთან დაკავშირებით სერიოზულ პრობლემებს აწყდება, მაშინ როდესაც მისი კოლეგები ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე ქმნიან სწავლისთვის ნაყოფიერ გარემოს. როგორ ახერხებენ ამას?

ქაოსსა და წესრიგს შორის გადებული ხიდი ოთხ ხიმინჯს ეყრდნობა. თუ კლასის მართვა გსურთ, ყოველ მათგანს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს. ესენია:

- კარგად გათვლილ პროგრამაზე დაფუძნებული ეფექტური გაკვეთილები;
- კარგი ორგანიზატორული უნარები;
- მოსწავლისა და მასწავლებლის კარგი ურთიერთობა;
- ეფექტური დისციპლინა (რომლის მიღწევაც შეუძლებელია, თუ წინა სამი პირობა არ შესრულდა).

პირველი ფაქტორი ძნელი შესაფასებელია – იმ დისციპლინური პრობლემების დიდი ნაწილი, რომლებსაც მასწავლებელი ეჯახება, ჯერ კიდევ გაკვეთილის დაწყებამდე, მისი დაგეგმვისას იჩენს თავს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამოტივაციო ნაწილს. მოსწავლეებისთვის შეთავაზებული სამუშაო საინტერესო და მრავალფეროვანი დავალებებით გაჯერებული უნდა იყოს. სასწავლო აქტივობის დაგეგმვისას უნდა ვითვალისწინებდეთ ყოველი მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებს. დავალებები არც მეტისმეტად რთული უნდა იყოს და არც მეტისმეტად მარტივი. მოსაფიქრებელია წახალისების ფორმაც. ეს არ არის ადვილი, მაგრამ განა, საზოგადოდ, მასწავლებლობა ადვილია?!

განვიხილოთ „რთულ“ კლასთან ნაყოფიერი მუშაობის საკითხი. გამოცდილი პედაგოგები პრობლემებს კი არ აგვარებენ, არამედ იმთავითვე არ უშვებენ მათ წარმოშობას. პრაქტიკანტები გულმოდგინედ ცდილობენ იმ „ხრიკების“ ამოცნობას, რომელთა წყალობითაც პედაგოგები „რთულ“ კლასებთანაც კი ახერხებენ ნაყოფიერ მუშაობას. კარგად ორგანიზებული გაკვეთილი შედეგიანია, დადებითი გამოცდილება კი დადებით ურთიერთობას განამტკიცებს.

ყველა პედაგოგს აქვს მოთხოვნებისა და წესების საკუთარი ნაკრები, თუნდაც ის გაცხადებული არ იყოს. გულდასმით გაიაზრეთ, მკაფიოდ ჩამოაყალიბეთ ეს წესები და თანმიმდევრულად მოითხოვეთ მათი შესრულება. გინდათ, დავალებები ორშაბათობით ან სამშაბათობით ჩაგაბარონ? მოსწავლემ ხელი აიწიოს კითხვის დასასმელად? პრაქტიკული მეცადინეობისას ნებადართულია თუ არა საუბარი?

წესების ფორმირება დროს მოითხოვს. ისინი საგანმანათლებლო შედეგების მიზანმიმართულობაზე, უსაფრთხოების ტექნიკასა და სხვა ასეთ პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული და არა თქვენს ჩვევებზე. დღემდე მახსოვს წყენა, მასწავლებელმა რომ მომაყენა, როცა მთელი თხზულება თავიდან გადამაწერინა, რადგან მწვანე კალმით მქონდა ნაწერი, თუმცა ამის გამო მოგვიანებით „შური ვიძიე“.

გაკვეთილზე რა ნებადართულია და რა – არა, ამაზე მოსწავლეები თქვენი სიტყვების კი არა, ქცევის საფუძველზე იმსჯელებენ. თუ გაკვეთილზე საუბარს კრძალავთ, მაგრამ არ აღკვეთთ მას, წესი არაქმედითი ხდება. თუ უცებ მივარდებით მოსწავლეს და უსაყვედურებთ

უდროო და უადგილო საუბრისთვის, მიიღებთ აღშფოთებულ პასუხს: „რატომ მარტო მე?! სხვებიც ხომ ლაპარაკობდნენ?!“

თუ მხოლოდ იმ მოსწავლეებს მისცემთ აზრის გამოთქმის საშუალებას, რომლებიც ხელს იწევენ და უგულებელყოფთ მათ, ვინც ადგილიდან წამოიყვირებს, ხელის აწევა წესად იქცევა.

რა მკაფიოდაც უნდა ჩამოაყალიბოთ თქვენი წესები, იცოდეთ, რომ ისინი სიმტკიცეზე გამოცდას მაინც გაივლიან, ამიტომ დაჟინებით მოითხოვეთ მათი შესრულება. ამისთვის საკმაო ხანი დაგჭირდებათ, მაგრამ ასეთი სამუშაო მნიშვნელოვანი ინვესტიციაა სამომავლო წესრიგისათვის.

ადამიანთა ქცევის წესები პრეცენდენტებზეა დამყარებული, ამიტომ მათთან მიმართებით შეუბრალებლად თანმიმდევრულები უნდა ვიყოთ. გამონაკლისებიც არსებობს, მაგრამ ისინი არცთუ ხშირია. დარწმუნდით საკუთარი ქმედების სამართლიანობაში და იყავით პრინციპული. ერთმა დიდი გამოცდილების მქონე პედაგოგმა ხუმრობით ასეთი რჩევა მომცა: „თავის მართლება თანაგრძნობით და ინტერესით მოისმინე, მერე კი ყურადღება აღარ მიაქციო“.

ზოგჯერ კარგია წესებისა და მოთხოვნების მოსწავლეებთან ერთად განხილვა: „როდის ისურვებდით დავალებების ჩაბარებას - ორშაბათობით თუ სამშაბათობით?“ ზოგ პედაგოგს პრობლემა კლასის სამსჯავროზე გამოაქვს: „ვხედავ, რომ ბევრი დროულად ვერ აბარებს ნამუშევარს, რაშია საქმე? იქნებ დავალებები მეტისმეტად რთულია?“ დაჟინებით მოითხოვეთ იმ წესების დაცვაც, რომლებიც თავად შემოგთავაზეს. როცა წესები დამკვიდრდება, შეგიძლიათ, ოდნავ გადაუხვიოთ მათ, მაგრამ ამ შემთხვევაშიც სამართლიანი იყავით.

ყველა პედაგოგს, რომლებიც მოსწავლეთა კონკრეტულ ჯგუფებთან მუშაობენ, შეძლებისდაგვარად მსგავსი მოთხოვნები და წესები უნდა ჰქონდეს. სთხოვეთ კოლეგებს მათ გაკვეთილზე დასწრების ნებართვა. თუ თქვენი მოთხოვნები შეესაბამება მათსას, მუშაობაც გაადვილდება.

კლასში მოსწავლეების მოსვლამდე შედით, შეამოწმეთ, მზად გაქვთ თუ არა და მუშაობს თუ არა ყველაფერი. თუ საბუნებისმეტყველო საგნებს ასწავლით, წინასწარ გაიარეთ ის ექსპერიმენტი, რომელსაც შემდეგ მოსწავლეებს წარუდგენთ. მოამზადეთ ყველა საჭირო ხელსაწყო, რომ მერე საძებარი აღარ გაგიხდეთ. როცა მოსწავლეები საკლასო ოთახში შემოსვლას დაიწყებენ, შეგიძლიათ, კართან დახვდეთ, მიესალმოთ და თვალი ადევნოთ, როგორ დასხდებიან მერხებთან. შეეცადეთ, საქმიანი, მშვიდი და თავდაჯერებული გამომეტყველება გქონდეთ. გაკვეთილი დროულად დაიწყეთ, დაგვიანებულების ლოდინი უსამართლობა იქნება დროულად მოსულების მიმართ, თანაც ამით დანარჩენებსაც უბიძგებთ დაგვიანებისკენ.

ძალიან მნიშვნელოვანია კლასში დისციპლინის დამყარება და შენარჩუნება. ახალ ჯგუფთან მუშაობის დაწყებისას პედანტურად მოქმედებაა საჭირო. ამისთვის დროის დახარჯვა ღირს. თუ ამას პირველსავე გაკვეთილზე ვერ მიაღწიეთ, საეჭვოა, შემდგომში მოახერხოთ. თუ მოსწავლეებს არ ესმით თქვენი ნალაპარაკები, არ მოგისმენენ. სთხოვეთ, გაჩუმდნენ და დაელოდეთ, რამდენი ხანიც არ უნდა დასჭირდეს ამას. თუ თხოვნის გამეორება მოგიხდათ, გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული რჩევები. არ დაიწყოთ საუბარი, სანამ ყველა არ გაჩუმდება და მზერას არ მოგაპყრობთ, თორემ მოსწავლეებს შეექმნებათ შთაბეჭდილება, რომ ნებას რთავთ, როცა მოესურვებათ, მაშინ ისაუბრონ.

არ შეიმჩნიოთ შიში და ბრაზი, არ გადახვიდეთ შეურაცხყოფაზე. ეს არ არის შედეგის მომტანი და ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს სიტუაციის კონტროლი არ შეგიძლიათ. ნაცვლად ამისა, დაანახეთ ბავშვებს, რომ ხმაურის გამო რაღაც მნიშვნელოვანს უშვებენ ხელიდან.

როცა ყველა გაჩუმდება, კლასს რამდენიმე წამი ადროვეთ, რომ სიჩუმე შეიგრძნონ და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეთ ლაპარაკი. თუ რომელიმე მათგანი თქვენს პარალელურად ალაპარაკდა, სიტყვა გაწყვიტეთ და მზერა მოლაპარაკეს მიაპყარით, სანამ არ გაჩუმდება. თუ საჭირო გახდა, სახელით მიმართეთ, სთხოვეთ, გაჩუმდეს და გისმინოთ, ხოლო როცა კვლავ იდეალური სიჩუმე დამყარდება, განაგრძეთ იქიდან, სადაც შეჩერდით. მალე მოსწავლეები მიხვდებიან, რომ ისე ვერ შეძლებენ საუბარს, ყურადღება არ მიიქციონ და ასე აღარ მოიქცევიან.

თუ რომელიმე მოსწავლე გამუდებით არღვევს სიჩუმეს, შეახსენეთ, რომ ერთდროულად მოსმენაც და საუბარიც შეუძლებელია. გვერდით დაუდექით ან სხვაგან გადასმით დაეუქრეთ. სხვა ვარიანტებიც არსებობს, რომლებსაც შემდეგ

> ძალიან მნიშვნელოვანია კლასში დისციპლინის დამყარება და შენარჩუნება. ახალ ჯგუფთან მუშაობის დაწყებისას პედანტურად მოქმედებაა საჭირო. ამისთვის დროის დახარჯვა ღირს. თუ ამას პირველსავე გაკვეთილზე ვერ მიაღწიეთ, საეჭვოა, შემდგომში მოახერხოთ. თუ მოსწავლეებს არ ესმით თქვენი ნალაპარაკევი, არ მოგისმენენ.

> გაკვეთილზე რა ნებადართულია და რა – არა, ამაზე მოსწავლეები თქვენი სიტყვების კი არა, ქცევის საფუძველზე იმსჯელებენ. თუ გაკვეთილზე საუბარს კრძალავთ, მაგრამ არ აღკვეთთ მას, წესი არაქმედითი ხდება.

განვიხილავთ. რომელიც არ უნდა აირჩიოთ, მთავარია, არ დანებდეთ, მაგრამ ნურც ზედმეტის მოლოდინი გექნებათ. ზოგიერთ ჯგუფს მასწავლებლის საუბარზე კონცენტრირება მხოლოდ რამდენიმე წუთით შეუძლია. თუ ასეთ ჯგუფთან მოგიწიათ მუშაობა, ფრონტალურ სიტყვიერ მეთოდზე ნუ აიღებთ ორიენტაციას. მოსწავლეთა მცირე ჯგუფებს ესაუბრეთ, გამოიყენეთ დაფა ან პროექტორი, დაეყრდენით ჩამოსარიგებელ მასალაზე მუშაობის მეთოდს.

დააწყისი გაკვეთილის ერთ-ერთი უმთავრესი ნაწილია. პირველი ხუთი წუთი მთელი გაკვეთილის მსვლელობას განსაზღვრავს. თუ გსურთ, „მიძინებული“ კლასი გამოაცოცხლოთ, დაიწყეთ ენერგიულად, თუ ახმაურებული კლასის დაწყნარება გინდათ – წყნარად. თუ კლასი განსაკუთრებით ხმაურიანია, შეეცადეთ, დაიწყოთ დავალებით, რომელიც ინდივიდუალური მუშაობისთვისაა განკუთვნილი და თქვენი მხრივ ახსნას არ მოითხოვს. ეს შეიძლება იყოს დაფიდან სქემის გადახაზვა, სახელმძღვანელოში მოცემულ დავალებაზე მუშაობა ან წინა გაკვეთილზე დაწყებული სამუშაოს გაგრძელება. ეს საშუალებას მოგცემთ, ფოკუსირება მოახდინოთ სიჩუმის დამყარებაზე, სამუშაო ატმოსფეროს შექმნაზე, დაგვიანებულ მოსწავლესთან მუშაობაზე, რომელმაც სახელმძღვანელო დაკარგა. თუ სიჩუმე ხუთ წუთს გაგრძელდა, ესე იგი სამუშაო ატმოსფერო მთელი გაკვეთილის განმავლობაში უზრუნველყოფილია.

ზოგი პედაგოგი, განსაკუთრებით ისინი, რომლებსაც ხმაურიან გარემოში (მაგალითად, ჩართული კომპიუტერების თანხლებით) უწევთ მუშაობა, ყურადღების მისაქცევად განსაკუთრებულ პრაქტიკას იყენებენ, მაგალითად, სამჯერ შემოკრავენ ტაშს. ილაპარაკეთ ლაკონიურად, მაგრამ გასაგებად და პოზიტიურად. ინტონაცია უნდა იყოს სასიამოვნო, მაგრამ მტკიცე და დამაჯერებელი.



თუ მოსწავლეებს ხშირად უწევთ თქვენს მაგიდასთან მოსვლა სადემონსტრაციო ცდის უკეთ დასანახავად, აჯობებს, მათი განლაგების გეგმაც შეიმუშაოთ, რათა თითოეულმა მათგანმა იცოდეს, სად დადგეს.

ნუ გამოიყენებთ განზოგადებულ მიმართვებს, მაგალითად: „ბოლოს და ბოლოს, როდის შეუდგებით მუშაობას?“ საერთო ინსტრუქცია მხოლოდ ერთხელ მიაწოდეთ, მერე კი მიმართეთ კონკრეტულ მოსწავლეებს, რომლებიც არ ან ვერ ასრულებენ ამ ინსტრუქციას. გამოიყენეთ სახელით მიმართვის ფორმა ან თვალებით კონტაქტი: „ლეო, დროა, მუშაობა დაიწყო!“

თუ ინსტრუქციებს იძლევით, თავადვე უნდა მისცეთ მათი შესრულების მაგალითი. თუ მოსწავლეებისგან მოითხოვთ რვეულის ფაქიზად და მეთოდურად წარმოებას, თავადაც ასე წერეთ დაფაზე. თუ მოითხოვთ უსაფრთხოების ტექნიკის დაცვას, თქვენც დაიცავით. უფლება არ მისცეთ მოსწავლეებს, გაკვეთილის დასრულებამდე გავიდნენ საკლასო ოთახიდან – ეს სახიფათო პრეცედენტს შექმნის. მას, ვინც სხვებზე ადრე დაასრულებს მუშაობას, მიეცით დავალება მიმოხილვაზე.

კლასის გრძნობა – „თვალები კეფაზე“

როდესაც სამოცი წლის სასწავლო ნაწილი რჩევებს მაძლევდა, ნახევრად ხუმრობით შემომთავაზა, კლასისთვის ლაბორატორიული კარადის შუშაში მედევნებინა თვალყური და მოუსვენრებისთვის თავის მიუბრუნებლად მიმეცა შენიშვნა. „ეს პატარა ეშმაკუნები მაშინ გცემენ პატივს, როცა ჰგონიათ,

რომ მათ აზრებს კითხულობ და მაშინაც კი იცი, რას აკეთებენ, როცა ვერ ხედავ“.

ცუდი საქციელი გადამდებია. მოსწავლეები ფიქრობენ: „რატომ მოვიქცე კარგად, როცა სხვები ცუდად იქცევიან?“

რასაც არ უნდა აკეთებდეთ თქვენ ან თქვენი მოსწავლეები, თქვენი იქ ყოფნა კლასის ყოველ კუთხე–კუნჭულში უნდა იგრძნობოდეს. უკანა მერხზე მსხდომი მოსწავლეები თქვენს გავლენას ისე მძაფრად ვერ იგრძნობენ, ამიტომ დროდადრო მიუახლოვდით მათ. საუბრისას შეეცადეთ, ყველას თვალებში უყუროთ. იყავით ყურადღებიანი და გამუდმებით მაგიდასთან ნუ იდგებით. საით იყურებიან ბავშვები? გისმენენ თუ არა? ყველას აქვს მომარჯვებული კალამი? თუ რომელიმე არ მუშაობს, შეაჩერეთ მასზე მზერა, თუ საჭიროა, ახლოს მიდით, გვერდით დაუდექით და ისე განაგრძეთ ახსნა. ჩვეულებრივ, ეს საკმარისია უდისციპლინო საქციელის ასალაგმავად.

დაფაზე წერისას დროდადრო შემოტრიალდით და კლასს მზერა მოავლეთ. როცა ერთ მოსწავლეს ესაუბრებით, ყურადღება არ მოადუნოთ, ისე დადექით, რომ მთელ კლასს ან მის დიდ ნაწილს ხედავდეთ. როცა მერხებს შორის დადიხართ, მაშინაც მზერით მოახდინეთ „სკანირება“. მახვილი ყურადღება დაგეხმარებათ, დასაწყისშივე ალაგმოთ არასასურველი ქმედება, ოპერატიულობის შემთხვევაში კი მოსწავლეები მიხვდებიან, რომ დაწყებას აზრი არ აქვს.

ზოგჯერ უკეთესია, თავი ისე დავიჭიროთ, თითქოს მოსწავლეების უწყინარ ცელქობას ვერ ვამჩნევთ. გამოცდილების დაგროვებასთან ერთად ისწავლით, რისი იგნორირება შეიძლება, თუმცა ასეთი შემთხვევა ცოტაა.

ძნელია, სწავლების პროცესში ყურადღება არ მოადუნო. ამას პრაქტიკა სჭირდება. პირველ ხანებში ეს შეუძლებელი მოგეჩვენებათ, მაგრამ მალე ამას ისევე მექანიკურად გააკეთებთ, როგორც გამოცდილი მძღოლი რთავს მანქანის სიჩქარეს. უნდა ისწავლოთ კარგი საქციელის დანახვა და აღნიშვნაც, რათა მოწესრიგებული მოსწავლეები წაახალისოთ.

არასათანადო ქმედება რაც შეიძლება სწრაფად უნდა ალაგმოთ სამი მიზეზის გამო:

- რომ სხვა მოსწავლეებსაც არ გადაედოთ;
- რადგან ადამიანის შეჩერება დასაწყისში უფრო ადვილია, ვიდრე შემდეგ;
- რომ არ მივცეთ მოსწავლეს საშუალება, მიიღოს შედეგი, რომელსაც ცუდი საქციელისგან ელის.

მოსწავლეებს უყვართ გაკვეთილზე ლაპარაკი. თუ მათ მოახერხეს ერთმანეთისთვის რამდენიმე ფრაზის გაცვლა, სანამ ყურადღებას მიაქცევთ, მიიჩნევენ, რომ ეს თქვენს უკმაყოფილებად ღირს. თუ პირველივე სიტყვებზე შეაჩერეთ, მიხვდებიან, რომ გაგრძელებას აზრი არ აქვს.

„ხანძრის“ ეფექტურად ჩასაქრობად ყველა მოსწავლის სახელის ცოდნა აუცილებელია.

„იმ დროს გენუა იყო აყვავებული სავაჭრო პორტი... ხომ ასეა, სემუელ? ეს გახლდათ არცთუ ისე დიდი ქალაქი...“

თუ სახელი უკმაყოფილო კილოთი წარმოითქვა, სემუელი მიხვდება, რატომ მიმართეს სწორედ მას და არა სხვას. ეს ილეთი პრაქტიკულად ყოველთვის საკმარისია არასათანადო ქცევის ასალაგმავად.

თუ ამჩნევთ, რომ გაუგონარი მოსწავლეები თქვენი ძალისხმევის წყალობით უბრუნდებიან სამუშაო პროცესს, ნუ დაიშურებთ დადებით გამოხმაურებას: „აი, ახლა გაცილებით უკეთესია, სწორ გზას ადგახარ“. გამოკვლევები მოწმობს, რომ კარგი საქციელის დაფასება გაცილებით ქმედითია, ვიდრე ცუდის კრიტიკა.

ქების ძალა

ერთ-ერთი გამოკვლევის ფარგლებში ნოემბრიდან ივნისამდე კვირაში სამჯერ, დღეში 20 წუთის განმავლობაში, აკვირდებოდნენ „პრობლემური ქცევის მაღალი მაჩვენებლის“ მქონე მოსწავლეებს და 10 წამში ერთხელ აღნუსხავდნენ მათ „სწორ“ და „არასწორ“ საქციელს. კვლევის დასაწყისში ზოგი მათგანი დროის 70%-ის განმავლობაში არასწორად იქცეოდა, მაგრამ გამოცდილი და კომპეტენტური მასწავლებელი იყენებდა სხვადასხვა სტრატეგიას, რომლებიც მოსწავლეებს უკეთ მოქცევაში ეხმარებოდა. ქცევის წესების შეხსენება ნაკლებად ჭრიდა, ხოლო ცუდი საქციელის იგნორირება უფრო მეტად აფუჭებდა საქმეს. როცა მოსწავლეებს შეახსენებდნენ ქცევის წესებს, ცუდ საქციელს უგულებელყოფდნენ, მაგრამ უქებდნენ კარგს, ბავშვები დროის 90%–ის განმავლობაში კარგად იქცეოდნენ. დასკვნა თავად გამოიტანეთ.

წყარო:

Geoff Petty. Teaching Today a Practical Guide. 4th Edition Publisher. Oxford University Press, 2009. p. 125-133.

პროფესია მასწავლებელი

მაია მენაბდე

მასწავლებლობის სევდა

> მტანჯველი სევდაა იმაზე ფიქრი, რამდენი რამ შეგეძლო გესწავლებინა, მაგრამ ვერ მოასწარი, ან გამოგეპარა, ან გეგონა ასწავლე და თურმე სულ სხვებისთვის გისწავლებია. რაც მთავარია, ველარც ასწავლი, რადგან შენს მასწავლებლობას მათთვის ვადა გაუვიდა.

მასწავლებლობა დღესასწაულია.

...მაგრამ არის რაღაც სევდის მომგვრელიც ამ დღესასწაულში.

„...არც ის ვიცოდი, რომ მასწავლებლებიც დარდობენ საკუთარ მომავალზე: ავდგები და დავწერ ამ წყეულ დისერტაციას, იქნება რომელიმე პრესტიჟულ უნივერსიტეტში გამოვკრა ხელი ლექტორის ადგილს. მეცნიერული საქმიანობისთვის ხომ არ მიმეძღვნა თავი? იქნებ ჯობდა, საზღვარგარეთ წავსულიყავი სამუშაოდ? იქნებ შევეშვა ამ პედაგოგობას და სხვა სექტორში გადავბარგდე? გავთავისუფლდე ამ უმადური, მუწუკებიანი შურისმაძიებლებისაგან, ფუჭად რომ აოხრებენ ამდენ ქაღალდს და მეც სიცოცხლეს მიმწარებენ? არ ვიცოდი, რომ მაშინ, როცა მასწავლებლები საკუთარ მომავალზე არ ფიქრობენ, აუცილებლად დარდობენ საკუთარი შვილების მომავალზე, მათ სწავლა-განათლებასა და უმაღლესის დასრულების შემდეგ ცხოვრების მოწყობაზე. არ ვიცოდი, რომ მასწავლებლებს თავი ასე ჰქონდათ დამძიმებული მომავალზე ფიქრით. მე მეგონა, ისინი მხოლოდ ჩემი მომავლის ჩასაქოლავად იყვნენ მოვლენილნი“,

– ეს სიტყვები იმ საოცარი წიგნიდანაა, რომლის რემინისცენციითაც დავასათაურე ეს სტატია. დანიელ პენაკის „სკოლის სევდა“ იმ ყოფილი მოსწავლის ფიქრებია, ოროსნის იარლიყით რომ იტანჯებოდა. ლამის ხელშესახებად რეალურია ეს ფიქრები. მაგრამ მე სხვა, განსხვავებულ სევდადარდებზე უნდა დავწერო.

სიცარიელის სევდა

ხშირად მასწავლებლის სევდა მოსწავლეების სიხარულს ემთხვევა. ყოველ წელს, როცა მოსწავლეები წარწერებიანი მაისურებითა და პერანგებით თავისუფლების ფრთებს შლიან, მიჩნდება განცდა, რომ მათი სკოლის დამთავრება ძალიან ჰგავს ზრდასრული შვილების სახლიდან წასვლას – მათი ახალი გზის დასაწყისი რომ გიხარია და თან სახლის დაცარიელების შიში და სევდა გკლავს. ზუსტად იცი: ფრენანასწავლებს არ ან იშვიათად მოენატრებათ სკოლა; სამაგიეროდ, შენ რომ სკოლაში დაბრუნდები, ლამის მთელი შემოდგომა დაგტანჯავს სიცარიელის შეგრძნება და ყველაზე სულელური ფიქრი: სხვა ბავშვებს ასე ვეღარ შეიყვარებ.

უკან დაბრუნების სევდა

ხანდახან ერთად გგონიათ, რომ წასვლით არაფერი შეიცვლება, ისევე საჭირო, საინტერესო და აუცილებელი იქნებით ერთმანეთისთვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ურთიერთობაც ემორჩილება ცვალებადობის ღმერთის ნებას და შენი ყოველი გათენების განუყოფელი ნაწილები ყოველ ახალ გათენებასთან ერთად უფრო და უფრო გიუცხოვდებიან. თავიდან გწერენ, რომ მოენატრათ შენი გაკვეთილები და ერთხელაც აუცილებლად მოვლენ. სულ გინდა უთხრა, რომ არა, არ მოვიდ-

ნენ, რადგან ყველაზე მართალი სიტყვები უკან დაბრუნებაზე ერთხელ შემთხვევით მოისმინე: „მე აღარ მივსულვარ სკოლაში, რომელშიც ვსწავლობდი... აღარ მივსულვარ უნივერსიტეტში, რომელიც დავამთავრე... აღარ დავბრუნებულვარ თეატრში, რომლიდანაც წამოვედი... რადგან აღარ უნდა მიბრუნდე იქ, სადაც და რაც ძალიან გიყვარდა. იმიტომ, რომ იქ სიყვარული აღარ დაგხვდება. იქნება მხოლოდ სიცარიელე...“ – ვიღაც ამბობდა რადიოში. მერე გალაკტიონის „უსიყვარულოდ“ წაიკითხა.

ჰოდა, ასე ემართებათ კიდეც. შენ კი გტანჯავს საშინელი სევდა, რომ ვერ გაუმართლე მოლოდინი, ვერ დაახვედრე მონატრებული საინტერესო გაკვეთილი და მათაც ზედმეტად იგრძნეს თავი.

ვერმოსწრების სევდა

მტანჯველი სევდაა იმაზე ფიქრი, რამდენი რამ შეგეძლო გესწავლებინა, მაგრამ ვერ მოასწარი, ან გამოგეპარა, ან გეგონა ასწავლე და თურმე სულ სხვებისთვის გისწავლებია. რაც მთავარია, ვეღარც ასწავლი, რადგან შენს მასწავლებლობას მათთვის ვადა გაუვიდა.

შეხვედრების სევდა

როცა ქუჩაში მოულოდნელად ხვდებით ერთმანეთს, ძალიან გიხარიათ, მაგრამ წამების შემდეგ გრძნობთ, რომ სალაპარაკო გამოგელიათ და ზუსტად ისევე ელოდებიან შენგან საუბრის გაგრძელებას, როგორც სკოლაში ყოფნისას ელოდნენ საინტერესო გაკვეთილს. საუბარს ვერ აგრძელებ და ისევ სევდა გკლავს. ასე სევდიანი ემშვიდობები.

ხშირად თუ ხვდებით ქუჩაში, რამდენიმე შეხვედრის შემდეგ თვალსაც გარიდებენ. უბრალოდ, სალაპარაკო აღარაფერი გაქვთ და რა ქნან?!

ზოგჯერ შორიდან მოჰკრავ თვალს, თვითონაც შეგამჩნევს, გგონია, მოვა, სწავლისა და სამსახურის ამბებს გამოჰკითხავ. და უცებ დაინახავ, მანქანიდან გადმოდის, სულ აღარ ჰგავს იმ ცუღლუტ ბიჭს, გაკვეთილზე რომ გეჯდა და ცმუკავდა. დამსხვილებულა, დარბაისლური და საქმიანი იერი მიუღია. ასე დარბაისლურად და საქმიანად გესალმება შორიდან თავის დაკვრით და იქვე, ბანკში შედის. დანაღვლიანდები, შორიდანვე ამჩნევ – აღარ ხტიან მის თვალებში შენთვის ასე საყვარელი ჭინკები. და გგონია, ახლა ყველაზე სევდიანი ამბავი გაქვს მოსაყოლი.

დანაშაულის სევდა

ყოველ ჯერზე, როცა იგებ, რომ რომელიმემ ფეხი წამოიკრა, რაღაც იტკინა, არ უნდა შეშლოდა და შეეშალა... ამის გამო მის გარშემო ქირქილებენ ან უბრაზდებიან, აუცილებლად გადასატანი ტვირთივით გაწვება დარდი მხრებსა და გულზე, რომ შენც დამნაშავე ხარ – ან ფეხის წამოკვრასა და შეცდომაში, ან დაცინვასა და მრისხანებაში.

ჭეშმარიტების სევდა

მაგრამ, რადგანაც ყოველგვარ სევდაზე მწერლები და პოეტები უკეთესად წერენ, ვიდრე რიგითი სტატიის ავტორები, ამიტომ:

ხშირად მასწავლებლის სევდა მოსწავლეების სიხარულს ემთხვევა. ყოველ წელს, როცა მოსწავლეები წარწერებიანი მაისურებითა და პერანგებით თავისუფლების ფრთებს შლიან, მიჩნდება განცდა, რომ მათი სკოლის დამთავრება ძალიან ჰგავს ზრდასრული შვილების სახლიდან წასვლას – მათი ახალი გზის დასაწყისი რომ გიხარია და თან სახლის დაცარიელების შიში და სევდა გკლავს.



„ყოველ დილით,
8-ს რომ ძალიან დააკლდება 20 წუთი,
უკვე იწყება ჩემი ჩვეული, ყოველდღიური
დაღლილობა.
ვარ თითქოს რაღაც უჰაერო
და უჟანგბადო ყრუ სივრცეში გამოკეტილი,
და დღეები ისე გადიან,
არ შემიძლია არც ერთ დილით,
გავხსნა კარი და უბრალოდ ვთქვა:
„დღეს მე ვერაფერს ვერ გასწავლით,
წადით სახლში,
დღეს მე ვერაფერს ვერ გასწავლით!“
მე არ ვიცი, ვისი ხასიათია ჩემი ხასიათი,
როცა არაფერზე ვფიქრობ.
მაგრამ ვიცი, რომ
ესაა ჭეშმარიტი ხასიათი.

„ჭეშმარიტება არის
კვერცხზე კვერცხს რომ დაარტყამ“, –
უთხრა ქეთის მისმა მოსწავლემ.

ყოველ დილით,
8-ს რომ ძალიან დააკლდება 20 წუთი,
უკვე იწყება ჩემი ჩვეული, ყოველდღიური
დაღლილობა.
თითქოს კვერცხის უჰაერო, უჟანგბადო,
ყრუ სივრცეში ვარ გამოკეტილი
და მთელი ძალით ასკდება კედლებს
ათასი უცხო, გაუბზარავი ჭეშმარიტება.

მე კი არასდროს არ შემიძლია შევხსნა კარი
და უბრალოდ ვთქვა:
„დამიბრუნეთ ყველამ ჩემი ჭეშმარიტება
და წადით სახლში“.

მე არ ვიცი, ვისი ხასიათია ჩემი ხასიათი,
როცა არაფერზე ვფიქრობ,
და გაბზარული ნაჭუჭიდან შემოპარულ ჰაერს
გასრესილი იმედივით მუჭში ვიგროვებ:

მუდამ ასეა!
ვის დავაჯერებ ფანჯარაში გაშლილ ფრთებით
რომ მეც დავფრინავ.
ვის დავაჯერებ, რომ მე თვითონაც
ზოგჯერ ბავშვი ვარ მოთამაშე
და გარეული ზღარბებისთვის
ვაშენებ სახლებს“.
(ნათია ნაცვლიშვილი)

ასე მთავრდება სევდების ისტორია. ოდესმე მასწავლებლობის დღესასწაულობაზეც დავწერ.

ქეთევან ოსიაშვილი

რატომ ქვეითდება მეხუთეკლასელთა აკადემიური მოსწრება

ვფიქრობ, არავისთვისაა უცხო ის ფაქტი, რომ სასკოლო ცხოვრების ყოველ ეტაპზე ვაწყდებით სირთულეებს, რომლებიც კონკრეტული პერიოდისთვის არის დამახასიათებელი და რომელთა გადალახვის გარეშე შესაძლოა სერიოზული პრობლემების წინაშე აღმოვჩნდეთ. სირთულეების თვალსაზრისით ერთ-ერთ გამორჩეულ პერიოდად მიიჩნევა მეოთხედან მეხუთე კლასში გადასვლის პერიოდი. ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ სასკოლო ცხოვრების ამ მონაკვეთს სკოლასთან პირველკლასელთა ადაპტაციის პერიოდს ადარებენ. არცთუ იშვიათია შემთხვევა, როცა სექტემბერში მეხუთე კლასებში შესული პედაგოგები უკმაყოფილებას გამოთქვამენ და საყვედურებით ავსებენ ამ კლასებთან მომუშავე დაწყებითი კლასების მასწავლებლებს იმის გამო, რომ მათი „ნაქები“ და „საამაყო“ მოსწავლეები სწავლების კონკრეტული საფეხურისთვის საჭირო ცოდნასა და უნარებს ვერ ამჟღავნებენ. ხშირად მშობლებიც ვერ მალავენ უკმაყოფილებას და უკვირთ, რატომ აღმოჩნდა ასე მოულოდნელად მათი „მოწინავე“ შვილი „ჩამორჩენილ“ მოსწავლეთა რიგებში.

აქედან გამომდინარე, ბევრი მშობლისა და პედაგოგისთვის საინტერესო იქნება, რა ხდება სასკოლო ცხოვრების ამ ეტაპზე ისეთი, რაც ბავშვებში სერიოზულ ცვლილებებს განაპირობებს.

მეოთხედან მეხუთე კლასში გადასვლა ბავშვის ცხოვრების სრულიად ახალი საფეხურია. მისთვის ადვილი არ არის ამ პერიოდში მომხდარ ცვლილებებთან შეგუება:

- იმ მასწავლებლების ნაცვლად, რომლებთანაც ბავშვს ოთხი წლის განმავლობაში ჰქონდა ურთიერთობა, რომლებსაც ასე თუ ისე შეეგუა, რომელთა მოთხოვნებიც შეისწავლა და რომლებიც მისთვის ახლობელი ადამიანები გახდნენ, კლასში სრულიად უცხო პედაგოგები შედიან. თითოეული მათგანი საკუთარ წესებს აწესებს, საკუთარ მოთხოვნებს უყენებს ბავშვს, თავისებურად ხსნის გაკვეთილს. ამასთან ერთად, თუ დაწყებით კლასებში მასწავლებელმა უკვე კარგად იცოდა თავისი აღსაზრდელების შესაძლებლობები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები და სასწავლო პროცესშიც ითვალისწინებდა ყოველივე ამას, მეხუთე კლასში ახლად შესულ პედაგოგს განსაზღვრული დრო სჭირდება თითოეული ბავშვის შესასწავლად და საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად. თავად მოზარდს კი ამ პერიოდში შესაძლოა ერიდებოდეს უცხო მასწავლებლისთვის კითხვების დასმა და მისგან მიღებული ინფორმაციის დაზუსტება იმის შიშით, რომ თანაკლასელთა თვალში სულელი არ გამოჩნდეს.
- მეხუთე კლასიდან მოყოლებული, ახალი ცოდნის მიღებას და პედაგოგისგან ქების დამსახურებას ბავშვისთვის

> სირთულეების თავიდან აცილების ძალიან კარგი საშუალებაა ბავშვის უპირობო მილება, მიუხედავად იმ მარცხისა, რომელსაც უკვე შეეჯახა ან შეიძლება მომავალში შეეჯახოს.

უკვე აღარ აქვს ისეთი დიდი ღირებულება, როგორიც დაწყებით კლასებში ჰქონდა. თანდათან სუსტდება უფროსების – მშობლებისა და მასწავლებლების გავლენა. სამაგიეროდ, თანატოლთა გავლენა ძლიერდება. ბავშვი ხედავს, რომ თანაკლასელთა შორის სასურველი ადგილის დამკვიდრებაში კარგად სწავლა და უფროსებისგან ქების დამსახურება დიდად ვეღარ ეხმარება. ხშირად ისეთი მოსწავლეები ხდებიან ჯგუფის ლიდერები, რომლებსაც შეუძლიათ, უფრო მეტის უფლება მისცენ საკუთარ თავს, ვიდრე სხვა ბავშვებმა – შეეპასუხონ მასწავლებელს, პროტესტი გამოხატონ მისი გადაწყვეტილების მიმართ, „დაიცვან“ თანაკლასელი, რომელსაც მასწავლებელი მუდმივად საყვედურობს და, მისი აზრით, უსამართლოდ ეპყრობა, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ თანატოლებთან ურთიერთობა და მათ შორის ღირსეული ადგილის დამკვიდრება ბავშვისთვის გაცილებით მნიშვნელოვანი და ღირებულია, ვიდრე კარგად სწავლა. როგორც მეხუთეკლასელმა ნიკამ მითხრა, სწავლა კი არ არის მისთვის მთავარი, არამედ ურთიერთობა, განსაკუთრებით – თანატოლებთან. „თუ ჩემი თანაკლასელები პატივს არ მცემენ, ჩემს აზრს არაფრად ჩააგდებენ, ჩემთან მეგობრობის სურვილი არ ექნებათ და გამრიყავენ, სწავლაზე ვეღარ ვიფიქრებ“, – გამოგვიცხადა უფროსების შენიშვნებით და საყვედურებით შეწუხებულმა ბიჭუნამ.



> გავითვალისწინოთ ბავშვის ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპი სასკოლო ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან შეგუების პროცესში. ნელი და ნაკლებად კომუნიკაბელური ბავშვები ძნელად ეგუებიან გარემოს ცვლილებებს და სწრაფად კარგავენ ინტერესს მის მიმართ, როცა გრძნობენ, რომ უფროსებსა და თანატოლებს მათი არ ესმით.

მოსწრებაზე სოციალურ ფაქტორებთან ერთად არცთუ იშვიათად გავლენას ახდენს ინტელექტუალური ფუნქციების არასათანადო განვითარებაც. აზროვნების ის ფორმები, ხერხები და საშუალებები, რომლებიც დაწყებით კლასებში წარმატების საშუალებას აძლევდა ბავშვს, მეხუთე კლასში უკვე აღარ არის საკმარისი. იზრდება შესასწავლი საგნების რაოდენობა და, აქედან გამომდინარე, იმ ინფორმაციის მოცულობაც, რომელიც ბავშვმა მეხსიერებაში უნდა შეინახოს. თუ დამახსოვრების უნარმა თვისებრივი ცვლილება არ განიცადა, მოსწავლეს გაზრდილი დატვირთვისთვის თავის გართმევა გაუჭირდება. ასეთ დროს ზოგი ზუთხვას იწყებს, ზოგი კი თავს ანებებს სწავლას, რადგან ყველაფრის დამახსოვრებას ვერ ახერხებს. თუმცა შესაძლებელია, თვისებრივად გავზარდოთ დამახსოვრების ეფექტურობა, თუ მეხსიერება ფუნქციონირებისას მჭიდროდ დაუკავშირდება აზროვნებას. ამ შემთხვევაში დამახსოვრებას წინ უძღვის ანალიზი, რომლის პროცესშიც ხდება მიღებული ინფორმაციის სტრუქტურირება, სქემებით გამოხატვა, შედეგად კი მეხსიერების დატვირთვა მკვეთრად მცირდება. ამის წყალობით ბავშვს უწევს არა დიდი მოცულობის ტექსტების, არამედ გეგმის რამდენიმე პუნქტის ან ლოგიკური სქემის დამახსოვრება. გაანალიზებული, სტრუქტურირებული ინფორმაცია არ იკარგება, კარგად ინახება მეხსიერებაში და საჭიროების შემთხვევაში მისი გახსენება და გამოყენებაც ადვილია. თუ დაწყებით კლასებში ბავშვი მიწოდებული ინფორმაციის მხოლოდ დამახსოვრებაზეა ორიენტირებული, რადგან მისთვის ეს სავსებით საკმარისია სასწავლო პროცესში წარმატების მისაღწევად, მეხუთე კლასიდან ის შესაძლოა სერიოზულ პრობლემებს შეეჯახოს.

რეკომენდაციები მეოთხედან მეხუთე კლასში გადასვლისას მოსალოდნელი პრობლემების თავიდან ასაცილებლად:

- კარგი იქნება, თუ მეხუთეკლასელებთან შეხვედრისთვის მომზადებას ადრევე დავიწყებთ. ჯერ კიდევ მეოთხე კლასში სწავლის პერიოდში, სასწავლო წლის ბოლოს, ბავშვები უნდა გაეცნონ მომავალ კლასის ხელმძღვანელს. ეს მათ საგრძნობლად გაუადვილებს ადაპტაციას.
- სირთულეების თავიდან აცილების ძალიან კარგი საშუალებაა ბავშვის უპირობო მიღება, მიუხედავად იმ მარცხისა, რომელსაც უკვე შეეჯახა ან შეიძლება მომავალში შეეჯახოს.
- მოვერიდოთ ბავშვის კრიტიკას, საყვედურებს, განსაკუთრებით – სხვების, მეტადრე – თანაკლასელების, მეგობრების თანდასწრებით.
- გავითვალისწინოთ ბავშვის ტემპერამენტისა და ხასიათის ტიპი სასკოლო ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან შეგუების პროცესში. ნელი და ნაკლებად კომუნიკაბელური ბავშვები ძნელად ეგუებიან გარემოს ცვლილებებს და სწრაფად კარგავენ ინტერესს მის მიმართ, როცა გრძნობენ, რომ უფროსებსა და თანატოლებს მათი არ ესმით.
- ჯერ კიდევ დაწყებითი კლასებიდან ვიზრუნოთ ბავშვისთვის მაღალი დონის სააზროვნო უნარების განვითარებაზე. თუ ამ პერიოდში მოსწავლე მიწოდებული ინფორმაციის უბრალო დამახსოვრებაზეა ორიენტირებული და არ ცდილობს მოვლენებისა და ფაქტების გაანალიზებას, თუნდაც ასაკისთვის შესაფერის დონეზე, მეხუთე კლასიდან ის აუცილებლად შეეჯახება სირთულეებს სასწავლო პროცესში.
- მივცეთ ბავშვს დამოუკიდებლად მოქმედების საშუალება, ყოველ ნაბიჯს ნუ გავუკონტროლებთ.
- ხელი შევუწყოთ ბავშვისთვის დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარებას. მაშინაც კი, როცა ყველა ინტელექტუალური ოპერაცია ჩამოყალიბებულია, ბავშვის აზროვნება შესაძლოა არასრულფასოვანი დარჩეს, თუ მას არ შეუძლია ამ ოპერაციებით სარგებლობა, რადგან მზამზარეული ინსტრუქციებით მოქმედებს და დამოუკიდებლად აზროვნების საჭიროებას არ განიცდის.

დაბოლოს, ნუ დაგვავიწყდება, რომ პრობლემების თავიდან აცილება გაცილებით იოლია, ვიდრე მათი მოგვარება. მით უმეტეს, რომ კორექციული მუშაობა ყოველთვის არ იძლევა სასურველ შედეგს.

ნესტან ჩატიანი

გემოვნებაზე ყველაზე მეტს დავობენ?!

ახლახან ჩემი მეგობრის ფეისბუქის პოსტს კომენტარები მოჰყვა, რომლებშიც მისი ნაცნობები თავიანთი მასწავლებლების სახალისო ფრაზებს იხსენებდნენ. მეც, იცოცხლეთ, იმდენი რამ მქონდა გასახსენებელი... ჰოდა, ეს პოსტი დავაკომენტარე და ჩემი ენამოსწრებულობით განთქმული ბიოლოგიის მასწავლებლის „ფრთიანი" ფრაზა გავიხსენე: როდესაც დაფასთან გასულს გკითხავდა, გაკვეთილი რამდენჯერ წაიკითხეო და უპასუხებდი, ერთხელო, გაბრაზებული გეტყოდა, ერთხელ რა, საფლავის ქვის წარწერა ხომ არ არისო... ხშირად ვიკავებ თავს, რომ ბავშვობიდან ძვალ-რბილში გამჯდარი და ენის წვერზე მომდგარი ეს ფრაზა არ წამომცდეს ჩასაჭრელად განწირულ იმ სტუდენტებთან, რომლებიც მეუბნებიან, რომ სილაბუსში მითითებული ნაწარმოები ოდესღაც უკვე წაუკითხავთ და ხელმეორედ მის წაკითხვას აღარ აპირებენ. მაგრამ, რაკი ვიცი, რომ ხუმრობის კილოს ვერ გაიგებენ, თანაც ამ ფრთიან ფრაზას მე მომაწერენ, თავს ვიკავებ.

ეს, რა თქმა უნდა, ისევ ხუმრობით. სინამდვილეში კი მართლა მიკვირს იმ ადამიანებისა, რომლებსაც სურვილი აღარ უჩნდებათ, ბავშვობაში ან სიყმაწვილეში ერთხელ წაკითხულ წიგნს დაუბრუნდნენ. თუ არ მოეწონათ და ხედავენ, რომ სხვებს მოსწონთ, გადაამოწმონ საკუთარი თავი – ეგებ ადრე შეცდნენ. ან, თუკი ადრე მოსწონდათ და ახლა ამ წიგნზე არავინ ლაპარაკობს, რატომ მოხდა ასე, თავად შეცდნენ თუ საზოგადოება ცდება.

ზუსტად აღარ მახსოვს, ერთ-ერთ გადაცემაში რა კითხვა დაუსვა ჟურნალისტმა მუსიკოს ირმა გიგანს, არც მისი პასუხი მახსოვს სიტყვასიტყვით, იმასაც ვხვდები, რომ სხვაც შეიძლება ამგვარადვე ფიქრობდეს, მაგრამ საუბრის შინაარსი ასეთი იყო: რამდენად გამართლებულია, როცა საკმაოდ რთულ ნაწარმოებს ასრულებს მცირეწლოვანი პიანისტი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული საიმისოდ, რომ სრულყოფილად ჩასწვდეს მოცემული ნაწარმოების სიღრმეს. ერთი და იგივე ნაწარმოები ყველა ასაკში ახლებურად გესმის, მისი შესრულებისას ყოველ ჯერზე სიახლეს აღმოაჩენ და ამიტომაცაა გამართლებული მისი სხვადასხვა ასაკში შესრულება. იცვლები შემსრულებელი, რადგან ასაკთან ერთად გემატება გამოცდილება, იცვლება შენი მიდგომა, ხასიათი, იზრდები, სწავლობ და ახალ პერსპექტივას სთავაზობ მსმენელს. არაფერია ამაში დასაძრახიო, ამბობდა მუსიკოსი. მსმენელისთვის ის უნდა იყოს საინტერესო, რომელ ასაკში რას ჩასწვდა პიანისტი, პიანისტისთვის კი წარსულში ნასწავლ ნაწარმოებთან ყოველი ახალი შეხვედრა სიურპრიზებითა და მოულოდნელობებით სავსე უნდა იყოსო.

იუთუბზე უამრავ ჩანაწერს შეხვდებით, სადაც საბავშვო პიესებს საქვეყნოდ განთქმული პიანიტები ასრულებენ და ისეთ ჩანაწერებსაც, როცა პატარა შემსრულებლები, თითებით რომ ძლივს ფარავენ ოქტავას, ფეხებით რომ ძლივს სწვდებიან როიალის პედალს და ჯერ კიდევ წინ რომ აქვთ შემოქმედებითი ცხოვრება, ურთულეს, დიდებისთვის შექმნილ ნაწარმოებებს უკრავენ. ჰოდა, ასეთ შეკითხვას დავსვამ: რომელი ასაკობრივი კატეგორიისთვის დაწერა ანტუან დე სენტ-ეგზიუპერიმ

„პატარა უფლისწული“ ან, თუკი ასტრიდ ლინდგრენი ბავშვებისთვის წერდა, ამით რამე დააკლდა მის გენიას? ამ უკანასკნელისთვის ხომ ღიმილის მომგვრელი იყო და თავადაც ხომ ხვდებოდა (ჰანს ქრისტიან ანდერსენის საერთაშორისო ოქროს მედლის გადაცემისას წარმოთქმულ სიტყვაში), რომ მავანთათვის ის მხოლოდ „უმცროსების“ ავტორი იყო: „უფროსებისთვის თუ შეგიძლიათ წიგნის დაწერა? – მეკითხებიან ხოლმე. ასე მეკითხებიან, გულში კი ფიქრობენ: მაგან უკვე იმდენი საბავშვო წიგნი დაწერა, დროა, რაიმე უფრო ღირებულს მოჰკიდოს ხელიო. მე არ მინდა უფროსებისთვის წერა! მე მინდა ვწერო ისეთი მკითხველებისთვის, რომელთაც სასწაულების მოხდენა შეუძლიათ“.

უცნაურია, რომ ზოგიერთი ნაშრომი, რომლებსაც წლების წინ ვკითხულობდი და სულაც არ მომწონდა, დღეს ჩემი საყვარელი წიგნია; რომ იმ ფილმების სანახავად, რომლებსაც ოდესღაც სიამოვნებით ვუყურებდი, დღეს დროს არც კი გავიმეტებ; ზოგიერთ იმ ადამიანსაც კი, წარსულში რომ ახლო მეგობარი დავარქვი და ახლაც ინერციით ვმეგობრობ მათთან, ცოტა ადრე რომ გამეცნო, ვერაფრით დავუმეგობრდებოდი, ჩვენი ნაცნობობა შეხვედრისას კარგი გამარჯობით ამოიწურებოდა, და პირიქით – დღეს ვისაც მეგობრებს ვუწოდებ, ადრე რომ შემხვედროდნენ, შესაძლოა, ყურადღებაც არ მიმექცია მათთვის. ალბათ ასე იქნებით თქვენც. ცხადია, ასაკთან ერთად გემოვნებაც გვეცვლება. გონიერი ადამიანი, რაკი საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით მსჯელობს და დასკვნებიც ამის საფუძველზე გამოაქვს, ხვდება, რომ გემოვნებაზე არ უნდა იდავოს. თუმცა სწორედ გემოვნებაა ის, რის გამოც ყველაზე მეტს დავობენ, ჯერ – მშობლები და შვილები, მერე – მეგობრები, მერე კი – ყოფილი შვილები ახლა უკვე მშობლების ამპლუაში თავიანთ შვილებთან. თუმცა წიგნებთან მიმართებით ამ დავაში სიტყვა „გემოვნებას“ არც გამოვიყენებდი, რადგან, როცა წიგნების მოწონება-არმოწონებაზე მიდგება საქმე, ხშირად ჩვენი პასუხი მხოლოდ ემოციურ გამოცდილებას ეყრდნობა. მერე კი, როცა ახსნა მოგვიხდება, რატომ უნდა წაიკითხოს ვიღაცამ ჩვენი მოწონებული წიგნი, მიუხედავად იმისა, რომ ფრაზები: „ბევრს იტირებ“ ან „ბევრს იცინებ“ სასაცილოდ გაიჟღერებს, მაინც გასაგებია, რატომ ვურჩევთ ამა თუ იმ ადამიანს სწორედ ამ და არა სხვა წიგნს. რა თქმა უნდა, წიგნებს მარტო ასატირებლად და გასაცინებლად არ ვკითხულობთ, წიგნებს დასაფიქრებლადაც ვკითხულობთ, წიგნები საუკეთესო საშუალებაა, ჩვენი შეცდომებით კი არა, სხვისი შეცდომებით ვისწავლოთ, მაგრამ მათ ცხოვრება არ უნდა შეგვიცვალონ – არა სხვისი (წიგნის პერსონაჟის), არამედ საკუთარი ბედნიერება უნდა ვეძიოთ. აქ მახსენდება სტივენ ჩბოსკის პერსონაჟი წიგნიდან „მარტოსულობის უპირატესობანი“, რომელიც ძალიან ბევრს

> ჩემთვის წიგნი თავშესაფარი არ არის, ჩემთვის წიგნთან ყოველი დაბრუნება ახალი ალმოჩენებითაა ალსავსე.

> სამწუხაროდ, მაინც ისე ხდება, რომ გემოვნებაზე ყველაზე მეტს დავობენ, რადგან ადამიანებს, როგორც წესი, ავიწყდებათ, რომ თვითონაც გემოვნების „მსხვერპლნი“ არიან.

კითხულობს და მისი ლიტერატურის მასწავლებელს ეშინია, ეს ცხოვრებისგან გაქცევა არ იყოს, ლიტერატურას თავს არ აფარებდეს, იქ არ ემალებოდეს ცხოვრებისეულ სირთულეებს, ადამიანებთან ურთიერთობის ტკბილ-მწარე და რთულ მომენტებს. ამიტომაც ურჩევს თავის მოსწავლეს, უფრო აქტიურად ჩაერთოს ცხოვრებაში.

უნდა წაიკითხონ თუ არა მოზარდებმა უფროსებისთვის განკუთვნილი წიგნები? უნდა ვუთხრათ თუ არა მათ, – ანდა ჩვენ თუ არ ვეტყვით, სხვა მაინც ეტყვის თუ არა მათ, – ამ წიგნს ვერ გაიგებ და შენი ასაკისთვის შესაფერისი მოძებნეო? უნდა წაიკითხონ თუ არა უფროსებმა ბავშვებისთვის დაწერილი წიგნები? ხომ არ დასცინებენ მათ ზურგს უკან და გონებრივ უმწიფრობაში ხომ არ ჩაუთვლიან ასაკისთვის შეუფერებელი წიგნებით გატაცებას? მახსოვს, საშინლად მწყინდა, როცა არც მეექვსეკლასელს მიჯერებდნენ, რომ დოსტოევსკის ვკითხულობდი და ჩემი საყვარელი პერსონაჟი მიმკინი იყო და არც იმისი სჯეროდათ, რომ მეათეკლასელი, სკოლის დამამთავრებელი და მისაღები გამოცდებისთვის მომზადების ნაცვლად, ასტრიდ ლინდგრენს ვკითხულობდი, სიამოვნებას კი პეპისა და კარლსონის ენამოსწრებული პასუხები მანიჭებდა. როდესაც მეექვსე კლასში დოსტოევსკის ვკითხულობდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ შესანიშნავად მესმოდა. წლების შემდეგ, როდესაც ამ ავტორს მივუბრუნდი, მიკვირდა, რა სწორად ვსვამდი აქცენტებს, როგორ მესმოდა ის, რაც მესმოდა მცირე ასაკში, თუმცა იმასაც ვაცნობიერებდი, რომ ვერ დავინახე ბევრი რამ, რაც დასანახი იყო, და გული მწყდებოდა. იმიტომ, რომ ხომ შეიძლებოდა, მეთქვა, ეს წიგნი უკვე წაკითხული მაქვს და რაღა საჭიროა, მას კიდევ ერთხელ მივუბრუნდე, წასაკითხი ხომ ამდენი რამაა–მეთქი. როდესაც ასტრიდ ლინდგრენს უკვე მერამდენედ ვკითხულობდი, მე, მეათეკლასელს, მერჩივნა, გამოცდებზე ნერვიულობის ნაცვლად ბავშვების ლაღ და ხალისიან სამყაროში გადავსახლებულიყავი. ვიცი, დღესაც უკვირთ, როცა გაიგებენ, რომ ბერძნული ფილოსოფიისა და ანტიკური ლიტერატურის შედევრებთან ერთად დეტექტივების მოყვარულიც ვარ და მოზარდებისთვის განკუთვნილი ლიტერატურის ტრფიალიც, ასტრიდ ლინდგრენსაც და სხვა საბავშვო ავტორებსაც დღესაც ისეთივე დიდი სიამოვნებით ვუბრუნდები, როგორითაც იმ წიგნებს, ჩემი მაგიდის ორგანულ ნაწილად რომ ქცეულან. ჩემთვის წიგნი თავშესაფარი არ არის, ჩემთვის წიგნთან ყოველი დაბრუნება ახალი აღმოჩენებითაა აღსავსე.

როგორც წესი, წიგნებს ასაკობრივ კატეგორიებად ყოფენ. რა თქმა უნდა, ეს დაყოფა ჩვეულებრივი ამბავია, რადგან სულაც არ არის აუცილებელი, სკოლამდელი ასაკის ბავშვმა ყოფიერების აუტანელ სიმსუბუქეზე იფიქროს ან თავი იმტვრიოს იმაზე, რატომ უნდა მომდინარეობდეს ბოროტი მშვენიერი სამყაროს შემოქმედი ღმერთისგან, ან რატომ უნდა იტანჯებოდნენ უდანაშაულო ბავშვები, თუ უფალი სათნო და კეთილია. მაგრამ ბავშვმა რომც წაიკითხოს ამ იდეების შემცველი ნაწარმოებები (მილან კუნდერა, დოსტოევსკი), ის სხვა აქცენტებს დასვამს. განა მცდარს – უბრალოდ, სხვას. მერე კი, წლების შემდეგ, როცა იმავე ნაწარმოებს დაუბრუნდება, მას სხვანაირად გადაიაზრებს. ეს ნორმალური პროცესია. ჰოდა, ამ ყველაფერს, როდესაც დღეს ერთი მოგვწონს, ხვალ კი მეორე, ჩემი მოკრძალებული აზრით, ჩვენი გემოვნების ცვალებადობა განაპირობებს. ჩვენი გემოვნების ცვლილება კი უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული. მათ შორისაა წარმოსახვაც, ლოგიკური უნარებიც, გონებრივი სიმწიფეც და სხვა ფაქტორებიც, რომელთაც აქ არ ჩამოვთვლი. ამიტომაც არც ერთი ადამიანი გემოვნებაზე არ იდავებს, რადგან იცის, რომ გემოვნება ცვალებად კატეგორიათა რიცხვს მიეკუთვნება; მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც ისე ხდება, რომ გემოვნებაზე ყველაზე მეტს დავობენ, რადგან ადამიანებს, როგორც წესი, ავიწყდებათ, რომ თვითონაც გემოვნების „მსხვერპლნი“ არიან.

ჰოდა, ამიტომაც, სანამ მოზარდს ვუსაყვედურებთ, რომ ის წიგნი აიღო, რომელსაც ვერ გაიგებს, ირონიულად ჩავიცინებთ იმის გამო, რომ ვერ ჩასწვდება ავტორის სიღრმეს, ვერ გაისიგრძეგანებს წიგნის სიდიადეს ან ზრდასრულს დავცინებთ საბავშვო წიგნის კითხვის გამო, გავიხსენოთ, რომ წიგნის კითხვა ყოველთვის სასარგებლოა. მოვუწონოთ პირველ კატეგორიას საქციელი, რადგან ამით მხოლოდ ლექსიკურ მარაგს კი არ გაიმდიდრებენ, არამედ წარმოსახვასაც განივითარებენ. თუმცა ერთი რჩევა კი მივცეთ: როცა გაიზრდებიან, არ დაიზარონ და კიდევ ერთხელ მიუბრუნდნენ წაკითხულს, თუნდაც იმისთვის, რომ წლების შემდეგ თავიანთი თავი გადაამოწმონ; მეორე კატეგორიას კი მივცეთ საშუალება, კიდევ ერთხელ შეიგრძნონ ბავშვობის სილაღე და ამგვარად მაინც გაიხალისონ და გაიფერადონ ცხოვრება.

ირმა კახურაშვილი

როცა მასწავლებლის გეშინია

> მასწავლებელთან უშედეგო მოლაპარაკების შემთხვევაში მშობელს შეუძლია, სკოლის ფსიქოლოგს ან დირექტორს შეხვდეს და ამ გზით გამოასწოროს სიტუაცია. სასურველია, შეხვედრაში ჩართოს ადამიანები, რომლებიც მის შვილს პატარაობიდანვე იცნობენ, მაგალითად, ბალის მასწავლებელი, ბებია, ძიძა.

უმცროსკლასელთა მიერ სკოლაში სიარულზე უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზი მასწავლებლის შიშია, მასწავლებელთან დაკარგული კონტაქტი. მსგავს პრობლემას ხშირად ეჯახებიან მგრძნობიარე და ნაკლებად თავდაჯერებული ბავშვები. როგორ უნდა იქცეს მშობელი შვილის დამცველად და ესაუბროს მასწავლებელსა თუ სკოლის დირექტორს ისე, რომ მათი გაღიზიანება არ გამოიწვიოს?

„ძალიან დავიღალე. მასწავლებელი თითქმის ყოველდღე უჩივის თაკოს. ბავშვსაც აღარ უნდა სკოლაში სიარული. ხან რას მოიმიზეზებს, ხან - რას. ერთხელ ლოგინიდან არ ადგა. გვეგონა, გრიპი ჰქონდა, ახლა კი ვეჭვობ, რომ, უბრალოდ, ისე შეეშინდა მასწავლებლის, სიცხემაც კი აუწია...

ერთი შვილი გვყავს, სათუთად ვზრდით და საკმარისია, ვინმემ ხმას აუმაღლოს, რომ პანიკაში ვარდება, ჰგონია, უბრალოდ-ბიან. ამ თემაზე მასწავლებელს არაერთხელ ვესაუბრე, მაგრამ მას ეგონა, შვილის გამართლებას ვცდილობდი. არ მისმენდა, მხოლოდ მეწინააღმდეგებოდა, დარწმუნებული იყო თავისი პედაგოგიური მიდგომების სისწორეში. ათასი არგუმენტი მოჰყავდა, თითქოს ყველაფერში ბავშვი იყო დამნაშავე.

დირექტორს რომ მივმართეთ, ასე გვიპასუხა: ბავშვი გაიზრდება, სხვადასხვა ტიპის ადამიანებთან მოუწევს ურთიერთობა, ამიტომ სკოლაშივე უნდა ისწავლოს პრობლემების მოგვარებაო. რასაკვირველია, დავეთანხმე, მაგრამ ამით არაფერი შეცვლილა. ბავშვს მასწავლებლის ეშინია, მე კი არ მინდა, სწავლაზე გული აუცრუვდეს“, – ამბობს თაკოს დედა.

თაკო მართლაც დამფრთხალი ბავშვის შთაბეჭდილებას ტოვებს. ის საცოდავადაა მოხრილი მხრებში. როცა ლაპარაკობს, იატაკს ჩასქცერის და ხმა უთრთის. მშობელი წუხს. არ იცის, როგორ დაიცვას შვილი ისე, რომ გული არავის ატკინოს – არც ბავშვს, არც მასწავლებელს.

ამ შემთხვევაში ფსიქოლოგები მშობლებს ბავშვის ადვოკატირე-

ბას ურჩევენ. ეს ძნელია, ძალისხმევას, მოთმინებას და ენერგიას მოითხოვს, მაგრამ ამ პრობლემას მშობელზე უკეთ ვერავინ მოაგვარებს. მხოლოდ მშობელს შეუძლია სიტუაციის უკეთესობისკენ შეცვლა. ის შვილთან ერთად განიცდის მორალურ სიმძიმეს, ყველაზე უკეთ იცის, რა მდგომარეობაშია ბავშვი.

ასეთ დროს მშობლები, როგორც წესი, თავდაცვით პოზიციას ირჩევენ, რაც არცთუ მისაღებია. ფსიქოლოგები ურჩევენ მათ, გაითვალისწინონ მასწავლებლის ცხოვრების წესი, მისი დატვირთული გრაფიკი. გაიხსენონ, რომ მასწავლებელიც ადამიანია, რომელიც მათსავით განიცდის სტრესს სამსახურში თუ შინ, პასუხისმგებლობა აკისრია ბავშვების დიდ ჯგუფზე, ყოველდღიურად უწევს მძიმე სამუშაოს შესრულება. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მშობელმა უნდა შეარჩიოს მასწავლებელთან ურთიერთობის, მასთან ნაყოფიერი დიალოგის სწორი გზა. მასწავლებელზე იერიშის მიტანა აუცილებელი როდია – ამაზე მეტად მშობელს საკომუნიკაციო უნარების გამომუშავება სჭირდება.

მივყვეთ ნაბიჯ-ნაბიჯ ფსიქოლოგების რჩევებს:

- უპირველეს ყოვლისა, მშობელი მასწავლებელს პირადად უნდა შეხვდეს. ტელეფონით და ელექტრონული ფოსტით კომუნიკაცია უეფექტოა.
- იმისთვის, რომ მასწავლებელმა მოუსმინოს, მშობელი ხაზგასმით უნდა დაეთანხმოს მის რომელიმე სამართლიან არგუმენტს. მაგალითად, თუ მასწავლებელი ამბობს, რომ თაკო ზედმეტად ემოციურია, მშობელმა უნდა დაუდასტუროს – შინაც ასეთიაო. როგორც კი მასწავლებელი და მშობელი შეხების წერტილს იპოვიან, ურთიერთობა გაუადვილდებათ.

მშობელს მართებს, ყურადღებით მოუსმინოს მასწავლებელს და დროებით დაივიწყოს თავისი ინტერესები. თუ რამეს ვერ გაიგებს, ჩაეკითხოს. ყურადღება მიაქციოს საკუთარ ინტონაციას. მასწავლებელმა უნდა იგრძნოს, რომ მშობელი მას დაკითხვას კი არ უწყობს, არამედ ცდილობს გაუგოს. ვთქვათ, თუ მასწავლებელი ამბობს, რომ ბავშვი თავს ვერ ართმევს დავალებებს, მშობელმა უნდა ჰკითხოს, ხომ არ შეუძლია თვალსაჩინოებისთვის ბოლოდროინდელი მაგალითების მოყვანა.

მშობელმა უნდა მიაგნოს პრობლემის სათავეს – თუ ბავშვი ცუდად იქცევა, რა არის ამის ნამდვილი მიზეზი, თუ იტყუება, რა უბიძგებს ტყუილისკენ. გარდა ამისა, შეუძლებელია, ბავშვს უმიზეზოდ ეშინოდეს მასწავლებლის. ჰკითხეთ მასწავლებელს, თვითონ რას ფიქრობს ამის თაობაზე, რა მიზეზს დაასახელებდა, რას ამჩნევს ბავშვს.

> მშობელს შეუძლია, მასწავლებელს გაუზიაროს მეთოდი, რომელსაც თავად შედეგიანად იყენებს.

თუ ისე მოხდა, რომ ვერაფრით გაარკვიეთ, რას განიცდის ბავშვი და რა უფუჭებს განწყობას სკოლის მიმართ, გააანალიზეთ მისი ტემპერამენტი. იქნებ მხოლოდ იმიტომ ტირის, რომ სკოლის თავგადასავლების მონელება არ შეუძლია? იქნებ ინტროვერტია და პირადი სივრცე სჭირდება? იქნებ მასწავლებლისა იმიტომ არ ესმის, რომ ზემგრძნობიარეა? იქნებ დავალებებს ნელა იმიტომ ასრულებს, რომ ბევრ ყურადღებას უთმობს დეტალებს და მერეღა ხვდება, საიდან უნდა დაეწყო? ამ ყველაფრის დადგენა მხოლოდ მასწავლებელთან გასაუბრებით ვერ მოხერხდება – აუცილებელია ბავშვის ჩართვაც. ჰკითხეთ, რას გრძნობს ამა თუ იმ სიტუაციაში. მისი პასუხი შესაძლოა მოულოდნელიც კი აღმოჩნდეს.

მასწავლებელთან საუბრის დროს მშობელს არ უნდა ჰქონდეს იმედი, რომ პედაგოგი კარგად ერკვევა ბავშვის ტემპერამენტის საკითხებში –შესაძლოა, მას აზრადაც არ მოსდიოდეს, რომ ბავშვის განსხვავებულობის მიზეზი სწორედ მისი ტემპერამენტია.

მასწავლებლისადმი სწორი მიდგომა, მისი მოსმენა, გაგება იმის საწინდარია, რომ მასწავლებელიც მოუსმენს მშობელს, ისიც ეცდება, გაარკვიოს, რა ხდება ბავშვის თავს.

მასწავლებლის პრიორიტეტების გარკვევის შემდეგ მშობელმა ყურადღება თავისთვის მტკივნეულ თემაზე უნდა გადაიტანოს, თავის ინტერესებზე კონცენტრირდეს და არა პოზიციაზე. მაგალითად: „მინდა, თაკო სკოლაში თავს კომფორტულად გრძნობდეს“. მან თავი უნდა არიდოს რადიკალურ განცხადებებს, მაგალითად, ასეთს: „შვილი სასწრაფოდ უნდა გადავიყვანო სხვა კლასში!“ ბარიკადების აგება მშობელს არაფერში არგებს – ის ხომ მასწავლებელთან ერთად გონივრულ გადაწყვეტილებამდე უნდა მივიდეს. მას შეუძლია, მასწავლებელს გაკვეთილზე დასწრება სთხოვოს, რათა საკუთარი თვალით დაინახოს, რა აშინებს მის შვილს.

მშობელს ასევე შეუძლია, მასწავლებელს გაუზიაროს მეთოდი, რომელსაც თავად შედეგიანად იყენებს.

მშობელს უნდა ახსოვდეს, რომ მასწავლებელსაც აქვს ტემპერამენტი – შესაძლოა, ნეგატიური პირველადი რეაქცია გამოამჟღავნოს, ნელა ადაპტირდებოდეს ან ჯიუტობდეს. ნუ იძალადებთ მასწავლებელზე. გაუზიარეთ თქვენი იდეები. თუ პირველმა შეხვედრამ დაძაბულად ჩაიარა, ხელს ნუ ჩაიქნევთ და მეორედაც აუცილებლად შეხვდით. იმავდროულად, მშობელმა საკუთარი ტემპერამენტის თავისებურებებიც უნდა გაითვალისწინოს. თუ იცის, რომ ჰიპერემოციურია და მასწავლებელთან საუბრის დროს წონასწორობის შენარჩუნება, შეიძლება გაუჭირდეს, შეხვედრაზე მშვიდად მოსაუბრე ახლობელი გაიყოლოს, რომელიც საჭირო მომენტში დროულად განმუხტავს სიტუაციას.

მასწავლებელთან უშედეგო მოლაპარაკების შემთხვევაში მშობელს შეუძლია, სკოლის ფსიქოლოგს ან დირექტორს შეხვდეს და ამ გზით გამოასწოროს სიტუაცია. სასურველია, შეხვედრაში ჩართოს ადამიანები, რომლებიც მის შვილს პატარაობიდანვე იცნობენ, მაგალითად, ბაღის მასწავლებელი, ბებია, ძიძა.

თაკოს დედა ჰყვება: „ერთხელ შვილის ცურვის გაკვეთილს ვესწრებოდი. ვუყურებდი, როგორ ნავარდობდნენ ბავშვები აუზში და უცბად მივხვდი: ჩვენ ხომ მათ პირდაპირ ღრმა წყალში არ ვუშვებთ – ისინი ჯერ წელამდე წყალში სწავლობენ ცურვას, სადაც არ ეშიანიათ და იმედიანად არიან... სკოლის დირექტორს რომ შევხვდი, ამის შესახებ მოვუყევი. ისიც დამეთანხმა. დიახ, – ვუთხარი, – ბავშვმა უნდა შეძლოს სხვადასხვა ტიპის ადამიანებთან ურთიერთობა, მაგრამ ეს თანდათანობით უნდა მოხდეს, ბავშვს არ უნდა ეშინოდეს, რომ მასწავლებელი და სკოლა მას ღრმა წყალივით დაახრჩობენ.

დირექტორმა ყურადღებით მომისმინა, მერე მასწავლებელი გამოიძახა და გაესაუბრა. თაკო სხვა კლასში გადავიყვანეთ, მაგრამ არა იმიტომ, რომ მისი მასწავლებელი ცუდი პედაგოგი იყო, არამედ იმიტომ, რომ თაკო სხვა მასწავლებელთან უფრო კომფორტულად იგრძნობდა თავს. ძველი მასწავლებელი ამ ამბავს მშვიდად შეხვდა.... თაკო არ არის რთული ბავშვი და სავსებით იმსახურებს ისეთ მიდგომას, რომლის შედეგადაც სკოლაში ცოდნას და პოზიტიურ ემოციებს მიიღებს“.

ნინო ღომიძე

შემაჯამებელი სამუშაოს ფორმა და ანალიზი

> რეცეფციული ენის დარღვევების დროს პრობლემები, როგორც წესი, თავს იჩენს 3 წლამდე. თუ მშობელმა შეამჩნია, რომ ბავშვს განვითარების ადრეულ ეტაპზე აქვს ენის დარღვევების ქვემოთ ჩამოთვლილი ნიშნები, უნდა ივარაუდოს, რომ ეს, სულ მცირე, რეცეფციული ენის დარღვევაა და დროულად მიმართოს ბავშვთა ფსიქიატრს და მეტყველების თერაპევტს,

განსაზღვრული სასწავლო მონაკვეთის შესწავლა-დამუშავების შემდეგ სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს მოეთხოვებათ შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარება. შემაჯამებელი სამუშაო ორივე მხარეს, მასწავლებელსაც და მოსწავლესაც, უქმნის წარმოდგენას იმის თაობაზე, რამდენადაა დაძლეული სასწავლო ერთეული, რამდენად წარმოჩნდა სტანდარტით განსაზღვრული ცოდნა და/ან უნარ-ჩვევები სასწავლო წლის კონკრეტულ ეტაპზე.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში შემაჯამებელი დავალებები უნდა ამოწმებდეს საგნის სტანდარტით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. შესაბამისად, შემაჯამებელი სამუშაო შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერი ფორმით, ზეპირმეტყველება იქნება ეს, წერა თუ კითხვა.

გავრცელებულია მცდარი თვალსაზრისი, რომ შემაჯამებელი დავალების ერთადერთი ლეგიტიმური ფორმა წერითი ტესტური დავალებებია. ალბათ, იმიტომ, რომ მასწავლებელს ხშირად სთხოვენ, შემაჯამებელი სამუშაოს წერილობით ანალიზს თან დაურთოს სამი გასწორებული ნიმუში ან იმიტომ, რომ ეს ყველაზე მარტივი გამოსავალია რუტინული მოთხოვნის ფორმალურად დასაკმაყოფილებლად.

როგორ მოვიქცეთ, რომ შემაჯამებელი სამუშაო ერთსა და იმავე დროს ეფექტურიც გავხადოთ და ეფექტიანიც? პასუხი მარტივია – უნდა გამოვიყენოთ მრავალფეროვანი ფორმები, რადგან დასმულ შინაარსობრივ ან ფაქტობრივ კითხვაზე 4 სავარაუდო პასუხიდან ერთ-ერთის მონიშვნა ნამდვილად ფორმალური, არაფრისმომცემი და რუტინული საქმეა.

ქართულ ენასა და ლიტერატურაში შესაძლებელია შემდეგი ტიპის შემაჯამებელი დავალებების გამოყენება:

- მხატვრული/არამხატვრული ტექსტის გაგება-გააზრება;
- სტანდარტით განსაზღვრული სხვადასხვა სახის ტექსტის შედგენა;
- არგუმენტირებული მსჯელობა კონკრეტული საკითხის/თემის შესახებ;
- ზეპირი მოხსენების წარდგენა;
- ესეს დაწერა;
- პრობლემური საკითხის წარმოდგენა იმიტირებული სიტუაციის (მინისპექტაკლის, როლური თამაშის და სხვ.) საშუალებით;
- გამომეტყველებითი კითხვა (ინდივიდუალური ან გუნდური);
- ლიტერატურული სალონი;
- ზეპირი გამოსვლის აუდიო– ან აუდიოვიზუალური ჩანაწერის მოსმენა და შეფასება;
- სხვა.

როგორც ვხედავთ, მასწავლებელს შეუძლია, კლასში ჩატარებულ დისკუსიას, მსჯელობას და მინისპექტაკლსაც კი მისცეს შემაჯამებელი სამუშაოს ფორმა.

ამ შემთხვევაში მასწავლებლებს უჩნდებათ კითხვა – როგორ მოვახდინოთ ჩატარებული შემაჯამებლის დოკუმენტირება?

თავდაპირველად გავეცნოთ სავალდებულო მოთხოვნებს, რომლებიც საერთოა ნებისმიერი ფორმით ჩატარებული შემაჯამებელი სამუშაოსთვის.

მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შემაჯამებელი სამუშაო:

დავალების თითოეულ ტიპს უნდა ახლდეს შეფასების ზოგადი რუბრიკა.

ზოგადი რუბრიკა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული დავალების,

> ქართულ ენასა და ლიტერატურაში შემაჯამებელი დავალებები უნდა ამოწმებდეს საგნის სტანდარტით განსაზღვრულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. შესაბამისად, შემაჯამებელი სამუშაო შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერი ფორმით, ზეპირმეტყველება იქნება ეს, წერა თუ კითხვა.

> შემაჯამებლის ანალიზის წერისას მასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ხელთ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის დოკუმენტი, სადაც კლასების მიხედვითაა გაწერილი სტანდარტი – წლის ბოლოს რა შედეგებს უნდა მიაღწიოს მოსწავლემ.

პირობისა და განვლილი მასალის გათვალისწინებით.

10 ქულა უნდა განაწილდეს რუბრიკაში შემავალ კრიტერიუმებზე.

მითითებული უნდა იყოს სტანდარტის ის შედეგები, რომელთა შემოწმებასაც ემსახურება შემაჯამებელი დავალება.

შემაჯამებლის ანალიზი – დოკუმენტირება

შემაჯამებლის ანალიზის წერისას მასწავლებელს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ხელთ ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი პროგრამის დოკუმენტი, სადაც კლასების მიხედვითაა გაწერილი სტანდარტი – წლის ბოლოს რა შედეგებს უნდა მიაღწიოს მოსწავლემ.

იმის მიხედვით, რა ფორმა შეარჩია მასწავლებელმა, შემაჯამებლის წერილობით გაანალიზებისას ის მიუთითებს მიმართულებას და დაურთავს შესაბამის აღნიშვნას. მაგალითად, თუ მასწავლებელმა საშუალო საფეხურზე შეარჩია შემაჯამებლის ფორმა – ზეპირი მოხსენების წარდგენა – სტანდარტის თანახმად, ეს შეესაბამება შემდეგ გრაფებს: **ზეპირმეტყველება**: **ქართ. IX. 1**. მოსწავლეს შეუძლია მოისმინოს და აუდიტორიის წინაშე წარმოადგინოს სხვადასხვა თვალსაზრისი სადავო ან პრობლემურ საკითხზე / **ქართ. IX. 5**. მოსწავლეს შეუძლია დისკუსიისა და კამათის სტრატეგიების გამოყენება.

შეფასების რუბრიკის შედგენისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სამსჯელო საკითხი, კლასში ჩატარებული სამუშაოები, კონკრეტული კლასის საჭიროებები. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი შეფასების რუბრიკას შეათანხმებს კლასთანაც. ნებისმიერ შემთხვევაში, მოსწავლეებისთვის შეფასების კრიტერიუმების წინასწარ გაცნობა საჭიროა.

სანიმუშოდ, გთავაზობთ ასეთ რუბრიკას:

- **მსჯელობის ორგანიზება** (2 ქ.);
- **არგუმენტაცია ტექსტობრივი მასალის გამოყენებით** (2 ქ.);
- **დამოუკიდებელი აზროვნება – აზროვნების არაშაბლონურობა და ორიგინალურობა** (2ქ.);
- **ადეკვატური სტილისა და ლექსიკის შერჩევა** (2 ქ.);
- **ენობრივი გამართულობა** (2 ქ.).

რაც შეეხება დოკუმენტურ მასალას, რომელმაც უნდა დაადასტუროს ჩატარებული შემაჯამებელი:

ეროვნულ სასწავლო გეგმაში მეოთხე თავი მოსწავლის შეფასების სისტემას ეძღვნება. მეთვრამეტე მუხლში აღნიშნულია:

თითოეული მასწავლებელი ვალდებულია, შეაგროვოს და შეინახოს მის მიერ კლასში ჩატარებული შემაჯამებელი სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია... მოსწავლეების მიერ შესრულებული და მასწავლებლის მიერ შეფასებული სამუშაოს რამდენიმე ნიმუში ან შესრულებული სამუშაოს ამსახველი ვიზუალური მასალა.

ტესტური დავალებების შემთხვევაში ეს, როგორც უკვე ითქვა, შესრულებული წერითი დავალებების გასწორებული ნიმუშებია.

სხვა ტიპის შემაჯამებელი სამუშაოს ჩატარების შემთხვევაში მასწავლებელს შეუძლია წარადგინოს ფოტო- ან ვიდეოჩანაწერი, რაც დღესდღეობით დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

სხვა საკითხია, რამდენად მიზანშეწონილია შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზი იმ ფორმით, რა ფორმითაც დღეს მოეთხოვებათ მასწავლებლებს; რამდენად ამართლებს ეს საკმაოდ შრომატევადი სამუშაო მასზე დახარჯულ დროსა და ენერგიას.

საინტერესო იქნებოდა ამის თაობაზე კოლეგების გამოხმაურება.

მარიამ გოდუაძე

ინკლუზიის ინსტრუმენტები – მულტიმოდალური სწავლება

ყოველდღიურ ცხოვრებაში ხშირად ვერც კი ვაანალიზებთ, რომ ერთი უბრალო მიზნის მისაღწევად რამდენიმე მოქმედების შესრულება გვიწევს. მაგალითად, საუზმის მოსამზადებლად უნდა ავიღოთ ჩაიდანი, ავადუღოთ წყალი, გამოვაღოთ კარადა, გამოვიღოთ ყავა ან ჩაი, გავხუხოთ პური, გადავუსვათ კარაქი ან დავადოთ ყველი, რომელიც უნდა მოვჭრათ... ამ ყველაფრისთვის ვიყენებთ თვალებს, ხელებს, კუნთებს, ტვინს, ყურებს და მათ არხებში მდებარე უხილავ რეცეპტორებსაც კი. მოკლედ, იმდენ ორგანოს ვააქტიურებთ, რომ გააზრებამ შესაძლოა ნოყიერად საუზმობაც კი გადაგვაფიქრებინოს და ერთ ჭიქა წვენს ან სულაც წყალს დაგვაჯეროს, მაგრამ ვერც ამ შემთხვევაში გავექცევით მრავალგვარ მოქმედებას და მულტისენსორულ აქტივობას.

ფსიქოთერაპევტები დიდი ხანია შეთანხმდნენ, რომ ადამიანები ფიქრს, გრძნობას, მოქმედებას, შეგრძნებას, სმენას, წარმოსახვას, ურთიერთობას სხვადასხვა სენსორული არხის დახმარებით ახერხებენ. ამ მიზეზით თითოეული ეს მოდალობა უნდა ჩართულიყო ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციაში, რამდენადაც მულტიმოდალური შეფასება და თერაპია ეფუძნება ქცევის, აფექტის, შეგრძნების, წარმოსახვის, კოგნიციის, ინტერპერსონალური ურთიერთობებისა და ნივთიერებების (ბიოლოგიურ) ფაქტორებს.

ამ პოსტულატებზე დაყრდნობით მულტიმოდალური მიდგომა მოგვიანებით განათლების სფეროში აღმოცენდა იმ შეხედულებებისგან, რომ სწავლის პროცესი ჩვენი სხვადასხვა შეგრძნების, განსაკუთრებით კი მხედველობის, სმენის, ტაქტილური აღქმის ერთობლიობაა. ამდენად, მივიღეთ თანამედროვე განსაზღვრება, რომ **მულტიმოდალური სწავლება** – ეს არის სწავლების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მრავალფეროვანი სტრატეგიის/მასალის გამოყენებას და მოიცავს მგრძნობელობის ყველა არხს, რომლებიც ადამიანის რვავე შეგრძნების გააქტიურებას უწყობს ხელს.

ჩვენთვის, ადამიანებისთვის, გარემოდან მიღებული ინფორმაციის გადამუშავების უპირატესი გზა არაერთგვაროვანია. ზოგი უკეთ აღიქვამს და იმახსოვრებს **მოსმენილ** ინფორმაციას, ზოგიც – **დანახულს** და ა.შ. ზოგი მოსწავლე უკეთ გაიგებს მოთხრობას, თუ დაუხატავენ ან ფოტოებს აჩვენებენ; ზოგიერთი ამ მოთხრობის მოსმენას ამჯობინებს, დანარჩენებს კი ურჩევნიათ, ფიზიკურადაც ჩაერთონ პროცესში: გაითამაშონ სცენები, დადგან სპექტაკლი, შექმნან კომიქსი და ამ გზით გაიგონ შინაარსი.

დასწავლის უნარის დაქვეითების მქონე ბავშვებთან მულტიმოდალური მიდგომა გამოიყენება, როდესაც ერთი რომელიმე სენსორული მოდალობა დანარჩენებზე სუსტად არის განვითარებული. უფრო სუსტი მოდალობების საკომპენსაციოდ ხდება უფრო ძლიერი მოდალობების გამოყენება. ნეიროფსიქოლოგების თქმით, კითხვის პროცესი შეიძლება განხორციელდეს ოთხი ძირითადი შეგრძნების ჩართვით. ესენია: ვიზუალური (კითხვა), ტაქტილური (ბრაილის შრიფტი), აუდიო (დისკებზე ჩაწერილი წიგნები) და მულტისენსორული (ყველა შეგრძნების გაერთიანებით). მულტიმოდალურ ინტერაქციაში ჩართულია მხედველობის,

> ფსიქოთერაპევტები დიდი ხანია შეთანხმდნენ, რომ ადამიანები ფიქრს, გრძნობას, მოქმედებას, შეგრძნებას, სმენას, წარმოსახვას, უნთიერთობას სხვადასხვა სენსორული არხის დახმარებით ახერხებენ.

სმენისა და დაბეჭდილი სიტყვების ტაქტილურად აღქმის აქტივობები. ამ დროს წიგნის მხედველობით წაკითხვას შეიძლება თან ახლდეს იმავდროულად დისკზე ჩაწერილი ტექსტის მოსმენა, სიტყვების ჰაერში წერა, დაფაზე ასოების პლასტილინით გამოძერწვა. ასევე საწერად იყენებენ ქაფს, ქვიშას, ბრინჯს და ა. შ.

როდესაც **კლასში ბევრი მოსწავლეა, მასწავლებელი ინფორმაციის მიწოდებისთვის იყენებს ეკლექტურ მიდგომას, რომელიც ერთდროულად მრავალ მეთოდს აერთიანებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ კომბინირებას მოიაზრებს.** მაგალითად, ახალი მასალის ახსნისას შეიძლება გავაგოროთ კამათელი და ჰორიზონტალურად დაცემულ ქვებზე დატანილი რიცხობრივი მოცემულობით შევადგინოთ რამდენიმე მაგალითი, განტოლება ან ამოცანა. ამ შემთხვევაში ბავშვები

- აღმოაჩენენ,
- უცქერენ,
- აკვირდებიან,
- იმახსოვრებენ მასწავლებლის ქცევას.

შემდეგ თავად აკეთებენ იმავეს, ანუ:

- ეხებიან,
- უცქერენ,
- მოძრაობენ,
- უსმენენ კამათლის ხმას,
- ამოიცნობენ მათზე დატანილი წერტილების რაოდენობას,
- იწერენ ციფრებით,
- ადგენენ მოქმედებას – პროდუქტიულად აზროვნებენ.

ამავე მიზნით მასწავლებელს კლასში შემოაქვს დომინო, რომელიც ასევე ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა მულტისენსორული ინტერაქციისთვის. ამ დროს სასწავლო-შემოქმედებით პროცესში ჩართულია მხედველობის (ბავშვი უცქერის ქვებს, რომელთა ოპოზიციური შეფერილობა ყურადღების კონცენტრირებას აადვილებს), სმენის (უსმენს ქვებს), ტაქტილური (ეხება ქვებს), ვესტიბულარული (ზოგი ცალ ფეხზე დგას), პროპრიოცეპტული (ზოგი მოხრილია და მაგიდას ეყრდნობა, ზოგი ცალ ფეხზე დგას), ინტეროცეპტული (მოსწავლე მფლობელია) შეგრძნებები,

ამიტომ მოსწავლე კმაყოფილი, ბედნიერი და მოტივირებულია.

მასწავლებელი იყენებს ახსნის ყველა შესაძლო გზას. ისინი მოიცავს მხედველობის, სმენის, კანის, ვესტიბულარული და სხვა შეგრძნებების სისტემებს. მაგალითად, მასწავლებელი:

- ჰყვება ტექსტს. მოსწავლეები უსმენენ.
- აჩვენებს სურათებს, ხატავს კომიქსებს. მოსწავლეები ათვალიერებენ, კითხულობენ.
- მოსწავლეებთან ერთად დგამს მინისპექტაკლებს, როლურ თამაშებს, ძერწავს პერსონაჟებს – მოსწავლეები ამაში აქტიურად არიან ჩართულნი ფიზიკური მოძრაობებით, იღებენ ინფორმაციას შეხებით.

მულტიმოდალური სწავლების შესახებ ერთ-ერთ მეთოდურ წერილში ვკითხულობთ: „კლასში ზოგ ბავშვს ბანანი უყვარს, ზოგს – შოკოლადი, დანარჩენებს კი – წვენი. მასწავლებელმა, ნაცვლად იმისა, რომ გაერკვია, ვის ბანანი უყვარს, ვის – შოკოლადი და ვის – წვენი, კლასში სამივე შეიტანა. ამით დრო მოიგო და თითოეული ბავშვის სურვილიც დააკმაყოფილა“. მისასალმებელია, როცა პედაგოგი აღსაზრდელებზე ასე ზრუნავს, მაგრამ იმავდროულად უნდა იცოდეს, რომელია ინფორმაციის გადამუშავების უპირატესი გზა ამა თუ იმ ბავშვისთვის. ეს ცოდნა გამოგვადგება მოსწავლესთან პირადი კომუნიკაციის დროს და მოსწავლის მშობლისთვის რეკომენდაციების მიცემისას ძლიერ მხარეებზე დაყრდნობით სუსტი მხარეების განვითარების შესახებ.

სპეციალისტები გვირჩევენ, სმენის დაქვეითების მქონე ბავშვების სწავლებისას გამოვიყენოთ:

- **სიტყვების გრაფიკული გამოსახულება** *(დაწერილი სიტყვები – „ვაშლი“ და ა.შ.);*
- **სიტყვების აღმნიშვნელი საგნები;**
- **რეალური საგნები/ხილი, რომელთა დანიშნულებისამებრ გამოყენებაც/შეჭმაც შეიძლება;**
- **სიტყვების სმენითი ხატი** *(სავარაუდოდ, პედაგოგი ასახელებს კიდეც / ახმოვანებს თითოეულ საგანს);*

აღნიშნული აქტივობის ერთ-ერთი მიზანი შესაძლოა სიტყვა-ცნებების ათვისება იყოს. როგორც ვიცით, სმენადაქვეითებული ბავშვისთვის საკმაოდ რთულია სიტყვის სმენითი ხატის დაკავშირება სიტყვის მნიშვნელობასთან (უჭირს გაგონილი სიტყვის მნიშვნელობის გაგება). ***სიტყვების გრაფიკული გამოსახულების საგნებზე დაწებების მიზანი*** *კი შესაძლოა იყოს* ***სწრაფი კითხვის ჩვევის გამომუშავება*** *(სიტყვის მხედველობითი ხატის ცნობა/დამახსოვრება),* ***წაკითხული ტექსტიდან შინაარსის გამოტანის უნარის გაუმჯობესება*** *(სიტყვის მხედველობითი ხატისა და შესაბამისი საგნის სწრაფად დაკავშირების ხარჯზე).*

ამ აქტივობის დახმარებით მასწავლებელი:

- *თან უსახელებს ბავშვს კონკრეტულ საგანს* ***(სმენითი არხი),***
- *თან უჩვენებს* ***(მხედველობითი არხი),***
- *თან ეხება* ***(ტაქტილური არხი),***
- *თან აძლევს დაგემოვნების საშუალებას* ***(ე.წ. ორალური არხი – ინტეროცეპტული შეგრძნებები).***

ამასთან, ფუნქციურად იყენებს თითოეულ საგანს და ამ გზით უზრუნველყოფს ახალი ინფორმაციის ძველ გამოცდილებასთან დაკავშირებას, ინფორმაციის უფრო მაღალ დონეზე გადამუშავებას.

მულტიმოდალურ-ეკლექტური სწავლების კლასიკური შემთხვევაა პატარა ჰელენ კელერისადმი ენ სალივანის მიდგომა. მიუხედავად იმისა, რომ გოგონას არც სმენა ჰქონდა და არც მხედველობა, მასწავლებელმა მოახერხა, შეხებისა და პროპრიოცეპტული, ვესტიბულარული და ინტეროცეპტული შეგრძნებებიდან მიღებული ინფორმაციით მოწაფისთვის მხედველობისა და სმენის ილუზიით მირაჟული აზროვნება შეექმნა და ის თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურამდეც კი აეყვანა.

რაც შეეხება ზემოთ მოყვანილ მაგალითებსა და მულტიმოდალურ აქტივობებს, ისინი პრაქტიკულად ყველა თემატიკასა და მიზანს შეიძლება მოვარგოთ. კვლევებით დასტურდება, რომ ამ გზით ახსნილ ახალ მასალას მოსწავლე უკეთ იგებს და იმახსოვრებს. შედეგად უმჯობესდება მისი აკადემიური მოსწრება. ყოველი ამგვარად დაგეგმილი გაკვეთილის წინ მაღლდება განწყობა, რაც ერთიორად ზრდის მოსწავლეთა მიღწევებს, მათი ზრდის პარალელურად კი იზრდება მასწავლებლის კომპეტენტურობა და სწავლების მოტივაციაც.

მულტიმოდალურ-ეკლექტური სწავლების კლასიკური შემთხვევაა პატარა ჰელენ კელერისადმი ენ სალივანის მიდგომა. მიუხედავად იმისა, რომ გოგონას არც სმენა ჰქონდა და არც მხედველობა, მასწავლებელმა მოახერხა, შეხებისა და პროპრიოცეპტული, ვესტიბულარული და ინტეროცეპტული შეგრძნებებიდან მიღებული ინფორმაციით მოწაფისთვის მხედველობისა და სმენის ილუზიით მირაჟული აზროვნება შეექმნა და ის თავისი განვითარების უმაღლეს საფეხურამდეც კი აეყვანა.

ლიტერატურა:

http://mshoblebistvis.ge/?page_id=86

ნინო ჭიაბრიშვილი

ცხოვრების აზრი და ყოველდღიური გმირები

> სტერეოტიპების საფრთხის ეფექტურად მართვა აღაპტური აქრიბუციით ეხმარება მსმენელს, შეამციროს ან სრულიად მოსპოს სტერეოტიპების საფრთხის ეფექტი და არაჯანსაღი აქრიბუცია სწავლისა და საქმიანობის შესახებ.

მუდამ ისე ხდება ხოლმე, რომ რთულ კითხვებზე პასუხებს წიგნებში ვპოულობ. ახლა პასუხების საძიებელ ადგილს უსაზღვრო მსოფლიო ქსელიც მიემატა.

ბოლო დღეები (ბოლო წლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ) პირადად ჩემთვის დამძიმდა, „არაფერი გვეშველება“ განცდა გაძლიერდა საზოგადოებრივ მაუწყებელში, კინომსახიობთა თეატრში, ყაზტრანსგაზში და თითქმის ყველგან მომუშავე ღირსების არმქონე და სხვათათვის ღირსების ამყრელი ადამიანების გამო. ჰოდა, გადავაწყდი ზიმბარდოზე სტატიას... ვფიქრობ, ის, რასაც ზიმბარდო გვთავაზობს, საინტერესო იქნება სამოქალაქო განათლების საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის და არამხოლოდ.

„რა არის ცხოვრების აზრი ფილიპ ზიმბარდოსთვის? უპირველეს ყოვლისა, მთელი სისრულით უნდა გავაცნობიეროთ, რა ხანმოკლეა ადამიანის არსებობა, რომ ყოველი დღე ისე გავატაროთ, როგორც უკანასკნელი და ყოველი – ბუნებაში, მეგობრებთან, ოჯახში გატარებული თუ ადამიანის შემოქმედებისა თუ სექსუალურობის – მომენტით სრულად დავტკბეთ.

საკუთარი უკვდავების დასაჯერებლად ბეჯითად უნდა გავისარჯო, რომ ცხოვრება ღირსეული გავხადო ჩემთვის და ჩემ გარშემო მყოფი მოკვდავებისთვის. ერთ-ერთი გზა ისეთი პროექტების შექმნაა, რომლებიც ამდიდრებს ადამიანის არსებობას. ამის მაგალითია პროექტი „გაზარდე გმირი საკუთარ თავში“[1] (*Heroic Imagination Project – HIP). მისი მისიაა, სამყარო ისეთი გმირების თაობებით გაამდიდროს, რომლებიც ყოველდღიური ძალისხმევით ფასს მატებენ კოლექტიურ არსებობას.*

ნება მომეცით, მოკლედ შევეხო გმირისა და გმირობის ახალ კონცეფციას, რომლის შექმნასაც ვცდილობ. უპირველეს ყოვლისა, რამდენიმე პროვოკაციულ შეკითხვას დავსვამ, მერე კი უჩვეულო პასუხებს შემოგთავაზებთ.

- რატომ უნდა ჩავანაცვლოთ სუპერგმირები ჩვეულებრივი, ყოველდღიური გმირებით?
- რატომ უნდა გავაფართოოთ გმირების ჩვენეული ხედვა იმ მამაცი სამხედრო გმირების მიღმა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ბრძოლის ველზე?
- რატომ უნდა გავცდეთ ცალკეული ინდივიდების მიერ ჩადენილი ისეთი გმირული ქმედებების პატივისცემას, რომლებიც მამაცობის ექსტრემალური გამოხატულებაა?
- რატომ არ უნდა შემოვსაზღვროთ „გმირების გალერეა“ მხოლოდ გამონაკლისებით (მაგ., ნელსონ მანდელა, მარტინ ლუთერ კინგი), რომლებმაც, პიროვნული მსხვერპლისა და პოტენციური რისკის მიუხედავად, კეთილშობილური მიზნისთვის გადადეს თავი?
- რატომ უნდა მივანიჭოთ ინსტიტუციურ დონეზე კორუფციის მამხილებელს გმირის სტატუსი, თუ მისი ქმედება სასიკვდილო საფრთხეს არ უკავშირდება?

ყველა ამ „რატომ“–ზე ერთადერთი პასუხი ის გახლავთ,

რომ უსამართლობაა „გმირის“ განსაზღვრების დავიწროება ადამიანთა შედარებით მცირე ჯგუფამდე, ძირითადად მამაკაცებამდე, რომლებიც ჩვეულებრივი მოკვდავებისაგან განსხვავდებიან იშვიათობით, გამონაკლისობით, გამორჩეული ნიჭით.

ამგვარი ვიწრო ხედვა მთლიანად უნდა შემეცვალა. ადამიანთათვის, ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის შთამაგონებელი ალტერნატივა შევიმუშავე და მისი განხორციელებისთვის 2008 წელს არაკომერციული ორგანიზაცია – „გაზარდე გმირი საკუთარ თავში“ (*Heroic Imagination Project – HIP)* დავაარსე სან ფრანცისკოში.

პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ყოველდღიურ გმირობას, როგორც

ა) არაჰუმანურობის, კორუფციის, უსამართლობისა და ბოროტების ანტიდოტს (ქმედება და უმოქმედობა);

ბ) ადამიანური ბუნების დადებითი პოტენციალის ზეიმს/აღნიშვნას;

გ) ბუნებრივ შედეგს, რომელიც მოჰყვება ჩვეულებრივი ადამიანების მიერ სოციალური სიკეთისათვის ჩადენილ გამორჩეულ საქმიანობას.

პროექტის მისიაა, ასწავლოს ადამიანებს ვითარებაში გარკვევა და ყოველდღიურობის რთულ სიტუაციებში წარმატებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო საბაზისო უნარები.

საკუთარი დანიშნულებისა და მისიის შესასრულებლად პროექტი შესაბამისი კვლევის შედეგებს სოციალური ფსიქოლოგიიდან და სხვა მონათესავე სფეროებიდან ცოდნად, ინსტრუმენტებად, სტრატეგიებად და სავარჯიშოებად გარდაქმნის და ეხმარება ინდივიდებსა და ჯგუფებს, საკუთარი ცხოვრების კრიტიკულ მომენტებში ეფექტურად და გონივრულად იმოქმედონ. სოციალური გავლენის უარყოფითი ფორმების (კონფორმულობა, მორჩილება, დამკვირვებლობა/განზე დგომა) კვლევამ საშუალება მოგვცა, ფოკუსი ყოველდღიური გმირობის ბუნებისა და ინდივიდუ-

> პასიური უმოქმედობის გარდაქმნა გმირულ ქმედებად ეხმარება მსმენელს, დაძლიოს ის სოციალური ძალები, რომლებიც ბუნდოვან ან საგანგებო სიტუაციაში ქმედებისგან თავის შეკავებას აიძულებს და უვითარებს გონივრული, ეფექტური რეაქციის უნარებს.

ალური და სოციალური ზრდის ფსიქოლოგიის შესწავლაზე გადაგვეტანა.

პროექტი ამზადებს ახალგაზრდებს გმირობისთვის – ასწავლის ყოველდღიურ სიკეთეს, ზრუნვას და, ამრიგად, სიკეთის, თანაზიარობისა და თანაგრძნობის ინდივიდუალურ ღირსებას გმირობის სამოქალაქო ღირსებად გადააქცევს. მიზანი ის გახლავთ, ამგვარი ქმედებები ნებისმიერი ადამიანის ხასიათის განუყოფელი ნაწილი გახდეს, რაც სოციოცენტრიზმს ეგოცენტრიზმზე მაღლა დააყენებს. პროექტი ჩვეულებრივ ადამიანებს არაჩვეულებრივი ქმედების ძალას აძლევს. ჩვენი მოსწავლე გმირები ცდილობენ თანამოაზრე ინდივიდებისგან შემდგარი „გმირთა გუნდების" შექმნას, რომლებიც შესაძლებლობის შემთხვევაში თანამშრომლობენ. ახალგაზრდებთან მუშაობით ბევრის მიღწევა შეიძლება – მათთან ერთად შესაძლებელია ცხოვრების საზრისის გამდიდრება!"

პროექტის დეტალები

პროექტის ოფიციალურ ვებგვერდზე ბევრ საინტერესო ინფორმაციასთან ერთად ნახავთ პროგრამების აღწერასაც. ექვსმოდულიანი ძირითადი პროგრამის სახელწოდებაა „ადამიანური ბუნების გაგება". ყოველი მოდულის მიზანია უნიკალური მეთოდებით ყოველდღიური გმირების მომზადება. ეს პროგრამა ორი რამით განსხვავდება სოციალური ცვლილებისადმი სხვა მიდგომებისაგან: (1) ორიენტირებულია ყოველდღიური სოციალური სიტუაციების დინამიკაზე და არა პიროვნებებსა და მათ ინდივიდუალურ თავისებურებებზე (როგორი მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს). (2) არ ხდება რთულ სიტუაციებში ადამიანთა დამოკიდებულებებისა და ავტომატური ქმედების სტიგმატიზაცია. ვცდილობთ, დავინახოთ „დავიცდი და ვნახავ", „დინების მიყოლისა" და სხვათა შესახებ ნაჩქარევი განსჯის ჩვენეული ტენდენცია. ამით ვამცირებთ ადამიანთა დამოკიდებულებას ნორმალური ქცევის შესახებ მათივე შეხედულებებზე და თავის დაღწევას ვუადვილებთ.

ყველა პროგრამა მდიდარ აკადემიურ შინაარსზეა აგებული, მიმზიდველი, სახალისო ვიდეოებითა და ინდივიდუალური სავარჯიშოებით, რომლებიც ჩვენს ყველა კლიენტს (სკოლები, უნივერსიტეტები და ახალგაზრდული ორგანიზაციები) შეუძლია გამოიყენოს საკუთარი გამორჩეული საჭიროებების შესაბამისად.

მოკლედ მოდულების შესახებ:

- **მაყურებლის ეფექტი: პასიური უმოქმედობის გარდაქმნა გმირულ ქმედებად**
  ეხმარება მსმენელს, დაძლიოს ის სოციალური ძალები, რომლებიც ბუნდოვან ან საგანგებო სიტუაციაში ქმედებისგან თავის შეკავებას აიძულებს და უვითარებს გონივრული, ეფექტური რეაქციის უნარებს.
- **განწყობის შექმნა: ფიქსირებული განწყობის შეცვლა ზრდის განწყობით**
  ეხმარება მსმენელს, შეცვალოს ფიქსირებული განწყობა – რწმენა, რომ ადამიანს არ შეუძლია შეცვალოს სხვისი შესაძლებლობები და პიროვნული თავისებურებები – ზრდის განწყობით – რწმენით, რომ ადამიანს დროთა განმავლობაში ძალისხმევით შეუძლია საკუთარი პიროვნული ასპექტების შეცვლა.
- **სოციალური კონფორმულობის დადებით გავლენად გადაქცევა**
  ეხმარება მსმენელს, გაიმდიდროს ცოდნა სოციალურ სიტუაციებში კონფორმულობის საკუთარი ავტომატური ტენდენციის შესახებ და შეცვალოს ეს ტენდენციები ჯანსაღი ქცევით.
- **სტერეოტიპების საფრთხის ეფექტურად მართვა ადაპტური ატრიბუციით**
  ეხმარება მსმენელს, შეამციროს ან სრულიად მოსპოს სტერეოტიპების საფრთხის ეფექტი და არაჯანსაღი ატრიბუცია სწავლისა და საქმიანობის შესახებ.
- **სიტუაციური ცოდნის განვითარება ავტორიტეტის ძალაუფლების შესახებ**
  ეხმარება მსმენელს, გაიგოს, როგორ ზემოქმედებს ჯგუფი და სიტუაცია გადაწყვეტილების მიღებაზე და ასწავლის სოციალური სიტუაციების გააზრებულად გადაჭრის სტრატეგიებს.
- **ცრურწმენისა და დისკრიმინაციის დამარცხება ურთიერთგაგებისა და ურთიერთმიღების ხელშეწყობად**
  ეხმარება მსმენელს, გააცნობიეროს სხვა ადამიანებსა თუ ჯგუფებზე ვარაუდების დაშვების ტენდენცია და წინ აღუდგეს, თუ თავად გახდა ცრურწმენისა და დისკრიმინაციის ობიექტი.

წყარო:

1. https://excellencereporter.com/2016/11/21/dr-phil-zimbardo-the-meaning-of-life-and-the-everyday-heroes/?utm_content=buffer4b0d4&utm_medium=social&utm_source=facebook.com&utm_campaign=buffer
2. http://heroicimagination.org/programs/